


Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

9/2023

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:
 Bundesministerium
der Justiz
aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



9/2023

შვედარეზიტი სამართლი

ქართული-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.




Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz

aufgrund eines Beschlusses



in collaboration with
Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2023

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2023

© ავტორები, 2023

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. ტანელ კერიკმაე
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
დოქ. არჩილ ჩოჩია
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
რაჟდენ კუპრაშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

სოფო ზარანდია
ნინო ქავეზაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

- სამედიცინო სამართლის სიახლეები გერმანიაში – ნაწილი III: მნიშვნელოვანი ტენდენციები გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში 2023 წლის პირველ ნახევარში 7
ულრიხ ჰაგენლოხი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე–146-ე მუხლების გერმანული თარგმანის რევიდირებული ვერსია 31
ოლაფ მუთჰორსტი / გიორგი რუსიაშვილი

რეცენზია

- ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014 81
თემურ ცეციტიშვილი

სასამართლო პრაქტიკა

- “GOOD REASON“-ის არსებობის მტკიცების ტვირთი შრომითსამართლებრივ დავებში (ბერულავა) 102
- უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პრინციპები (ბერულავა) 104
- ექიმის გაუფრთხილებლობის დადგენის კრიტერიუმები (ბერულავა) 109

სამედიცინო სამართლის სიახლეები გერმანიაში – ნაწილი III*

მნიშვნელოვანი ტენდენციები გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში
2023 წლის პირველ ნახევარში

ულრიხ ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი

I. მნიშვნელოვანი ცვლილებები გერმანიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს პრაქტიკაში:

1. BVerfG, Beschluss vom 19. Januar 2023 - 2 BvR 1719/21 - NJW 2023, 1117

(საოპერაციოდ გადაყვანის დროს პატიმრის ხელბორკილებით შებოჭვასთან დაკავშირებით)

სახელმძღვანელო წინადადება (ნაწყვეტ-ბად):

1ა. პირის ხელბორკილით შებოჭვის ბრძანების გაცემის დროს არსებითად ხდება ჩარევა პიროვნულობის ზოგად უფლებაში (das allgemeine Persönlichkeitsrecht) (...). ამ ჩარევის ინტენსივობის დადგენის დროს მასტიგმატიზირებელი ზემოქმედების, მისი ხანგრძლივობისა და შებოჭვის კონკრეტული სახეობის გარდა, ასევე არსებით როლს თამაშობს დაკავებული პირის ჯანმრთელობის პრობლემები, მისი ნლოვანება და ზოგადი გარემოებები, ასევე იმ ფაქტის დადგენა, დაკავებულის ქცევამ ხომ არ განაპირობა მისი ხელბორკილებით შებოჭვის საჭიროება.

.....

2ბ. თუ ცალკეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კერძოდ, პატიმრის დაკავებამდე

პერიოდში მისი ქცევის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ასაკის გათვალისწინებით, არ არსებობს საშიშროება იმისა, რომ იგი შეეცდება წინააღმდეგობის გაწევას, განსაკუთრებით (შეიარღვეული) ბადრაგის მიერ მისი ეტაპირების დროს, ასეთ შემთხვევაში, შებოჭვით შელახული, პიროვნულობის სენსიტიური უფლების დაცვის ინტერესი აღემატება საპატიმროსა და საჯარო სივრცის დაცვის უსაფრთხოებას. ეს წესი განსაკუთრებით მომედებს მაშინ, როდესაც პირი ხელბორკილებით დიდი ხნის განმავლობაში შებოჭილი.

ფაბულის არსებითი ნაწილი (ნაწილობრივ შემოკლებული ვარიანტი):

მომჩივანი პრევენციულ პატიმრობაში (in Sicherheitsverwahrung) იყო პენიტენციურ დაწესებულებაში. მას ჯანმრთელობის მრავალი პრობლემა გაუჩნდა და საჭირო გახდა სტაციონარული მკურნალობა საუნივერსიტეტო კლინიკაში. დიაგნოსტიკის შედეგად გამოვლინდა, რომ მომჩივანს ხელები ხანგრძლივად გადაჯვარედინებულ ფორმაში ჰქონდა შებოჭილი. დილით, ოპერაციის დღეს მას ახლდა ბადრაგი, კლინიკაში გადაყვანის დროს მომჩივანს მოხსნეს ხელბორკილები, თუმცა საკუთარ საწოლზე

* გერმანულიდან თარგმნა თეიმურაზ ლომიძემ.

ფეხით მიჯაჭვული გადაიყვანეს საოპერაციო პალატის მისაღებში, სადაც მას ფეხის ბორკილი მოხსნეს და ისევ ჯვარედინი ხელის ბორკილით შებოჭეს. საოპერაციო მაგიდაზე მას ჩაუსვეს ვენაში კათეტერი და ნარკოზში ყოფნის დროს ხელბორკილები მოხსნეს; ნარკოზიდან გამოსვლის შემდეგ ხელბორკილები ისევ დაადეს. ორი საათის შემდეგ კი სარეაბილიტაციო ოთახში ხელბორკილი შეიცვალა ფეხის ბორკილით, რომლითაც მიამაგრეს სანოლზე. პატიმარი კიდევ სამი დღის განმავლობაში, მკურნალობის დასრულებამდე, ასე იყო შებოჭილი. ორი შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით ყოველდღიური სეირნობისას მომჩივანს ფეხების ნაცვლად ხელეხი ჰქონდა შებოჭილი.

პრობლემატური სამართლებრივი საკითხები:

1. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრების შებოჭვის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებაზე, გერმანიის შესაბამისი ფედერალური მინების სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, თუნდაც გარესტაციონარული მკურნალობის დროს, პასუხისმგებელია პენიტენციური დაწესებულება და არა კერძო კლინიკა. სპეციფიკური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ უსაფრთხოების სტრუქტურული და ტექნიკური ზომები მორგებულია ჰოსპიტალის შიდა წესრიგს და ამით გამოწვეული უსაფრთხოების დეფიციტის კომპენსირება შესაძლებელია ბადრაგის რიცხვის გაზრდისა და შეზღუდვების გაძლიერებით. კერძოდ, ხელბორკილები (ან თუნდაც ხელების დაბმა) ძირითადი უფლებებით გარანტირებული თავისუფლების განსაკუთრებით ძლიერ ხელყოფას წარმოადგენს. ამ უფლებების ხელყოფას ამძიმებს ის გარემოება, რომ ბორკილებისა და უსაფრთხოების სხვა ზომების გამოყენება საჯარო ან ნაწილობრივ საჯარო სივრცეში ხდება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სტიგმატიზაციის ეფექტს.

2. ამ კონფლიქტური სიტუაციის გათვალისწინებით, გერმანიის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:¹

„... ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეფასებისას, არღვევს თუ ბორკილებით შებოჭვა ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლს, ითვალისწინებს პატიმრის ინდივიდუალურ ისტორიასა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, პატიმრობის პერიოდში ჩადენილ ნებისმიერ სახიფათო ქცევას, უსაფრთხოების მიზნით დამატებით გატარებულ ზომებს და მათ ხანგრძლივობას, ასევე არის თუ არა შებოჭვა საჯაროდ ხილვადი (იხ. *EGMR, Shlykov and others v. Russia, Urteil vom 19. Januar 2021, Nr. 78638/11, §§ 72 ff.*). შებოჭვით გამოწვეული იძულება შეიზღუდოს იმდენად, რამდენადაც ამის შესაძლებლობა არსებობს (იხ. *EGMR, Shlykov and others v. Russia, Urteil vom 19. Januar 2021, Nr. 78638/11, §§ 72*). მაგალითად, ავადმყოფი პატიმრის სანოლში მთელი დღით ბორკილით შებოჭვა მიიჩნევა არაადამიანურ მოპყრობად, თუ მისი ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მის მიერ საფრთხის შექმნის შესაძლებლობა არარეალისტურია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი უსაფრთხოების ორი თანამშრომლის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება (იხ. *EGMR, Hénaf v. France, Urteil vom 27. November 2003, Nr. 65436/01, §§ 56 ff.*). ყურადღება უნდა მიექცეს, გაიცა თუ არა ბორკილებით შებოჭვის ბრძანება, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრის ყოფაქცევა პატიმრობის განვლილ პერიოდში დამაკმაყოფილებელი იყო (იხ. *EGMR, Shlykov and others v. Russia, Urteil vom 19. Januar 2021, Nr. 78638/11, §§ 72 ff.*; *Kashavelov v. Bulgaria, Urteil vom 20. Januar 2011, Nr. 891/05, §§ 38 ff.*; *Salakhov and Islyamova v. Ukraine, Urteil vom 14. März 2013, Nr. 28005/08, § 154*). უსაფრთხო გარემოში მყოფი პატიმრის ხანგრძლივი შებოჭვა ბორკილებით არ არის გამართლებული (იხ. *EGMR, Kashavelov v. Bulgaria, Urteil vom 20.*

¹ ნაწყვეტი გადაწყვეტილებიდან - BVerfG, Beschluss vom 19. Januar 2023 - 2 BvR 1719/21 - NJW 2023, 1117, juris Rn. 27.

Januar 2011, Nr. 891/05, § 39 f.). ბორკილებით შებოჭილი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა რეგულარულად უნდა შემოწმდეს (იხ. *EGMR, Wiktorko v. Poland, Urteil vom 31. März 2009, Nr. 14612/02, § 55*) და მათი გამოყენების დროისა და ხანგრძლივობის სრული აღრიცხვა უნდა მოხდეს (იხ. *EGMR, Bureš v. The Czech Republic, Urteil vom 18. Oktober 2012, Nr. 37679/08, § 103*).... გასათვალისწინებელია ციხის ევროპული წესების IV.68.3 რეგულაცია, რომელიც მხედველობაში უნდა იყოს მიღებული შებოჭვის ხანგრძლივობის თანაზომიერების დადგენისას (იხ. ... *BVerfG, Beschluss vom 18. März 2015 - 2 BvR 1111/13 – Rn. 31*), რომლის მიხედვითაც ბორკილებით შებოჭვის დრო იმ მინიმუმამდე უნდა დავიდეს, რის გარეშეც უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელი იქნება...“.

3. თუმცა აღსანიშნავია, რომ პატიმრობაში მყოფი პაციენტის კლინიკურ ან ამბულატორიულ მკურნალობასთან დაკავშირებულ სირთულეებს არ ენიჭება რაიმე დამოუკიდებელი მნიშვნელობა საკითხის შეფასებისას. პირიქით, საავადმყოფოს ან სხვა სამედიცინო დაწესებულების ვალდებულებასაც კი წარმოადგენს მკურნალობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ისე უმკურნალოს პატიმარს, რომ უსაფრთხოების ყველაზე დაბალი ზომების გატარება იყოს საჭირო, რათა მათი მასტიგმატიზირებელი ეფექტი შემცირდეს. ეს გულისხმობს ვალდებულებას, რომ პაციენტს, რომელსაც ხელის ან ფეხის ბორკილები ადევს და/ან ამკარად უსაფრთხოების სამსახურის მიერ მეთვალყურეობის ქვეშაა, არ იქნეს მისი საჯაროდ გამოჩენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გამოჩენა გარდაუვალია.

თუმცა, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პატიმარს არ აქვს უფლება მოითხოვოს შეუზღუდავი ოდენობით პერსონალისა და სხვა რესურსების გამოყენება, მისი ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვის თავიდან ასაცილებლად.² ეს მით უფრო ეხება ექიმის მიერ გასატარებელ ზომებს, ვინაიდან მას აქვს სამოქალაქო-სამართლებრივი

(არა სახელმწიფო ძალაუფლებიდან გამომდინარე) ურთიერთობა პატიმართან და შესაბამისად, პატიმრის ძირითადი უფლებების გათვალისწინება ნაკლებად ევალუა. თუმცა, ექიმი ყოველთვის ვალდებულია, შეძლებისდაგვარად, გონივრული ზომით, შეამციროს სტიგმატიზაციის ეფექტი. მაგრამ, იგი არ არის ვალდებული იმ ღონისძიებების გატარებაზე, რომლებიც მნიშვნელოვნად იმოქმედებს კლინიკური ან პრაქტიკული ოპერაციების ნორმალურ მიმდინარეობაზე.

II. მნიშვნელოვანი ცვლილებები გერმანიის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს პრაქტიკაში:

1. BGH, Urteil vom 20. Dezember 2022 - VI ZR 375/21 - NJW 2023, 1435

სახელმძღვანელო წინადადება (ნაწყვეტები):

1. ...

2. გსკ-ის 630 II 1 პარაგრაფი სასამართლოში დამკვიდრებული პრაქტიკის შინაარსს მოიცავს, რომლის მიხედვითაც პაციენტისთვის სამედიცინო ჩარევაზე ინფორმაციის მიწოდება დროულად უნდა განხორციელდეს, რათა მას საშუალება მიეცეს ჩარევის დადებითი და უარყოფითი მხარეების გასაანალიზებლად და გადაწყვეტილების თავისუფლად მისაღებად, შესაბამისად, შეძლოს თვითგამორკვევის უფლების პროპორციულად გამოყენება; ნორმა არ ითვალისწინებს ნებართვის მიღებამდე „ჩაკეტილ ვადას“, რომლის დაუცველობა ნებართვის ბათილობას გამოიწვევდა; იგი არ მოითხოვს, რომ ინფორმაციის მიწოდებასა და თანხმობას შორის პერიოდში გარკვეული დროის მონაკვეთი არსებობდეს.

3. მას შემდეგ, რაც მოხდება კანონის შესაბამისად პაციენტის ინფორმირება მოხდება, მისი საქმეა, დროის რომელ მომენტში მიიღებს გადაწყვეტილებას, თანხმობა განაცხადოს ან უარი

² BVerfG, Beschluss vom 19. Januar 2023 - 2 BvR 1719/21 - NJW 2023, 1117, juris Rn. 35; BVerfG, Beschluss vom 23. Mai 2013 - 2 BvR 2129/11 - openJur 2013, 47910,

juris Rn. 16; BVerfG, Beschluss vom 10. Juli 2013 - 2 BvR 2815/11 - NJW 2013, 3291, juris Rn. 17.

განაცხადოს ნებართვის გაცემაზე. თუ ის მიიჩნევს, რომ მას ინფორმირების შემდეგ უკვე კარგად გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი შესწევს, მისი უფლებაა, დაუყოვნებლივ მისცეს თანხმობა. თუ, მეორე მხრივ, ექიმთან ინფორმაციული გასაუბრების შემდეგ, მას გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაფიქრება სჭირდება, მოსალოდნელია, რომ იგი ამის შესახებ საქმის კურსში ჩააყენებს ექიმს და შემდეგ დროებით თავს შეიკავებს თანხმობის გაცემისგან. თუმცა, სხვა შეფასება არის რეკომენდებული - რამდენადაც ეს სამედიცინო თვალსაზრისით მისაღებია - თუ თავად ექიმი, კონკრეტული მიზეზების საფუძველზე ამჩნევს, რომ პაციენტს ჯერ კიდევ დრო სჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად.

4. სამედიცინო ჩარევაზე თანხმობა არ წარმოადგენს გარიგებას, არამედ აღიქმება როგორც ნებართვა ან უფლებამოსილების მიცემა, ფაქტობრივი ქმედებების განსახორციელებლად, რომლითაც ხდება თანხმობის გამცემი პირის უფლების დაცულ სფეროში შეჭრა. ის ასევე შესაძლოა ნების გამოვლენით ან კონკლუდენტურად – გარემოებებიდან და პაციენტის საერთო ქცევიდან გამომდინარეობდეს.

ფაბულის არსებითი ნაწილი:

მოსარჩელეს ანუხებდა ყურის ქრონიკული რეციდიული ანთება და აღენიშნებოდა ტიმპანური გამონაჟონი (შუა ყურის ნაწილში სითხის დაგროვება). ექიმმა, რომელმაც ის გასინჯა ყურისა და ცხვირ-ხახის კლინიკაში, ურჩია ცხვირის ძვიდის გასწორება, როგორც პირველი ნაბიჯი – ცხვირში ჰაერის გავლის ოპტიმიზაციის მიზნით და ცხვირის გვერდითი ღრუების მკურნალობა. საინფორმაციო გასაუბრების შემდეგ მოსარჩელემ ხელი მოაწერა სამედიცინო ჩარევაზე თანხმობის ფორმას. სამი დღის შემდეგ მოსარჩელე საავადმყოფოში სტაციონარში მოათავსეს და მკურნალობის პროცედურა ჩაუტარდა. ოპერაციის შემდგომ პაციენტს აღენიშნებოდა

მძიმე არტერიული სისხლდენა. შემდგომი ნეიროქირურგიული ჩარევის დროს დადგინდა, რომ დაზიანებული იყო დურა (ყველაზე შორეული მენინგი) და თავის ტვინის წინა არტერია. ასევე დადგინდა, რომ მარცხენა მხარეს ყნოსვის ნერვი განყვეტილი იყო.

პრობლემური სამართლებრივი საკითხები:

საპროცესო სამართლის საფუძვლებიდან გამომდინარე, უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს არ უნდა განეხილა, იყო თუ არა ოპერაციის დროს შეცდომა დაშვებული. მისი გადაწყვეტილებით ძირითადი აქცენტი დაისვა იმაზე, მოხდა თუ არა მოსარჩელის დროული (შინაარსობრივად სრული და სწორი) ინფორმირება. ფედერალური მინების უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ამ კუთხით თავისი ძველი გადაწყვეტილებები დააზუსტა. შესაბამისად, ამ მხრივ გადაწყვეტილებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სამედიცინო პრაქტიკისთვის. აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილება მის ძირითად მონახაზებში შეუმოკლებლად არის გადმოცემული (თუმცა, ციტატები მნიშვნელოვნად შემცირებულია):³

3. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომელიც მიიჩნევდა, რომ მოსარჩელის მიერ 2013 წლის 1 ნოემბერს მიცემული თანხმობა 2013 წლის 4 ნოემბერს განხორციელებულ სამედიცინო ჩარევაზე ბათილი იყო, რადგან გსკ-ის 630e II 1 Nr. 2 პარაგრაფის მიხედვით გათვალისწინებული სამედიცინო ჩარევის რისკების შესახებ ინფორმირებასა და პაციენტისთვის გადაწყვეტილების მიღებას შორის მოსაფიქრებლად საკმარისი დრო არ იყო გამოყოფილი. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შეფასებით, სააპელაციო სასამართლო ზედმეტად აფართოებს გსკ-ის 630e II 1 Nr. 2 პარაგრაფის შინაარსს და გადაამეტებულ მოთხოვნებს უყენებს მკურნალს პაციენტის თანხმობის მისაღებად. ნორმა არ შეიცავს მოთხოვნას, რომ ინფორმირებასა და თავს

³ ამონარიდები - BGH, Urteil vom 20. Dezember 2022 - VI ZR 375/21 - NJW 2023, 1435, juris Rn. 16 ff.

ნხმობას შორის გარკვეული პერიოდი იყოს გასული, ეს წესი სასამართლო პრაქტიკის მიერ იყო დადგენილი, რომლის მიხედვითაც პაციენტი დროულად უნდა იყოს ინფორმირებული სამედიცინო ჩარევამდე, რათა მას საკმარისი დრო ჰქონდეს იმისთვის, რომ ჩარევის დადებითი და უარყოფითი შედეგები გაანალიზოს, რათა შეძლოს გადაწყვეტილების თავისუფლებისა და თვითგამორკვევის უფლების რეალიზება.

ა)...

ბ) გსკ-ის 630e II 1 Nr. 2 პარაგრაფი არეგულირებს პაციენტის ინფორმირების ვალდებულებას დროის საკითხთან მიმართებით. ამ რეგულაციის შინაარსის მიხედვით, ინფორმაცია დროულად უნდა იყოს მიწოდებული, რათა პაციენტს საშუალება მიეცეს თანხმობის შესახებ გადაწყვეტილება უფრო გააზრებულად მიიღოს.

კანონში არსებული ფორმულირებისა და მდებარეობის მიხედვით აქცენტი დაისმება მხოლოდ დროის იმ მომენტზე (...), რა დროსაც, სამედიცინო ჩარევამდე, პაციენტის ინფორმირება უნდა მოხდეს. კანონმდებლის ნებით, ეს რეგულაცია არ მოიცავს რაიმე არსებით ცვლილებას სამართლებრივ მდგომარეობაში, არამედ ასახავს მხოლოდ არსებულ სასამართლო პრაქტიკას (...). ამის გათვალისწინებით, რეგულაცია არ ითვალისწინებს თანხმობის მიცემამდე რაიმე კონკრეტულ „დადგენილ ვადას“, რომლის დაუცველობაც პაციენტის თანხმობის ბათილობას გამოიწვევს; ის არ შეიცავს რაიმე მოთხოვნას, რომ ინფორმაციის მიწოდებასა და თანხმობას შორის გარკვეული პერიოდის გასვლაა სავალდებულო (...). პირიქით, რეგულაცია მოითხოვს განმარტებას, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას (...). იგი ითვალისწინებს წინა სასამართლო პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც პაციენტი დროულად უნდა იყოს ინფორმირებული სამედიცინო ჩარევამდე, რათა მან შეძლოს ადეკვატურად ანონ-დანონოს სამედიცინო ჩარევის დადებითი და უარყოფითი მხარეები და არჩევანის თავისუფლებისა და ამრიგად, თვითგამორკვევის უფლების სათანადოდ რეალიზება მოახდინოს (... BGH, Urteil vom 28. Januar 2014 - VI ZR 143/13 - VersR 2014, 588 Rn. 21; BGH, Urteil vom 29. Januar

2019 - VI ZR 117/18 - VersR 2019, 688 Rn. 18; ...) პაციენტს ინფორმაცია უნდა მიენდოს იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ სრულად არის გონებაზე, გადაწყვეტილების მიღების უნარი გააჩნია და არ იმყოფება მედიკამენტების გავლენის ქვეშ; არ უნდა მოხდეს ოპერაციამდე იმდენად ცოტა ხნით ადრე, რომ პაციენტი აუტანელი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოხვდეს, ან ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ უკვე დაწყებული პროცედურიდან თავის დაღწევას ვეღარ შეძლებს (შდრ. BGH, Urteil vom 15. Februar 2000 - VI ZR 48/99 - BGHZ 144, 1, 12, juris Rn. 34;...). გადამწყვეტი ფაქტორია, აქვს თუ არა პაციენტს, მოცემულ გარემოებებში, საკმარისი შესაძლებლობა შინაგანად თავისუფლად გადაწყვიტოს, სურს თუ არა სამედიცინო ჩარევა (შდრ... BGH, Urteil vom 7. April 1992 - VI ZR 192/91 - MDR 1992, 748, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 25. März 2003 - VI ZR 131/02 - MDR 2003, 931 f., juris Rn. 18; BGH, Urteil vom 10. Oktober 2006 - VI ZR 74/05 - VersR 2007, 66 Rn. 10).

გ) დროის რომელ მომენტში მიიღებს პაციენტი თანხმობის ან უარის თქმის გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით, ექიმის მიერ სათანადოდ და დროული ინფორმირების პროცედურის ჩატარების შემდეგ, მისი საქმეა (...). თუ ის მიიჩნევს, რომ ექიმთან გასაუბრების შემდეგ, კარგად გააზრებული გადაწყვეტილების მიღების უნარი შესწევს, მას აქვს სრული უფლება, დაუყონებლივ მისცეს თანხმობა. მეორე მხრივ, თუ მას სურს გარკვეული პერიოდის განმავლობაში იფიქროს ამაზე, მოსალოდნელია, რომ იგი ამ პოზიციას ექიმის წინაშე დააფიქსირებს და თანხმობის მიცემისგან დროებით თავს შეიკავებს (შდრ. BGH, Urteil vom 15. Februar 2000 - VI ZR 48/99 - BGHZ 144, 1, 12 f., juris Rn. 36; ...). ის ფაქტი, რომ იგი ოპერაციის დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო, სამედიცინო „აპარატის“ წინაშე დგას და ეუხერხულება ხელი შეუშალოს დაწყებულ პროცედურას, ამ გრძობის დასაძლევად გარკვეულ ძალისხმევას საჭიროებს, ეს საკითხი თვითგამორკვევის უფლებას ექვემდებარება (შდრ. BGH, Urteil vom 7. April 1992 - VI ZR 192/91 - MDR 1992, 748 f., juris Rn. 16;...). პაციენტი, რომელიც სათანადოდ არის ინფორ-

მირებული – თვითგამორკვევის უფლების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით – სამედიცინო დახმარების პასიურ ობიექტად ვერ ჩაითვლება; პირიქით, იგი მოწოდებულია იმისთვის რომ, აქტიურად გამოიყენოს თვითგამორკვევის უფლება და მონაწილეობა მიიღოს მკურნალობის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში (...). შესაბამისად, მისგან შესაძლოა მოთხოვნილი იყოს სურვილის გამჟღავნება, თუ გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად დრო ეცოტავება (...). თუმცა, სხვაგვარი შეფასება იქნებოდა რეკომენდებული – რამდენადაც ეს სამედიცინო თვალსაზრისით გამართლებულია – თუ თავად ექიმი, კონკრეტული მიზეზების საფუძველზე ამჩნევს, რომ პაციენტს ჯერ კიდევ დრო სჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთი მინიშნებები შეიძლება იყოს, მაგალითად, პაციენტის შეზღუდული უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება (...). მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც პაციენტს არ მიეცემა შესაძლებლობა გამოიყენოს მოფიქრების დამატებითი დრო. ეს შეიძლება ვივარაუდოთ მაშინ – გარდა გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობის ღონისძიებების გატარების დროს – თუ პაციენტის გადაწყვეტილების მიღებაზე ზეწოლა ხორციელდება ან მის ნებას "არაფრად აგდებენ".

დ) ზემოთქმული პრინციპების მიხედვით, მოსარჩელის მიერ 2013 წლის 1 ნოემბერს – ინფორმაციული საუბრის შედეგად მიცემული – თანხმობა ნამდვილად უნდა ჩაითვალოს იმ ფაქტების საფუძველზე, რომ ფაბულის მოცემულობა განსხვავებული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობებს არ იძლევა. საკასაციო სასამართლომ ღიად დატოვა საკითხი, განხორციელდა თუ არა მოსარჩელეზე გადაწყვეტილების მიღების დროს ზეწოლა თანხმობის მისაღებად – როგორც მოსარჩელე ამაზე მიუთითებს და მოპასუხე უარყოფს – ამიტომ კასაციის ფარგლებში მოპასუხის არგუმენტი მხედველობაში უნდა იყოს მიღებული.

4. ამ დავის ფარგლებში იმ ფაქტის დადგენა, მოხვდა თუ არა მოსარჩელეზე ზეწოლა, არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს. საკასაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს შეფასება, იმის შესახებ,

რომ მოსარჩელე კონკლუდენტურად დათანხმდა ოპერაციას. კერძოდ, ასეთი თანხმობა არ იკითხებოდა იმ ფაქტიდან, რომ მოსარჩელე ექიმის მიერ ინფორმირებიდან სამი დღის შემდეგ მოპასუხის კლინიკაში გამოცხადდა. სააპელაციო სასამართლომ სამართლებრივად მცდარი დასკვნა გააკეთა იმაზე, რომ მოსარჩელის მიერ კონკლუდენტური თანხმობა გაცემული იყო, ვინაიდან, საპირისპირო შემთხვევაში, პაციენტი მანამდე გაცემულ თანხმობას უკან გამოიხმობდა. ამიტომ, მისი აზრით, ხელახალი თანხმობის გაცემის საჭიროება არ არსებობდა, შესაბამისად მოპასუხესთან დასაქმებული ექიმებიც ამ მიზეზით ვერ აცნობიერებდნენ, რომ ამჟამად პაციენტი ოპერაციაზე თანხმობის ნებართვას გაცემდა.

ა) სენატის მიერ დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამედიცინო ჩარევაზე თანხმობა არ წარმოადგენს გარიგებას, არამედ აღიქმება როგორც ნებართვა ან უფლებამოსილების მიცემა, ფაქტობრივი ქმედებების განსახორციელებლად, რომლითაც ხდება თანხმობის გამცემი პირის უფლებრივ სფეროში ჩარევის ლეგიტიმიზირება (*BGH, Urteil vom 29. Januar 2019 - VI ZR 495/16 - BGHZ 221, 55 Rn. 31; BGH, Urteil vom 19. Juli 2016 - VI ZR 75/15 – VersR 2016, 1191 Rn. 9 f.; ...*). მაშასადამე, ნების გამოვლენის შესახებ წესების უშუალოდ გამოყენება ვერ მოხდება (...).

ბ) სამედიცინო ჩარევაზე თანხმობა არ არის მიბმული კონკრეტულ ფორმაზე. მისი გაცხადება შეიძლება ექსპლიციტურად ან კონკლუდენტურად გარემოებებიდან თუ პაციენტის საერთო ქცევიდან გამომდინარე (...). პაციენტის ქცევის მნიშვნელოვნების დასადგენად გადამწყვეტია ის, თუ როგორ აღიქმებოდა მისი ქცევა ობიექტური მესამე პირის – (...) თვალსაწიერიდან. თანხმობა შეიძლება ვივარაუდოთ, თუ პაციენტი შეგნებულად დაიწყებს მკურნალობას (...). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების სანაწილმდეგოდ, (კონკლუდენტური) თანხმობის ვარაუდი არ მოითხოვს არც პაციენტის მიერ ადრე გამოცხადებული (ძალადაკარგული) თანხმობის გაუქმებას და არც მკურნალი პირის მიერ იმის გაცნობიერებას, რომ პაციენტი პირ-

ველად იძლევა ნამდვილ თანხმობას. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ის გარემოება, გაცა თუ არა პაციენტმა ნამდვილი თანხმობა პროცედურის დაწყებამდე და ხომ არ გამოუხმია ის (...).

გ) ამ პრინციპების მიხედვით, მოსარჩელის კონკლუდენტური თანხმობის წინაპირობები განსახილველ დავაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოცემულად ითვლება. მოსარჩელე, რომელსაც 2013 წლის 28 ოქტომბერს პროფესორმა ... ოპერაციული ჩარევის რეკომენდაცია გაუწია, 2013 წლის 1 ნოემბერს სათანადოდ იქნა ინფორმირებული. ორი დღის შემდეგ – 2013 წლის 4 ნოემბერს, იგი მივიდა მოპასუხის საავადმყოფოში ოპერაციის ჩატარების მიზნით, ჩაბარდა სტაციონარულ განყოფილებაში და დაელოდა ოპერაციისთვის მზადების პროცესს. მკურნალ ექიმებს ეს საქციელი ისე უნდა გაეგოთ, როგორც მისი თანხმობა ოპერაციის ჩატარებაზე. ამ მოქმედებით მან „გაამყარა“ თანხმობა, რომელიც 2013 წლის 1 ნოემბერს ჰქონდა გაცემული; თუმცა, თუ ეს თანხმობა ბათილი იყო იმის გამო, რომ მას არ მისცეს საკმარისი დრო ამაზე დასაფიქრებლად და ამის ნაცვლად ზენოლა მოახდინეს დროულად გაეცა თანხმობა, მაშინ მისი თანხმობა გაცემულად ჩაითვლება 4 ნოემბერს (...). 2013 წლის 4 ნოემბრის სამედიცინო ჩარევაზე ნებისმიერ შემთხვევაში ვრცელდება მოსარჩელის ნამდვილი თანხმობა“.

2. BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878

სახელმძღვანელო წინადადება:

1. იმისათვის, რომ ორსული ქალის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერიოზული დარღვევა გსკ-ის 218a II პარაგრაფის მიხედვით მოცემულად ჩაითვალოს, უნდა არსებობდეს მძიმე შედეგების დადგომის საფრთხე, რომელიც ორსულისგან საკუთარი ცხოვრებისეული ფასეულობების მსხვერპლშენიშვას მოითხოვს, რისი შესრულებაც მისგან მოსალოდნელი ვერ იქნება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის

მოსალოდნელი დაბადების ტვირთი და ამის შედეგად წარმოშობილი განსაკუთრებული ცხოვრებისეული სირთულეების მოლოდინი დედისთვის იმდენად მძიმე უნდა იყოს, რომ საფრთხე შეუქმნას მის ფიზიკურ ჯანმრთელობას და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაზიანების სერიოზული რისკი წარმოშვას, რაც დედის ჯანმრთელობასა და ჯერ დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებას შორის ინტერესთა კონფლიქტში, ამ უკანასკნელის უფლებას გადაფარავს.

2. გვიანდელ პერიოდში ორსულობის შეწყვეტა დაუშვებელია. მაშინაც კი, თუ ბავშვის სიცოცხლის დაცვის უზრუნველყოფის ფუნდამენტური უფლება არ არის დროის დიფერენცირებაზე დამოკიდებული, ამ შემთხვევაშიც კი დიაგნოზის დასმის დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ორსულობის ხანგრძლივობა და დედასა და ბავშვის განსაკუთრებული მდგომარეობა. ეს ეხება, განსაკუთრებით, ისეთ ნაყოფს, რომელიც სიცოცხლისუნარიანია და რამდენიმე კვირაში უნდა დაიბადოს.

რედაქტორის შენიშვნა: გერმანიის სისხლის სამართლის 218a პარაგრაფი არეგულირებს იმ შემთხვევებს, როდესაც აბორტი, რომელიც ზოგადად სისხლის სამართლის დანაშაულია, დაუსჯელი რჩება. გერმანიის სისხლის სამართლის 218a პარაგრაფი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

218a პარაგრაფი აბორტის შემთხვევაში პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება:

(1) 218-ე მუხლის დანაშაული არ ჩაითვლება განხორციელებულად, თუ

1. ორსული ითხოვს აბორტის გაკეთებას და 219-ე II 2 პარაგრაფის შესაბამისად ექიმს წარმოუდგენს ცნობას, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ სამედიცინო კონსულტაცია სამედიცინო ჩარევამდე მინიმუმ სამი დღით ადრე განხორციელდა,

2. აბორტის პროცედურა ტარდება ექიმის მიერ და

3. ჩასახვის დღიდან თორმეტი კვირაზე მეტი არ არის გასული.

(2) ორსული ქალის თანხმობით ექიმის მიერ ჩატარებული აბორტი უკანონოდ არ ჩაითვლება, თუ აბორტი, ამჟამინდელი და მომავალი ცხოვრების პირობების გათვალისწინებით, ორსულისთვის ექიმის შეფასებით რეკომენდებულია, ორსულის სიცოცხლისთვის, ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სერიოზული დარღვევის რისკის თავიდან ასაცილებლად, თუ საფრთხის თავიდან აცილება სხვაგვარად შეუძლებელია.

(3) მე-2 აბზაცის მოთხოვნები მოცემულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო კვლევებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ორსული გსსკ-ის 176-ე ან 178-ე პარაგრაფში აღწერილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაორსულდა და ჩასახვის დღიდან მე-12 კვირაზე მეტი არ არის გასული.

(4) ორსული 218-ე პარაგრაფის მიხედვით არ მიეცემა პასუხისმგებამი, თუ აბორტი ჩატარდა ექიმთან კონსულტაციის შემდეგ (219-ე პარაგრაფი) და ჩასახვის დღიდან გასულია არაუმეტეს ოცდაორი კვირისა. სასამართლოს შეუძლია 218-ე პარაგრაფით გათვალისწინებული სასჯელისგან თავი შეიკავოს, თუ ორსული განსაკუთრებულ ზენოლას განიცდიდა.

ფაბულის არსებითი ნაწილი:

2011 წლის ივნისში მოსარჩელეს ორსულობა დაუდასტურდა და მოპასუხეებმა მასზე მზრუნველობის ვალდებულება 2011 წლის 7 ივლისს აიღეს. 2011 წლის 1 სექტემბერს (ორსულობის მე-20 კვირა) ჩატარებული დეტალური სონოგრაფიული დიაგნოსტიკის დროს, ცერებრალური ორი ნახევარსფეროსა (*corpus callosum*) და თავის ტვინის სხვა არსებითი სტრუქტურის (*cavum septum pellucidum*) დამაკავშირებელი პედიკული ნაყოფში ნათლად არ შეინიშნებოდა. 2011 წლის 10 ნოემბერს სონოგრაფიამ გამოავლინა ცერებრალური სითხის კამერის გადიდება (ვენტრიკულომეგალია). რამდენიმე დღის შემდეგ ჩატარებულმა მაგნიტურ-რეზონანსულმა ტომოგრაფიამ (MRT) გამოავლინა კომპლექსური შუა ხაზის დარღვევა ჰიდროცეფალიით (ტვინში ცერებროსპინალური სითხით სავსე სი-

ვრცეების პათოლოგიური გაფართოება), კორტიკალური დისგენეზია და ფალქსის ჰიპოპლაზია (ტვინის ნახევარმთვარის განუვითარებლობა).

მოსარჩელე საავადმყოფოში გადაიყვანეს 2011 წლის 17 ნოემბრიდან 2011 წლის 24 ნოემბრამდე. ამ დროის განმავლობაში, მოსარჩელეს ჰქონდა კონსულტაცია რამდენიმე ექიმთან MRT-ს დასკვნების შესახებ. მას შემდეგ, რაც ბავშვი დაიბადა 2012 წლის 3 იანვარს, გაირკვა, რომ მას ანუხებდა ეგრეთწოდებული აიკარდის სინდრომი (იშვიათი მემკვიდრეობითი დაავადება, რომელიც იწვევს ნეიროგანვითარების დარღვევას). ანუხებდა სიელმე; ბავშვი ძლიერ ჩამორჩენილი იყო კოგნიტურ და მოტორულ განვითარებაში. მას არ შეეძლო სიარული, სეირნობა, საუბარი და აღქმა; ყლაპვის რეფლექსი ძლიერ დაქვეითებული ჰქონდა და დაავადებული იყო მძიმე, თერაპიისადმი მდგრადი ეპილეფსიით.

მოსარჩელები, ბავშვის დედა და მამა, აცხადებენ, რომ 2011 წლის 15 ნოემბრის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით გამოვლინდა თავის ტვინის მძიმე მანკი, რის შესახებაც მოსარჩელე არ იყო ინფორმირებული. აღმოჩენების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო ნაყოფის განვითარების სერიოზული პრობლემები. მათ ამის შესახებ რომ სცოდნოდათ, მოსარჩელის ჯანმრთელობის სერიოზული დარღვევის გათვალისწინებით, ორსულობის შეწყვეტას გადანყვეტდნენ. მძიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადებისა და მოვლის შედეგად მოსარჩელემ განიცადა ღრმა და ხანგრძლივი დეპრესია და ფიზიკური სისუსტის მდგომარეობა, რომელიც ავადმყოფობად კვალიფიცირდება.

სასამართლოს მოტივებიდან:

გადანყვეტილების ამოსავალი წერტილია აბორტის კრიმინალიზაციის ზემოაღნიშნული გერმანული რეგულაციები. საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი რეგულაციები გაწერილია საქართველოს სისხლის სამართლის 133-ე მუხლში, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ

საქართველოს კანონის 139 II და 140 II მუხლებში.⁴ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამართლებრივი ვითარება ამ ორ სახელმწიფოში არ არის იდენტური, მაგრამ უმეტესწილად შედარებადი. ასე რომ, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების ძირითადი პრინციპები შეიძლება საინტერესო იყოს ქართული ნორმების უკეთ ახსნისა და განმარტებისათვის. გადაწყვეტილების უკეთ კლასიფიკაციის მიზნით, სრულად იქნება განხილული სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია აბორტთან ან ორსულობის თავიდან აცილების სამედიცინო ღონისძიებებთან.

1. უკიდურესად მგრძობიარე იურიდიულ-ეთიკური და კონსტიტუციური საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა და რამდენად შეიძლება იყოს არასასურველი ბავშვის სიცოცხლე სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის წყაროდ აღქმული, წარმოჩინდება ორ ფაქტობრივ სიბრტყეში.

ერთი მხრივ, საუბარია იმაზე, თუ რა მოხდება, თუ ორსულობის შეწყვეტისკენ მიმართული სამედიცინო ღონისძიება არ გამოიწვევს ორსულობის დასრულებას. ამ პრობლემურ სფეროს ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ ის შემთხვევები, როდესაც – როგორც მოსარჩელები ამტკიცებენ ამ სამართალწარმოებაში – არ მოხდა სათანადო კონსულტაციის განევა და რჩევის მიცემა ორსულობის შეწყვეტის შესახებ, რის გამოც დედამ ბავშვის გაჩენა გადაწყვეტა.

მეორე მხრივ, ეს საკითხი მაშინ ხდება აქტუალური, როდესაც არასასურველი ორსულობა გამოწვეულია ექიმის მიერ მოვალეობის დარღვევის შედეგად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ სტერილიზაცია⁵ ან ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ ჩატარებული კონტრაცეპტული ღონისძიება წარუმატებელი აღმოჩნდა.⁶

ა) ბავშვის მოთხოვნები

დადგენილი გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არასასურველი ორსულობის

შედეგად გაჩენილ ბავშვს არ აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება იმ ექიმისგან, რომელმაც ვერ შეძლო მოვალეობის დარღვევის გამო ორსულობის თავიდან აცილება ან შეწყვეტა, არც სახელშეკრულებო და არც დელიქტური სამართლის საფუძველზე. ეს წესი მოქმედებს მაშინაც კი, თუ ბავშვი დაიბადა სხეულის დაზიანებებით და დედას ან მშობლებს სურდათ ასეთი დაზიანებების თავიდან აცილება (სტერილიზაცია, კონტრაცეპტივები); იქნება ეს მემკვიდრეობითი დაავადებების რისკისა თუ შემაშფოთებელი სამედიცინო დიაგნოზის გამო.

აა) ასეთ სიტუაციებში ადამიანის ღირსების დაცვის უფლება (გერმანიის კონსტიტუციის 1 I მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი) კრძალავს ფაქტობრივი და ჰიპოთეტური კაუზალური მიმდინარეობის ერთმანეთთან წმინდა მექანიკურ შეპირისპირებას.

(1) ასეთი მიდგომა – რომელიც დელიქტურ სამართალში სტანდარტს წარმოადგენს – გამოიწვევდა შშმ პირისთვის ცხოვრების ალტერნატიულ გამოსავლად (ფაქტობრივი კაუზალური მიმდინარეობა ვალდებული პირის საწინააღმდეგო ქცევის შემთხვევაში) სიკვდილის მიჩნევას (ჰიპოთეტური კაუზალური მიმდინარეობა ვალდებულების პირნათლად შესრულების შემთხვევაში; სიკვდილის შემთხვევაში ავადმყოფის მკურნალობის ხარჯები არ წარმოიშვებოდა, ისე როგორც ზოგადი რჩენის ხარჯები) რომელთა შორისაც უნდა მომხდარიყო არჩევანის გაკეთება. ასეთი მატერიალისტურ-მექანიკური შეხედულება შეუთავსებელია ადამიანის ღირსების ცნებასთან, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცხოვრება (სიკვდილთან შედარებით) ზიანად უნდა ჩაითვალოს.⁷

(2) ადამიანის ღირსების კონსტიტუციით უზრუნველყოფილი დაცვა ასევე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე, რადგან მოვალეობის დარღვევით გამოწვეული ფინანსური მდგომარეობის

⁴ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=50>.

⁵ BGH, Urteil vom 8. Juli 2008 - VI ZR 259/06 - NJW 2008, 2846.

⁶ BGH, Urteil vom 14. November 2006 - VI ZR 48/06 - NJW 2007, 989, "იმპლანტონ"- იმპლანტისთვის.

⁷ BVerfG, Urteil vom 28. Mai 1993 - 2 BvF 2/90 - BVerfGE 88, 203, juris Rn. 269.

გაუარესება მხოლოდ მაშინ იწვევს – სამოქალაქო სამართლის გაგებით – ზიანს, თუ ეს აღიარებულია სამართლებრივ სისტემაში.⁸ თუმცა, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ეს აუცილებელი ელემენტები არ არის სახეზე არასასურველი ბავშვის დაბადებისას, დამოუკიდებლად იმისა, ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობით დაიბადა თუ არა. მოცემული კონსტიტუციური მოთხოვნა თავისი არსით ეფუძნება შემდეგ მოსაზრებებს:

კონსტიტუციური წესრიგის და განსაკუთრებით ადამიანის ღირსების ხელშეუხებელი უფლების დაცვის პრინციპის თანახმად, არავის აქვს უფლება მიიღოს კანონის საფუძველზე სხვათა სიცოცხლის ღირებულებაზე შეფასებითი გადანყვეტილება. საბოლოო ჯამში, რამდენადაც საკუთარი სიცოცხლის მატერიალურ ჭრილში შეფასება არ ხდება, იგივე უნდა მოქმედებდეს ამ შემთხვევაშიც სხვის სიცოცხლეზეც. ამდენად, ვერავინ შეძლებს იურიდიულად აღიარებული ზიანის დადგენას, იმის გამო, რომ საკუთარი (გაგრძელებული) არსებობა ეკონომიკურად არახელსაყრელია.⁹ პირიქით, ადამიანმა უნდა მიიღოს თავისი ცხოვრება ისე, როგორც იგი შექმნილია ბუნების მიერ. ზიანის მიყენების

თვალსაზრისით, არასასურველ ბავშვს არ უნდა მოვეპყრათ ისე, თითქოს – რომ არა სამედიცინო შეცდომა – დაბადებულად არც კი მიიჩნეოდა, ამიტომ გამოორიციხულია ბავშვის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე, რადგან იგი საკუთარი სიცოცხლის არარსებობის მოთხოვნასთან განუყოფლად იქნება დაკავშირებული.¹⁰

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საკითხი ანალოგიურად წარმოიშვება მაშინ, როდესაც ექიმი მოვალეობის დარღვევის მიუხედავად, მძიმე ავადმყოფს სიცოცხლეს უხანგრძლივებს, მისი ნების საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაშიც, მატერიალური (გამონვეული უწყვეტი სამედიცინო მკურნალობის ხარჯებით) და არამატერიალური (ტანჯვის გახანგრძლივებით გამოწვეული) მოთხოვნები ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაუშვებელია, რადგან სამართლებრივი წესრიგი ასეთ შემთხვევაშიც კი კრძალავს ადამიანის სიცოცხლის – მაშინაც კი, როდესაც ადამიანს ტანჯვის მეტი არაფერი რჩება – ზიანად დაკვალიფიცირებას.¹¹ იგივე პრინციპი მოქმედებს, თუ თვითმკვლელობა ვერ მოხერხდა ევთანაზიაში ჩართული მესამე მხარის არასაკმარისი „ეფექტური“ წვლილის გამო (თუ

⁸ BGH, Urteil vom 18. Januar 1983 - VI ZR 114/81 - BGHZ 86, 241, juris Rn. 44; BGH, Urteil vom 2. April 2019 - VI ZR 13/18 - BGHZ 221, 352, juris Rn. 13 ff.

⁹ BGH, Urteil vom 18. Januar 1983 - VI ZR 114/81 - BGHZ 86, 241, juris Rn. 41; BGH, Urteil vom 2. April 2019 - VI ZR 13/18 - BGHZ 221, 352, juris Rn. 15. ამ გადანყვეტილებებში საუბარია სხვისი სიცოცხლის ღირებულების შესახებ. თუმცა მომდევნო განცხადებების შინაარსში ასევე საუბარია საკუთარი ცხოვრების გაუფასურებაზეც. საკუთარ ცხოვრების ასეთი ზომის დიაპაზონში უმაღლესი ფედერალური სასამართლოს პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად იზიარებს იმ აზრს, რომ თითოეულ ინდივიდის მიერ საკუთარი ცხოვრების თავისებურად შეფასებასა და უაზრო არსებობისთვის ბოლოს მოღების გადანყვეტილებას, სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან, როგორც ავტონომიური თვითგამორკვევის აქტს, პატივი უნდა მიეგოს. (BVerfG, Urteil vom 26. Februar 2020 - 2 BvR 2347/15 - BVerfGE 153, 182, juris Rn. 209 ff.). []ქ საუბარი არ არის თვითგამორკვევის უფლების მასშტაბებზე, სიცოცხლის დამასრულებელი ღონისძიებების გატარების დროს, არამედ აქ საუბარია იმაზე, შეიძლება თუ არა არსებობაში (სიცოცხლეში) ან არსებობის (სიცოცხლის) გაგრძელებაში სამართლებრივად აღიარებული ქონებრივი ნაკლი

იღოს. მაგალითად, პირის მიერ სუიციდის გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში დასადგენი იქნებოდა, თუ მესამე პირი, რომელიც (პირობითად კანონით რომ იყოს დაშვებული) სუიციდის ხელშეწყობის პროცედურის დროს სუიციდის მსურველს დაეხმარება (მაგ. სანამღალის მოძიებაში) ხოლო მისი დახმარება ეფექტური არ აღმოჩნდა და სუიციდის მსურველი გადარჩა, შესაძლებელია თუ არა, რომ მისი სიცოცხლის გაგრძელებით გამოწვეული ხარჯების (ცხოვრების ხარჯები ა.შ.) ანაზღაურება დამხმარეს დაეკისროს. ასეთ ზიანზე ორიენტირებული სამართლებრივი შეხედულება, რომლის მიხედვითაც ადამიანის არსებობა ზიანის ტოლფასი იქნება, საჯარო წესრიგით, ადამიანის ღირსების დაცვის მიზნით ვერ იქნება აღიარებული იმისგან დამოუკიდებლად, რომ სიცოცხლის დასრულების გადანყვეტილებას ძირითადად სახელმწიფომ ან საზოგადოებამ პატივი უნდა სცეს.

¹⁰ BGH, Urteil vom 18. Januar 1983 - VI ZR 114/81 - BGHZ 86, 241, juris Rn. 48; BGH, Urteil vom 16. November 1993 - VI ZR 105/92 - BGHZ 124, 128, juris Rn. 35 ff.; BGH, Urteil vom 2. April 2019 - VI ZR 13/18 - BGHZ 221, 352, juris Rn. 15.

¹¹ BGH, Urteil vom 2. April 2019 - VI ZR 13/18 - BGHZ 221, 352, juris Rn. 14 ff.

ვივარაუდებთ, რომ ეს კანონით დასაშვებია).¹² ამიტომ, ევთანაზიის თანაშემწეს არ შეიძლება დაეკისროს ის ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება თვითმკვლელობის მსურველის სიცოცხლის არასასურველი გაგრძელებით.

ბ) თუმცა, ეს არ მოქმედებს ექიმის ვალდებულებაზე, აუნაზღაუროს ბავშვს არასწორად განხორციელებული, წარუმატებელი აბორტის გამო, მიყენებული ზიანი. ეს ზიანი არ არის გამონვეული ბავშვის, როგორც ასეთის, არსებობიდან, არამედ მდგომარეობს იმაში, რომ მას ფიზიკური ზიანი მიადგა წარუმატებელი აბორტის შედეგად.¹³

ბ) მოთხოვნის საფუძველი და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები

სამედიცინო შეცდომა, რომელიც ვლინდება წარუმატებელ აბორტსა თუ არასასურველ ორსულობაში, კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს წარმოშობს. კერძოდ, რომელი მეუღლე შეიძლება ჩაითვალოს სახელშეკრულებო და დელიქტური ზიანის ანაზღაურების კრედიტორად და რა ქონებრივი დანაკლისი უნდა ანაზღაურდეს.

ა.ა) სახელშეკრულებო ურთიერთობის დაცვის ფარგლები

1) უპრობლემოა ექიმთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მის მიმართ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ სამედიცინო ვალდებულების არასათანადო შესრულებით იყო არასასურველი ორსულობა ან არასასურველი მშობიარობა გამონვეული.

(2) ექიმთან ასეთი ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობები ჩვეულებრივ მხოლოდ ერთ მშობელთან არსებობს; კერძოდ დედასთან კონტრაცეპტული ღონისძიების გატარებისა თუ

აბორტის შემთხვევაში ან მამასთან, მისი სტერილიზაციის დროს. თუმცა, არასასურველი ორსულობის შედეგად გამონვეული ეკონომიკური ტვირთი, განსაკუთრებით ალიმენტის ვალდებულება (ჯანმრთელობის დაზიანებით დაბადებული ბავშვის სამედიცინო მკურნალობის ხარჯების ჩათვლით) არ არის განსაზღვრული სამედიცინო მკურნალობის ხელშეკრულების მხარეების მიერ, არამედ განისაზღვრება საოჯახო სამართლის რეგულაციებით. აქედან გამომდინარე, მშობლების ცხოვრების პირობების ინდივიდუალურ მონყობაზე დამოკიდებული, ექნებათ თუ არა და თუ ექნებათ, რა საზომით განისაზღვრება ექიმის მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამონვეული მატერიალური ზიანის ოდენობა, ხელშეკრულების მხარის ან ალიმენტის გადახდაზე ვალდებული პირის წინაშე. ამიტომ, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ მკურნალი ექიმის ხელშეკრულების პარტნიორს შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი პრინციპის შესაბამისად, თუ, გამონაკლის შემთხვევებში, თითოეულ მზრუნველ პირს, თავისი წილი მზრუნველობის ფარგლებში, წარმოშობილი ხარჯების ნაწილში.

ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტის მქონე გარიგების სამართლის პრინციპების მიხედვით.¹⁴ ამ ტიპის გარიგება ეფუძნება ხელშეკრულების დამატებით განმარტებას და შესაბამისად დაკავშირებულია მხარეთა ჰიპოთეტურ ნებასთან, რომელიც უნდა დადგინდეს გსკ-ის 157-ე პარაგრაფის შესაბამისად, კეთილსინდისიერებისა და პატიოსნების პრინციპის გათვალისწინებით.¹⁵ დეტალურად:

¹² ამასთან დაკავშირებით მოკლე განმარტება მე-9 ველში.

¹³ BVerfG, Urteil vom 28. Mai 1993 - 2 BvF 2/90 - BVerfGE 88, 203, juris Rn. 269; იხ. ასევე BGH, Urteil vom 11. Januar 1972 - BGHZ 58, 48, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 6. Dezember 1988 - VI ZR 132/88 - BGHZ 106, 153, juris Rn. 12; zur Schädigung des Nasciturus allgemein: BGH, Urteil vom 11. Januar 1972 - BGHZ 58, 48, juris Rn. 9 ff.; BGH, Urteil vom 6. Dezember 1988 - VI ZR 132/88 -

BGHZ 106, 153, juris Rn. 12; zusammenfassend: Staudinger/Hager, (2017) § 823 BGB Rn. B 42.

¹⁴ ამ თემასთან დაკავშირებით ქართულ სამართალში: Rusiashvili, Kommentar zum georgischen Zivilgesetzbuch, Band III, Tbilisi 2019, Art. 349 Rn. 37 ff.; Rusiashvili/Dardjania/Maisuradze, Fallsammlung zum Schuldrecht AT, Tbilisi 2019, 25 ff.; Rusiashvili, Schuldrecht AT, Tbilisi 2020, 229 ff.

¹⁵ BGH, Urteil vom 14. März 2023 - II ZR 162/21 - ZIP 2023, 1019, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 27. Februar 2020 - VII

(2.1) მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტის მქონე გარიგების ფარგლებში, მესამე პირი, რომელიც არ არის ჩართული ხელშეკრულებაში, ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვისა და მზრუნველობის სახელშეკრულებო მოვალეობის ადრესატი, რათა ამ დამცავი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში (ხელშეკრულების მხარედ გახდომის ან, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგების მსგავსად, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების მინიჭების გარეშე) წარმოეშვას საკუთარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹⁶ ასეთი სამართლებრივი დაცვითი ეფექტი განპირობებულია, იმით რომ, მესამე პირი ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულების შესრულებასთან კავშირშია და ხელშეკრულების კრედიტორს მესამე პირის ხელშეკრულების დაცვის სფეროში მოხვედრის პირადი ინტერესი გააჩნია. საბოლოო ჯამში, ხელშეკრულებაში მესამე პირის ჩართულობა ცნობილი ან სულ მცირე აღქმადი უნდა იყოს ხელშეკრულების მოვალისთვის.¹⁷ იმისათვის, რომ მოვალის პასუხისმგებლობა განუზომლად არ გაიზარდოს, მკაცრი მოთხოვნები უნდა დაწესდეს მესამე პირების სახელშეკრულებო დაცვით პროგრამაში ჩართვაზე.¹⁸

(2.2) აქედან გამომდინარე, ორსულობის თავიდან აცილების მიზნით მიმართული სამედიცინო ღონისძიების გატარებისას, მეუღლე ხვდება სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების დაცვის სფეროში, სულ მცირე, მაშინ, როდესაც სამედიცინო ღონისძიება მეუღლეების ერთიანი (მათ შორის ეკონომიური) ცხოვრების

სეული და ოჯახური გეგმის ნაწილია.¹⁹ ანალოგიურად, ექიმის კონსულტაციის ან სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულების დაცვის სფეროში ხვდება ქმარიც ან რეგისტრირებულ სამოქალაქო თანაცხოვრებაში მყოფი პირი, თუ სამედიცინო ღონისძიება აბორტის შესახებ კონსულტაციას ან მის განხორციელებას გულისხმობს.²⁰

არ არის სავალდებულო, რომ თანაცხოვრებისა და ოჯახის შექმნის დაგეგმვა, რომელშიც ბავშვების ყოლა არ მოიაზრება, საბოლოოდ ჩამოყალიბებული და გადანყვებილი იყოს. საკმარის მიზეზად ჩაითვლება სამედიცინო ჩარევის მომენტში ბავშვის ყოლის სურვილის არქონა; მაშინაც კი, თუ, მაგალითად, ზოგადად არსებობს პროფესიული რეალიზაციის შემდეგ და/ან სხვა პარტნიორთან ერთად, შვილების გაჩენის.²¹

ასევე მნიშვნელობა არ აქვს ურთიერთობის სტატუსს, პირები ქორწინებაში²² იმყოფებიან თუ რეგისტრირებულ სამოქალაქო თანაცხოვრებაში.²³ ასევე მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა წარმოდგენა აქვს ექიმს რეგისტრირებულ სამოქალაქო თანაცხოვრებაში მყოფი პირის შესახებ.²⁴ საკმარისია, თუკი მის მიერ აღქმული იყო, რომ სამედიცინო ღონისძიება საერთო ოჯახური ან ცხოვრებისეული გადანყვებილი იყო მოტივირებული.

უმალლეს ფედერალურ სასამართლოს არ გადაუნყვებია, სტერილიზაციის შემთხვევაში, ხვდებიან თუ არა სტერილიზებული პირის მომავალი, რეგისტრირებულ სამოქალაქო თანაცხოვრებაში მყოფი, პარტნიორები და, ზოგადად,

ZR 151/18 - BGHZ 225, 23, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 9. Juli 2020 - IX ZR = 289/19 - ZIP 2020, 1720, juris Rn. 12.
¹⁶ BGH, Urteil vom 14. März 2023 - II ZR 162/21 - ZIP 2023, 1019, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 27. Februar 2020 - VII ZR 151/18 - BGHZ 225, 23, juris Rn. 22; BGH, Urteil vom 9. Juli 2020 - IX ZR 289/19 - ZIP 2020, 1720, juris Rn. 12.
¹⁷ BGH, Urteil vom 14. März 2023 - II ZR 162/21 - ZIP 2023, 1019, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 27. Februar 2020 - VII ZR 151/18 - BGHZ 225, 23, juris Rn. 22.
¹⁸ BGH, Urteil vom 27. Februar 2020 - VII ZR 151/18 - BGHZ 225, 23, juris Rn. 21.

¹⁹ BGH, Urteil vom 18. Juni 2002 - VI ZR 136/01 - BGHZ 151, 133, juris Rn. 109; BGH, Urteil vom 14. November 2006 - VI ZR 48/06 - NJW 2007, 989, juris Rn. 23.
²⁰ BGH, Urteil vom 18. Juni 2002 - VI ZR 136/01 - BGHZ 151, 133, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 14. November 2006 - VI ZR 48/06 - NJW 2007, 989, juris Rn. 24.
²¹ BGH, Urteil vom 14. November 2006 - VI ZR 48/06 - NJW 2007, 989, juris Rn. 13.
²² ამაზე: BGH, Urteil vom 18. März 1980 - VI ZR 247/78 - NJW 1980, 1452, juris Rn. 23.
²³ ამაზე: BGH, Urteil vom 14. November 2006 - VI ZR 48/06 - NJW 2007, 989, juris Rn. 22 ff.
²⁴ BGH, Urteil vom 14. November 2006 - VI ZR 48/06 - NJW 2007, 989, juris Rn. 25.

სხვა სექსუალურ კავშირში მყოფი პირები ხელშეკრულების დაცვის ფარგლებში. ამაზე, ალბათ, უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული, რადგან იმისთვის, რომ პირი ხელშეკრულების დაცვის სფეროში მოხვდეს, მისი დადებისა და განხორციელების მომენტში, შესაბამისი გარემოებები უნდა არსებობდეს, თანაცხოვრების ან ოჯახური ერთობის ფარგლებში დასახული გეგმის სახით. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალი ექიმისთვის რეგისტრირებულ სამოქალაქო თანაცხოვრებაში მყოფი პარტნიორის იდენტობის შესახებ რაიმე კონკრეტული წარმოდგენის ქონა აუცილებელი არ არის, ხელშეკრულებით წარმოშობილ დაცვის სფეროში (ექიმისთვის სამედიცინო ღონისძიების გატარების მომენტისათვის უცნობი) რეგისტრირებული სამოქალაქო თანაცხოვრების მომავალი პარტნიორები ან სხვა სექსუალურ კავშირში მყოფი პირები ვერ მოხვებიან, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ ჩატარებული სტერილიზაციის წარმატების სჯეროდათ. ეს, ერთი მხრივ, გამოიწვევს უცნობი მესამე პირის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად ექიმისთვის პასუხისმგებლობის რისკის წარმოშობას, რაც ხელშეკრულებას, ისედაც გამონაკლისი სახით დაშვებულ დაცვის სფეროს უსამართლოდ გააფართოებს. მეორე მხრივ, ექიმის პასუხისმგებლობა მაშინაც დადგებოდა, თუ აბორტი თანაცხოვრების ან ოჯახური ერთობის ფარგლებში გეგმის სახით არ იყო დასახული.

ამას ასევე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ერთ-ერთ საქმეში გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ბავშვის მამის – 12 წლის ორსულ ბავშვსა და ექიმს შორის დადებული ჩასახვის საწინააღმდეგოდ გატარებული ღონისძიებისთვის ხელშეკრულების – დაცვის სფეროში მოხვედრა უარყო, რადგან გამოირკვა, რომ ამ ღონისძიებამდე ბავშვი უკვე ორსულად იყო.²⁵

ბ.ბ) დედის მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დელიქტური ნორმების საფუძველზე

წარუმატებელი სტერილიზაციის ან წარუმატებელი აბორტის შემთხვევაში, დედას შეიძლება წარმოეშვას დელიქტური მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ, გამომდინარე იქიდან რომ, არასასურველი ორსულობა ან ორსულობის შენარჩუნება დედის ფიზიკური მთლიანობისა და თვითგამორკვევის უფლების მნიშვნელოვან ხელყოფას იწვევს. მაშასადამე, საკუთარი სხეულის, როგორც პიროვნების ზოგადი უფლების ნაწილის დაცვის მიზნით, ექიმის პროფესიული შეცდომა, სულ მცირე სამოქალაქო სამართლის ფარგლებში, სხეულის დაზიანებად უნდა ჩაითვალოს. დედის თვითგამორკვევის უფლებიდან გამომდინარე, არ იცვლება ფაქტი, რომ ორსულობა, როგორც ასეთი, ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესია.²⁶

(1) დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დელიქტური პასუხისმგებლობისთვის საჭირო კაუზალური კავშირი, ექიმის დაშვებულ შეცდომასა და სხეულის დაზიანებას შორის, უმეტესწილად არ გამოირიცხება ამ შუალედურად მომხდარი სქესობრივი აქტით.²⁷ აქედან გამომდინარე, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ცოლისთვის სხეულის დაზიანების მიყენება მაშინაც მოცემულად ითვლება, თუ ქმრის სტერილიზაცია წარუმატებელი იყო და იმის იმედად, რომ მეუღლე ვერ დაორსულდებოდა, წყვილს დაუცველი სქესობრივი კავშირი ჰქონდათ, რამაც გამოიწვია არასასურველი ორსულობა.²⁸

ისევე, როგორც მესამე პირის მიმართ დამცავი ეფექტის მქონე ხელშეკრულების პრინციპების შესაბამისად ქალს გაუჩნდება დელიქტური სამართლიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, თუ მამაკაცი სტერილიზებულია

²⁵ BGH, Urteil vom 19. Februar 2002 - VI ZR 190/01 - NJW 2002, 1489, juris Rn. 9.

²⁶ BGH, Urteil vom 18. März 1980 - VI ZR 247/78 - NJW 1980, 1452, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 27. Juni 1995 - VI ZR 32/94 - NJW 1995, 2407, juris Rn. 17; verfassungsrechtlich gebilligt in: BVerfG, Beschluss vom

12. November 1997 - 1 BvR 479/92 - BVerfGE 96, 375, juris Rn. 58.

²⁷ BGH, Urteil vom 27. Juni 1995 - VI ZR 32/94 - NJW 1995, 2407, juris Rn. 18.

²⁸ BGH, Urteil vom 27. Juni 1995 - VI ZR 32/94 - NJW 1995, 2407 juris Rn. 18.

და აღნიშნული აქტი ერთობლივი ოჯახური გემის ნაწილს წარმოადგენდა. მხოლოდ ბავშვის ყოლის ან არყოლის ერთობლივ გადაწყვეტილებას შეუძლია გამოიწვიოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისთვის საჭირო სიახლოვე კაუზალური ჯაჭვის დასაწყისსა (მაკაკაცის წარუმატებელი სტერილიზაცია) და დასასრულს შორის, (არასასურველი ორსულობის შესაჩერებლად განხორციელებული სამედიცინო ღონისძიებით გამოწვეული სხეულის მთლიანობისა და თვითგამორკვევის უფლების ხელყოფა).

ამ ფაზისგან განსხვავებულ შემთხვევაში, კაუზალური კავშირი ვერ იქნება მოცემული; იმ შემთხვევაშიც კი, თუ სექსუალურ კავშირში მყოფ პირებს იმის სჯერათ, რომ დაუცველ სქესობრივ აქტს, ერთ-ერთი მათგანის სავარაუდო სტერილიზაციის გამო, რაიმე არასასურველი შედეგები არ მოჰყვება.

(2) არასასურველი ორსულობით გამოწვეული ფიზიკური მთლიანობის დარღვევა ნიშნავს, რომ ქალს უფლება აქვს მიიღოს მატერიალური კომპენსაცია იმ ტკივილისა და ტანჯვისთვის, რომელიც გამოწვეულია ფიზიკური მთლიანობისა და ორსულობასთან დაკავშირებული თვითგამორკვევის უფლების დარღვევით.²⁹ თუმცა, საეჭვოდ ჟღერს, რომ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას მხოლოდ წარუმატებელი ორსულობის შეწყვეტისას იმ შემთხვევაში უშვებს, როდესაც ორსულობიდან გამომდინარე ფიზიკური და სულიერი ტკივილები ბუნებრივი ორსულობისთვის დამახასიათებელ ნორმას აღემატება.³⁰

გ.გ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები, კერძოდ რჩენის ხარჯებით გამოწვეული ზარალი:

(1) სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ შემოიფარგლება წარუმატებელი სამედიცინო ჩარევის (სტერილიზაცია, აბორტი) ხარჯების ანაზღაურებით, არამედ ზოგადად ვრცელდება არასასურველი ბავშვის რჩენის ხარჯებზეც.³¹ ეს ეხება, როგორც ბავშვის ზოგადი რჩენის ხარჯებს, ასევე ბავშვის შესაძლო შეზღუდული შესაძლებლობის შედეგად გამოწვეულ დამატებით ხარჯებსაც. ბავშვის რჩენის ხარჯების (ანუ არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეული დამატებითი ხარჯების) ანაზღაურების ვალდებულება არ გამოირიცხება მაშინაც კი, თუ დედამ ან მშობლებმა ნაყოფის მოშორება მხოლოდ იმის გამო გადაწყვიტეს, რომ ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობებით დაბადების რისკი არსებობდა.³² გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო აღნიშნულს ასაბუთებს იმით, რომ ერთი მხრივ, ბავშვის არსებობასა და მის პიროვნულ ღირებულებას, ხოლო მეორე მხრივ, მშობლებისთვის წარმოშობილი რჩენის ტვირთის ერთმანეთისაგან გამიჯვნა დელიქტური სამართლის ფარგლებში შესაძლებელია.³³ მაშასადამე, საქმე ეხება ორი დამოუკიდებელი ქონების სფეროებს, რომელშიც ღირსების დაცვის ხელშეუხებელი უფლება მხოლოდ ბავშვის და არა მარჩენალების უფლებებს ზღუდავს.

სასამართლოს ეს დადგენილი პრაქტიკა ნაწილობრივ კრიტიკის საგანი ხდება, რადგან

²⁹ BGH, Urteil vom 27. Juni 1995 - VI ZR 32/94 - NJW 1995, 2407, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 18. Januar 1983 - VI ZR 114/81 - BGHZ 86, 240, juris Rn. 31 ff.; BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 19; შდრ. კონსტიტუციურ-სამართლებრივი ჭრილიდან: BVerfG, Urteil vom 28. Mai 1993 - 2 BvF 2/90 - BVerfGE 88, 203, juris Rn. 269.

³⁰ ასე BGH, Urteil vom 18. Januar 1983 - VI ZR 114/81 - BGHZ 86, 240, juris Rn. 32, იმ შემთხვევაზე, როდესაც ნითელის ინფექციის დროს (Rubeola) ვალდებულების საწინააღმდეგოდ აბორტი არ გაკეთდა და ნითელას გამო ინფექციით დაზიანებული ბავშვის საკეისროთი (sectio Caesarea) დაბადება გახდა საჭირო; BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878,

juris Rn. 19, სულიერ პრობლემებზე ორსულობის დროს.

³¹ BGH, Urteil vom 31. Januar 2006 - VI ZR 135/04 - NJW 2006, 1660, juris Rn. 10.

³² umfassend zu dieser Thematik: BGH, Urteil vom 16. November 1993 - VI ZR 105/92 - BGHZ 124, 128, juris Rn. 25 ff.; weiterhin: BGH, Urteil vom 18. Juni 2002 - VI ZR 136/01 - BGHZ 151, 133, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 4. Dezember 2001 - VI ZR 213/00 - BGHZ 149, 236, juris Rn.9; ღიათ დარჩა BGH, Urteil vom 2. April 2019 - VI ZR 13/18 - BGHZ 221, 352, juris Rn. 29.

³³ BGH, Urteil vom 16. November 1993 - VI ZR 105/92 - BGHZ 124, 128, juris Rn. 36.

ადამიანის ცხოვრების (კონსტიტუციურად დაუშვებელ) ირიბ შეფასებას იწვევს. თუმცა, ეს კრიტიკა, როგორც ჩანს, უსაფუძვლოა, რადგან გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო თავისი სასამართლო პრაქტიკით არასასურველი ბავშვის დაბადების შედეგად წარმოშობილი რჩენის ხარჯებით გამონვეული ზარალის ანაზღაურებისთვის მხოლოდ მშობლების ქონების სფეროს ითვალისწინებს და ფაქტობრივად წარმოშობილ რჩენის ხარჯებს დელიქტური სამართლის საფუძველზე აკომპენსირებს. მშობლის ქონების სფეროს დაცვა ექიმის ქმედების ვალდებულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რადგან – როგორც უფრო დეტალურად არის ახსნილი ქვემოთ (2) – ექიმის პასუხისმგებლობა მოითხოვს, რომ სამედიცინო ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს ორსულობის თავიდან აცილებას ან შეწყვეტას, ცხოვრებისეული და ოჯახური გეგმის ნაწილს შეადგენდეს. ამ კუთხით, ექიმსა და მშობლებს შორის უშუალოდ წარმოიშვება დამცავი ვალდებულება რჩენის ხარჯებთან მიმართებით, ანუ, არა მხოლოდ შუალობითი ეკონომიკური კავშირი ექიმი-ბავშვი-მშობელი სამკუთხედის მეშვეობით. მხოლოდ სამკუთხედიანი კავშირის საფუძველზე ბავშვის მოთხოვნების კონსტიტუციური საფუძველით აკრძალვამ შესაძლოა თავშივე გამოიწვიოს მშობლების მოთხოვნის უფლების გამორიცხვა.

ზიანისადმი ასეთი სამართლებრივი პოზიციის შემთხვევაში არც ადამიანის ღირსების უფლებასთან შეუსაბამო ბავშვის სიცოცხლის მატერიალური შეფასება არ ხდება და არც არასასურველი ორსულობით ან მშობიარობით გამოწვეული ფინანსური შედეგები განიხილება ისე, თითქოს ბავშვის არსებობა იყოს ზიანი. ეს უკვე ვლინდება იმაში, რომ მშობლის მზრუნველობის ვალდებულებასთან არის კავშირში (რაც უშუალოდ მოიცავს ექიმთან დადებული ხელშეკრულების დაცვის ფარგლებს), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ზიანის დადგენის საფუძველს მხოლოდ საოჯახო სამართალი წარმოადგენს. ქონე-

ბის ამ ორს სფეროს არ აქვთ ერთმანეთთან თანაკვეთა, ასე რომ რჩენის ხარჯების ანაზღაურება არაპირდაპირ ბავშვის ცხოვრებისეულ მოთხოვნებთან (ქონებრივი დანაკლისი) ვერ იქნება ზიანის ოდენობის განმსაზღვრელი. საოჯახო სამართლის ფარგლებში რეგულირებული რჩენის მოთხოვნის უფლება თავიდანვე შემოიფარგლება რჩენის შესახებ დადგენილი რეგულაციებით, რომლებშიც აქცენტი კეთდება მშობლების ეკონომიკური შესაძლებლობებზე. ის, მართალია, არ შეიძლება იყოს იმაზე მაღალი, ვიდრე ბავშვის საყოფაცხოვრებო მოთხოვნები, ობიექტური შეფასებით, თუმცა არც სარკისებურად ასახავს მას. იმ შემთხვევაში, თუ რჩენის ვალდებულება გაუქმდა, იქნება ეს მშობლების გარდაცვალებით გამონვეული, ან იმის გამო, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, შენარჩუნების ვალდებულების მოთხოვნები ეფუძნება ზრდასრული ბავშვების მოთხოვნებს, ამ მომენტიდან მოყოლებული ექიმის ზარალის ანაზღაურების ვალდებულება ცნებულს არსებობას; და ეს მოქმედებს მაშინაც, როდესაც, მიუხედავად შეცვლილი რჩენის სამართლებრივი ჩარჩო-პირობებისა, არასასურველი ბავშვის საარსებო საჭიროებები უცვლელი დარჩა.³⁴

გამოთქმული მოსაზრებები არ ემსახურება იმას, რომ ამ მეტწილად მგრძობიარე სამართლებრივ-ეთიკურ და კონსტიტუციურ საკითხზე, საფუძვლიანი მიზეზების გამო, განსხვავებული შეხედულებები არსებობდეს. ასევე არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ მშობლებისთვის რჩენის ხარჯების ანაზღაურებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მშობლისა და ბავშვის ურთიერთობაზე და ბავშვის თვითშეფასებაზე.

თუმცა, უსამართლოდ მიგვაჩნია ამ სასამართლო პრაქტიკის მიმართ გამოთქმული ზოგიერთი კრიტიკა, რომ რჩენის ვალდებულების მქონე მშობლების ქონებრივი სფეროს კავშირი წინა პლანზე არ დგას და მატერიალურად თანასწორი მდგომარეობის უზრუნველყოფა ვერ ხდება,

³⁴ შდრ. ამ თემასთან დაკავშირებით zu der Thematik umfassend: BGH, Urteil vom 16. November 1993 - VI ZR 105/92 – BGHZ 124, 128, juris Rn. 36 ff.

როგორც ბავშვის მიერ პირადად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში იქნებოდა, რომ არა კონსტიტუციური აკრძალვა.

ამ თემაზე უმაღლესი ფედერალური სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებები არ არსებობს. თავდაპირველად, უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ნორმის კონტროლის პროცედურის ფარგლებში აღნიშნა, რომ ყველა სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებაა პატივი სცეს თითოეული ადამიანის არსებობას, რაც კრძალავს ბავშვის რჩენის ვალდებულების, ზიანად იდენტიფიცირებას.³⁵ თუმცა, ამის შემდეგ გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ, მის მიერ ამ საკითხის კიდევ ერთხელ განხილვისას, გაამყარა თავისი წინა გადაწყვეტილება და მიუთითა იმაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საკონსტიტუციო სარჩელის ფარგლებში კონსტიტუციის დარღვევა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ვერ აღმოაჩინა.³⁶

(2) თუმცა, რჩენის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს.

ზიანის ზოგადი პრინციპების თანახმად, კომპენსაციის გადახდის ვალდებულების წინაპირობაა, ექიმის მიერ ჩადენილი შეცდომით გამოწვეული ზიანი მკურნალობის ხელშეკრულების დაცვის სფეროში მოხდეს. აღნიშნული გამოირიცხება, თუ ქმდება, რომელიც ექიმის მიერ წარუმატებლად ჩატარდა სამართლებრივ წესრიგს ეწინააღმდეგება, მაგალითად კანონით აკრძალული აბორტი.³⁷ იურიდიული თვალსაზრისით, ეს განსაკუთრებით პრობლემურია ტყუპებზე ორსულობის შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის ნაკლით დაბადება მხოლოდ ერთ ბავშვს ემუქრება, ხოლო ორსულობა ან მთლიანად, ან საერთოდ არ უნდა შეწყდეს.³⁸

გარდა ამისა, შეუძლებელია ხელშეკრულების დაცვის მიზანთან კავშირი არ არსებობდეს,

თუ დედას ან მშობლებს ზოგადად შვილის ყოლა სურდათ, მაგრამ თავს იკავებენ ბავშვის მოსალოდნელი ჯანმრთელობის ნაკლის გამო. თუ ასეთ ვითარებაში ორსულობის თავიდან აცილების ან შეწყვეტისკენ მიმართული ქმედება წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ არსებული რისკი არ რეალიზდება (ანუ ჯანმრთელი ბავშვი დაიბადება), მიუხედავად ობიექტური კაუზალობისა, ვერ ჩაითვლება მოცემულად შინაგანი კავშირი, რომელიც აუცილებელია ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოსაშობად. მშობლებს ამ შემთხვევაში, მართალია, ექიმისგან შეუძლიათ მოითხოვონ წარუმატებელი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება, მაგრამ არა ბავშვის რჩენის ხარჯების ანაზღაურება.

კომპენსაციის გადახდის ვალდებულების წარმოშობის შემდგომი წინაპირობაა, რომ არასასურველი ბავშვის დაბადებასთან ერთად დედას ან მშობლებს ეკონომიკური ტვირთი ან რჩენის ხარჯები წარმოეშვათ, რომელიც მიზანმიმართულად ექიმთან დადებული კონსულტაციისა თუ სამედიცინო ღონისძიების ხელშეკრულების (მიზნით მოცულად და შესაბამისად დაცვის სფეროს) ნაწილად უნდა ითვლებოდეს.³⁹ თუმცა, აღნიშნული, როგორც წესი, სახეზეა იმ შემთხვევაში მიიჩნევა, როდესაც სამედიცინო ღონისძიება დედის ან მშობლების ცხოვრებისეული ოჯახის გეგმის ნაწილს წარმოადგენდა. მაშინაც კი, თუ ეს გადაწყვეტილება ძირითადად სხვა მიზეზებით იყო მოტივირებული (განათლების მიღება; კარიერული პერსპექტივები; ბინის მდგომარეობა; გადატვირთულობის შიში და ა.შ.), ასეთ სიტუაციებში, მცირე დოზით, ეკონომიკური ფაქტორი მაინც მოქმედებს დედის ან მშობლების გადაწყვეტილების მიღებაზე, რაც, როგორც წესი ექიმისთვისაც ცხადია. ხოლო, თუ ამასთანავე ბავშვის ჯანმრთელობის დეფექტით დაბადების საშიშროება არსებობს, მაშინ მით

³⁵ BVerfG, Urteil vom 28. Mai 1993 - 2 BvF 2/90 - BVerfGE 88, 203, juris Rn. 269.

³⁶ BVerfG, Beschluss vom 12. November 1997 - 1 BvR 479/92 - BVerfGE 96, 375, juris Rn. 66 ff.

³⁷ BGH, Urteil vom 31. Januar 2006 - VI ZR 135/04 - NJW 2006, 1660, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 28. März 1995 - VI ZR 356/93 - BGHZ 129, 178, juris Rn. 16; ამასთან დაკავშირებით ასევე 2. ბ) -ში 2023 წლის 14

თებერვლის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილების განხილვა.

³⁸ ამასთან: BGH, Urteil vom 4. Dezember 2001 - VI ZR 213/00 - BGHZ 149, 236, juris Rn. 21 ff.

³⁹ შდრ. BGH, Urteil vom 15. Februar 2000 - VI ZR 135/99 - BGHZ 143, 389, juris Rn. 8 და იქ მითითებული ლიტერატურა.

უმეტეს მშობლების მოტივაცია მალალი იქნება, რადგან როგორც წესი ასეთი შედეგი განსაკუთრებულ ფინანსურ ტვირთთან არის დაკავშირებული.

თუ, ექიმთან კონსულტაციის ან მკურნალობის ხელშეკრულება მხოლოდ სამედიცინო გამოკვლევებს ითვალისწინებს (მაგ. ორსულობის დროს ცხოვრებისადმი ინტერესის დაკარგვის ან სუიციდური კრიზისის გამო), ანუ, კვლევებით არ იკვეთება ნაყოფის სავარაუდო საფრთხე, ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების დაცვის ფარგლები ბავშვის რჩენით გამოწვეული ზედმეტი ხარჯებისგან დაცვაზე აღარ ვრცელდება.⁴⁰ ამის მიზეზი არის ის, რომ ასეთ სიტუაციაში, როგორც წესი, აქცენტი კეთდება ორსულობის დროს არსებული სერიოზული საფრთხის თავიდან აცილებაზე და არა მშობიარობის შემდგომი ცხოვრების დაგეგმარებაზე. თუმცა, თუ ზრუნვის საგანს, მშობიარობის შემდგომ ბავშვის რჩენა ან მისი სათანადო ცხოვრების პირობების შექმნა წარმოადგენს და ეს საკითხი ორსულზე ნეგატიურად აისახება, სახელშეკრულებო ურთიერთობის დაცვის ფარგლები შეიძლება გავრცელდეს ასევე ბავშვის რჩენის ხარჯებზეც.⁴¹

გარდა ამისა, დაცვის ფარგლებთან კავშირი შეიძლება გამოირიცხოს, თუ პასუხისმგებლობის განმაპირობებელი შიდა მიზეზი, კერძოდ, ოჯახური გეგმების შესრულება სამომავლოდ შეუძლებელი ხდება.⁴² მაგალითად, თუ მშობლებს წინასწარ განსაზღვრული რაოდენობის ბავშვების ყოლა სურდათ, მაგრამ, ერთ-ერთი ბავშვის გარდაცვალების გამო და არასასურველი ბავშვის დაბადებით, ბავშვების სასურველი რიცხვი აღდგება.⁴³

2. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, 2023 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებაში - VI ZR 295/20 - გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ განიხილა ექიმის ვალდებულებები სამედიცინო პრენატალური კონსულტაციის გაცემისას, ასევე, მცდარი დიაგნოზის გამო ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. ამ კონტექსტში ასევე უნდა განხილულიყო აბორტის სამედიცინო დიაგნოზის წინაპირობები.

ა) სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების კვლევის შედეგად დადგინდა რომ, მოსარჩელემ მიმართა სამედიცინო დახმარებას, რათა რაც შეიძლება ადრე მიეღო ინფორმაცია ნაყოფის შესაძლო დაზიანების შესახებ და საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

ასეთ ვითარებაში ექიმი ვალდებულია ორსულს ყოვლისმომცველი რჩევები მისი სამედიცინო გამოცდილებისა და ცოდნის დონის საფუძველზე მისცეს და ის სამედიცინო ფაქტები გაუზიაროს, რომლებიც სამართლებრივ წესრიგთან შესაბამისობაშია და აუცილებელია ორსულობის გაგრძელებაზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მისაღებად.⁴⁴ ინფორმაციისა და რჩევის მიცემის ეს ვალდებულება მოიცავს ინფორმაციას პათოლოგიური გართულების ალბათობაზე, კერძოდ, მის სირთულესა და მის შედეგებზე ბავშვისთვისა და ორსული დედისთვის.⁴⁵ ეს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად, გასაგებ ენაზე

⁴⁰ BGH, Urteil vom 18. Juni 2002 - VI ZR 136/01 - BGHZ 151, 133, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 15. Februar 2000 - VI ZR 135/99 - BGHZ 143, 389, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 19. Februar 2002 - VI ZR 190/01 - NJW 2002, 1489, juris Rn. 13; OLG Karlsruhe, Urteil vom 19. Februar 2020 - 7 U 139/16 - MedR 2021, 52, juris Rn. 66.

⁴¹ BGH, Urteil vom 18. Juni 2002 - VI ZR 136/01 - BGHZ 151, 133, juris Rn. 29; BGH, Urteil vom 4. Dezember 2001 - VI ZR 213/00 - BGHZ 149, 236, juris Rn. 19.

⁴² BGH, Urteil vom 14. November 2006 - VI ZR 48/06 - NJW 2007, 989, juris Rn. 21.

⁴³ BGH, Urteil vom 18. März 1980 - VI ZR 247/78 - BGHZ 76, 259, juris Rn. 313.

⁴⁴ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 14; იხ. ასევე BGH, Urteil vom 7. Juli 1987 - VI ZR 193/86 - NJW 1987, 2923, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 22. November 1983 - VI ZR 85/82 - BGHZ 89, 95, juris Rn. 10 ff.

⁴⁵ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 14; იხ. ასევე BGH, Urteil vom 7. Juli 1987 - VI ZR 193/86 - NJW 1987, 2923, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 22. November 1983 - VI ZR 85/82 - BGHZ 89, 95, juris Rn. 14.

უნდა მიენოდოს ორსულს.⁴⁶ ასევე უნდა დადგინდეს საერთოდ არის თუ არა ცდომილების გაკეთების შანსი, და თუ არის, მაშინ უნდა შეფასდეს.⁴⁷ მძიმე ჯანმრთელობის ნაკლის რისკის დრამატიზება არ უნდა მოხდეს.⁴⁸ მკურნალ პირს არ აქვს იმის უფლება, რომ თავისი კონსულტაციის შინაარსის უკითხავად მის პერსონალურ შეხედულებებს მოარგოს ან სამედიცინო ფაქტებს საკუთარი შეფასება მისცეს ორსულის კომპეტენციაში ჩარევით.⁴⁹

ამის საფუძველზე გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მკურნალობის შეცდომა დადგენილად მიიჩნია, რადგან იზოლირებულმა ტუმბოს აგენებმა მძიმე შედეგები გამოიწვია, რომელიც განვითარების შეფერხებებსა და სწავლის უნარის დარღვევის ფარგლებსაც სცილდებოდა. ხოლო, მკურნალმა ექიმმა მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფიის ანალიზების განხილვის დროს არ გააფრთხილა დედა ბავშვის მოსალოდნელი შეზღუდული შესაძლებლობების რისკების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ რისკების რეალიზების ალბათობა არც თუ უმნიშვნელო იყო.

ბ) თუმცა გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები წარმოადგენს.

ერთი მხრივ, სააპელაციო სასამართლომ დაუშვა პროცედურული შეცდომა ვარაუდით, რომ მოსარჩელე, როგორც მან განმარტა დაამტკიცებდა - (ჰიპოთეტურად) აბორტის გაკეთების გადაწყვეტილებას მიიღებდა, სათანადო რჩევის შემთხვევაში. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ახალშობილებში

მძიმე აიკარდის სინდრომის განვითარება „იშვიათობას“ წარმოადგენს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ 200-მდე დადასტურებული შემთხვევით და რომ მისი აღმოჩენა მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფიის სურათებზე ვერ მოხერხდებოდა. შესაბამისად, გადანყვეტდა თუ არა დედა აბორტის გაკეთებას, თუ კონსულტაცია სათანადოდ განხორციელდებოდა, ფაქტობრივად რეალიზებული ალიკარდის სინდრომის გამო, მნიშვნელობას კარგავს.⁵⁰

მეორე მხრივ, აბორტის კანონიერების დადასტურება სააპელაციო სასამართლოს მიერ მოყვანილი მიზეზების საფუძველზე შეუძლებელია. თუმცა, თუ უკანონო აბორტის გაკეთებას (გაკეთების შესახებ გადაწყვეტილებას) ეხებოდა საქმე (როგორც ამას სააპელაციო წარმოება პროცედურული მიზეზების გამო ვარაუდობს), მაშინ კონსულტაციის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დაცვის მიზნობრივი კავშირი სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან მიმართებით გამოირიცხება.⁵¹ ამისთვის მხოლოდ (სასამართლოს მიერ დასადგენი) ობიექტური კანონიერებაა გადამწყვეტი და არა ის, შეძლებდა თუ არა ორსული უფრო „ლიბერალური“ შეხედულების მქონე ექიმის პოვნას, რომელიც მზად იქნებოდა გაეკეთებინა აბორტი.⁵²

ამ კონტექსტში, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო დავის ცენტრალურ საკითხად ასახელებს თემას, რომლის მიხედვითაც უნდა დადგინდეს, თუ რა კრიტერიუმები უნდა იქნეს დასახელებული, რომ ორსული ქალის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერიოზული დარღვევები გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 218a II პარაგრაფის მიხედვით მოცემულად ჩაითვალოს.

⁴⁶ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 14; იხ. ასევე BGH, Urteil vom 27. Juni 1995 - VI ZR 32/94 - NJW 1995, 2407, juris Rn. 13.
⁴⁷ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 14; იხ. ასევე BGH, Urteil vom 16. November 1993 - VI ZR 105/92 - BGHZ 124, 128, juris Rn. 16.
⁴⁸ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 14; იხ. ასევე BGH, Urteil vom 7. Juli 1987 - VI ZR 193/86 - NJW 1987, 2923, juris Rn. 9.
⁴⁹ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 14; იხ. ასევე BGH, Urteil vom 22.

November 1983 - VI ZR 85/82 - BGHZ 89, 95, juris Rn. 14.
⁵⁰ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 20.
⁵¹ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 22; იხ. ასევე BGH, Urteil vom 31. Januar 2006 - VI ZR 135/04 - NJW 2006, 1660, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 18. Juni 2002 - VI ZR 136/01 - BGHZ 151, 133, juris Rn. 12.
⁵² შდრ. BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 28.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში უთითებს უმაღლესი ფედერალური სასამართლო სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაზე და იზიარებს იქ განვითარებულ მსჯელობას, რომლის მიხედვითაც უნდა არსებობდეს რთული მდგომარეობა, რომელიც ორსულისგან საკუთარი ცხოვრებისეული ფასეულობების იმგვარ მსხვერპლშენიერვას მოთხოვს, რომ ამის მოლოდინი ვერ იარსებებს.⁵³ აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობებით დაბადებისას, მოხდა თუ არა დედის ცხოვრების იმდენად დამძიმება, რომ მისთვის ცხოვრება ამის შემდეგ გაუსაძლისი გახდება. (განსაკუთრებით ფსიქიკური) ჯანმრთელობის დარღვევის ნიშნები ისეთ მძიმე ფორმებში უნდა ვლინდებოდეს, რომ ჯერ დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებამ მეორე პლანზე გადაინაცვლოს ინტერესების ანონ-დანონვისას.⁵⁴

თუ (როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში) დედის გადაწყვეტილების მიღების მომენტში გაურკვეველია იქნება თუ არა ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შშმ ბავშვის დაბადების ალბათობა. ეს საბოლოო ჯამში ნიშნავს იმას, რომ ასეთი მოცემულობით დიაგნოზის დასმა (ექმნება თუ არა საფრთხე დედის ჯანმრთელობას) ორმაგ გაურკვეველობასთან არის დაკავშირებული. ე. ი. გაურკვეველია, იქნება თუ არა ბავშვი დაბადებისას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და გაურკვეველია, თუ რა გავლენას მოახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადება (რისკის რეალიზება) დედის ჯანმრთელობაზე (განსაკუთრებით ფსიქიკურ მდგომარეობაზე). თუ შეუძლებელია იმ ფაქტის, რომ ბავშვი შშმ პირი იქნება, როგორც დადგენა ისე სრულად უარყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების განვითარების

ალბათობის ხარისხი, რომელიც აუცილებელია დედის ჯანმრთელობისთვის ბავშვის სიცოცხლის უფლებაზე პრიორიტეტის მინიჭებისთვის, დამოკიდებულია მოსალოდნელი ზიანის სიმძიმეზე. რაც უფრო სერიოზულია ზიანის შიში, მით ნაკლებია ნაყოფის შენარჩუნების ალბათობა; თუ დედის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, შედარებით დაბალი რისკიც კი შეიძლება საკმარისი იყოს.⁵⁵

ამ სიკეთების ერთმანეთთან შედარებისას, დაუშვებელია ორსულობის ხანგრძლივობის ყურადღების მიღმა დატოვება. ეს განსაკუთრებით იმ შემთხვევებს ეხება, როდესაც ბავშვის სიცოცხლისუნარიანობის მოლოდინი დედის სხეულისგან მოშორების შემგომ გამორიცხული არ არის ან (როგორც აქ) სავარაუდოდაც კი მიიჩნევა მისი გადარჩენა, ისე რომ ორსულობის შესაწყვეტად ბავშვი საშვილოსნოში უნდა მოიკლას.⁵⁶ თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი უკვე (ჰიპოთეტურად თუ რეალურად) სიცოცხლისუნარიანი გახდა, არაფერს ცვლის იმ ფაქტთან მიმართებით, რომ ბავშვის სიცოცხლის ფუნდამენტური უფლება ორსულობის ხანგრძლივობის დიფერენცირებაზე არ არის დამოკიდებული.⁵⁷

გ) გარდა ამისა, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ადგენს, რომ დელიქტური პასუხისმგებლობა სხეულის დაზიანების ან დედის ჯანმრთელობის დაზიანებისთვის მხედველობაში მიიღება ის ფაქტიც, რომ, თუ ექიმის კონსულტაცია არ შეესაბამება სამედიცინო სტანდარტს და ეს მდგომარეობა – გართულებული ორსულობის ტვირთის მიღმა –, ეს დედის დამატებით ფსიქოლოგიურ ტრავმას იწვევს.⁵⁸

დ) და ბოლოს, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო მიუთითებს მის წინა სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის მიხედვითაც, დედის რეგისტრირებული სამოქალაქო თანაცხოვრებაში მყოფი პარტნიორი, როგორც წესი,

⁵³ BVerfG, Urteil vom 28. Mai 1993 - 2 BvF 2/90 - BVerfGE 88, 203, juris Rn. 172.

⁵⁴ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 23.

⁵⁵ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 27.

⁵⁶ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 19, 28.

⁵⁷ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 28; შდრ. ასევე BVerfG, Urteil vom 28. Mai 1993 - 2 BvF 2/90 - BVerfGE 88, 203, juris Rn. 166, 196.

⁵⁸ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 19; იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ 1. b) bb).

მასსა და ექიმს შორის დადებული პრენატალური დიაგნოსტიკის შესახებ ხელშეკრულების დაცვის სფეროში ხვდება.⁵⁹

3. BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486

სახელმძღვანელო წინადადება:

1. 2020 წლის გაზაფხულზე SARS-CoV-2 ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სადალაქოს მუშაობის ექვსკვირიანი აკრძალვის თანაზომიერებასთან დაკავშირებით.

2. COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული საქმიანობის აკრძალვა, საერთო ეკონომიკური, სოციალური და სხვა დამდგარი შედეგების გათვალისწინებით, რომელმაც მასიური ზემოქმედება იქონია ბიზნესის მფლობელზე, იმდენად სერიოზულად ვერ ჩაითვლება, რომ წარმოიშვას კონსტიტუციური ვალდებულება კონსტიტუციის 14 I 2 მუხლის მიხედვით კომპენსაციის მოთხოვნათა ნორმირებისთვის. სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულია. შესაბამისად, პანდემიის დროს მოსახლეობის დასაცავად იგი თავისი კარდინალური მოვალეობებით უნდა შემოიფარგლოს...

ფაბულის ძირითადი შინაარსი:

მოსარჩელე ითხოვს კომპენსაციას მოპასუხე ფედერალური მინისტრისგან, სადალაქოს დროებით დახურვის შედეგად შემოსავლის დაკარგვის გამო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ 2020 წლის გაზაფხულზე კორონავირუსის SARS-CoV-2 და COVID-19 დაავადების გავრცელების წინააღმდეგ მთავრობის მიერ შესაბამისი ზომები იქნა გატარებული.

სასამართლოს მოტივებიდან:

1. გადანყვეტილება, პირველ რიგში, ვრცლად ეხება საკითხს, აქვს თუ არა მოსარჩელეს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია, ინფექციის

შესახებ ფედერალური კანონისა და ფედერალური მინისტრის პოლიციის კანონის მიხედვით, კომპანიის დროებით დახურვის გამო.

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო უარყოფს პრეტენზიებს ინფექციებისგან დაცვის შესახებ კანონის საფუძველზე, რადგან ის მხოლოდ იმ პირების კომპენსაციის წესს არეგულირებს, რომლებიც ინფექციისგან დაცვის კანონის თვალსაზრისით დამრღვევებად ითვლებიან (საფრთხის გამომწვევები, ავადმყოფები, სავარაუდოდ ინფიცირებულები და ა.შ.), მაგრამ არა დამცავი ზომებით დაზარალებულ ფართო საზოგადოების პრეტენზიებს.⁶⁰ შემდგომ გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ კომენტარი გააკეთა იმის თაობაზე, არსებობს თუ არა კომპენსაციის მოთხოვნის უფლება პოლიციის შესახებ კანონმდებლობის (მომწესრიგებელი ნორმების) საფუძველზე, როდესაც პრეტენზიები წარდგენილია იმ პირების მიერ, რომლებიც არ მიიჩნევიან დამრღვევებად. აქ საჭირო იყო პოლიციური სამართლის მიხედვით (სახელმწიფოს კანონიერი მოქმედების პირობით) ზიანის კომპენსაციას წესსა და სავაჭრო ობიექტების დაკეტვის განკარგულების გამცემი ორგანოს პასუხისმგებლობის ერთმანეთთან დაკავშირება და კანონიერების დამოუკიდებლად გადამოწმება. გადანყვეტილებაში სამართლებრივად ყველაზე მნიშვნელოვანი თემა ეხება ბოლოსკენ დასმულ საკითხს, მოითხოვს თუ არა საკუთრების უფლების კონსტიტუციური გარანტია ფინანსური კომპენსაციის გაცემას ბიზნესის ექვსკვირიანი დახურვისთვის.

2. გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ კომპანიის ექვსკვირიანი დახურვა კანონიერად მიიჩნია.

ა) უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი ფედერალური სასამართლო აცხადებს, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ კომპანიების დახურვის ლეგიტიმური მიზანი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და კორონა-პანდემიით გამოწვეულ საფრთხესთან ბრძოლას ემსახურებოდა.

⁵⁹ BGH, Urteil vom 14. Februar 2023 - VI ZR 295/20 - NJW 2023, 1878, juris Rn. 31; იხ. ასევე BGH, Urteil vom 18. Juni 2002 - VI ZR 136/01 - BGHZ 151, 133, juris Rn. 10; იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ 1. b) aa).

⁶⁰ BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486, juris Rn. 18 ff.; ასევე : BGH, Urteil vom 17. März 2022 - III ZR 79/21 - BGHZ 233, 107, juris Rn. 17 ff.

ამით სახელმწიფომ შეასრულა კონსტიტუციური მოვალეობა, დაეცვა თავისი მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. პანდემიის დასაწყისში კანონის ამ ლეგიტიმური მიზნით შესაძლებელი გახდა, თვით ძირითადი უფლებების სერიოზული ხელყოფაც გამართლებულად მიჩნეულიყო,⁶¹ რადგან 2020 წლის მარტის მეორე ნახევარში სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობას და არსებობდა საავადმყოფოების გადატვირთვის რისკი.⁶²

ბ) ბიზნესის საქმიანობის ექვესკვირიანი აკრძალვა ასევე იყო გამოსადეგი, აუცილებელი და თანაზომიერი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო, სხვა საკითხებთან ერთად, აცხადებს:⁶³

„(1) გამოსადეგობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტ როლს თამაშობს ის გარემოება, თუ რამდენად არის შესაძლებელი გამოყენებული საშუალებებით ლეგიტიმური ობიექტური მიზნის მიღწევა. თუ მიზანი მიღწევადია, გამოსადეგობა მოცემულად მიიჩნევა, სადაც კანონმდებელს, ძირითად შემთხვევაში, შეფასების უფლებამოსილება [დისკრეტია] გააჩნია ღონისძიების შესაბამისობასთან მიმართებით...“

ამ შემთხვევაში ეს პირობები შესრულებულია. საქმიანობის აკრძალვა, ნებისმიერ შემთხვევაში, გამოსადეგი იყო იმისთვის, რომ ადამიანების შეკრება (ასევე) სადალაქოებში(ც) არ მომხდარიყო და ამით თავიდან აცილებული ყოფილიყო ინფექციის მოსალოდნელი ჯაჭვების („კლასტერების“) ჩამოყალიბება და გამრავლება.

ამას უნდა შეენელებინა SARS-CoV-2 ვირუსის გავრცელების ექსპონენციალური ზრდა. შედეგად თავიდან აცილებულ იქნა ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო დანებსებულებების გადატვირთვა და გამოთავისუფლდა საკმარისი დროითი რესურსი მკურნალობისა და პრევენციის გეგმათა შემუშავებისთვის (მაგ. ვაქცინების წარმოების უზრუნველყოფა)...“

(2) საქმიანობის აკრძალვა, რომელიც შემოიფარგლებოდა რამდენიმე კვირით, ასევე აუცილებელი იყო, რადგან შესაბამისი, უფრო მსუბუქი ზომები ხელმისაწვდომი არ იყო.

კანონი აუცილებლად ჩაითვლება, თუ კანონის შემოქმედს არ გააჩნია არჩევანის თავისუფლება, სხვა, თანაზომად ეფექტური საშუალების ასარჩევად, რომელიც ნაკლებად ზღუდავს ძირითად უფლებას, თუმცა კანონმდებელს ამ მხრივაც აქვს შეფასების თავისუფალი სივრცე (BVerfG, Beschluss vom 19.November 2021 - 1 BvR 781/21 - BVerfGE 159, 223, juris Rn, 204).

კორონა პანდემიის დასაწყისში გავრცელებული ინფორმაციიდან გამომდინარე, კანონმდებელს ჰქონდა საბაბი ეფიქრა, რომ არ არსებობდა SARS-CoV-2 ვირუსის გადაცემის თავიდან აცილების თანაზომად გამოსადეგი, უფრო მსუბუქი საშუალება, ვიდრე სამენარმეო საქმიანობის აკრძალვა. ვინაიდან ეს იყო ერთადერთი გზა, რომელიც აპრიორი შეუძლიდა ხელს კონტაქტების დამყარებას ადამიანებს შორის, რომლებიც ქმნიდნენ კორონა ვირუსის გადაცემის რისკს. ვაქცინაციები, მოსახლეობის შესაბამისი იმუნიზაცია და პერსპექტიული მკურნალობის ვარიანტები ამ დროისთვის ხელმისაწვდომი არ იყო... გაზრდილი ჰიგიენური ზომებით, როგორცაა მომხმარებელთა რაოდენობის შეზღუდვა და პირბადეების ტარება, უზრუნველყოფდა, რომ ამით დაინფიცირების რისკი შემცირებულიყო, თუმცა ვირუსის გავრცელების რისკს ნულამდე ვერ დაიყვანდა. ანუ, ადამიანებს შორის პირდაპირი კონტაქტის სრული აკრძალვის გარეშე, სასურველი შედეგის მიღება, ამ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა (...).

(3) სადალაქოების მუშაობის აკრძალვა ვინრო გაგებით ასევე შესაბამისი იყო – ლეგიტიმური მიზნის მიღწევის თანაზომიერი ღონისძიება. ღონისძიება მიიჩნევა ვინრო გაგებით შესაბამისად (თანაზომიერად), თუ მისი მიზანი და მიზნის მოსალოდნელი მიღწევა უფლების ხელყოფით გამონკვეულ შეზღუდვასთან მიმართებით

⁶¹ შდრ. ასევე BVerfG, Beschluss vom 23. März 2022 - 1 BvR 1295/21 - NJW 2022, 1672, juris Rn. 21.

⁶² BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486, juris Rn. 33.

⁶³ მონაკვეთი : BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486, juris Rn. 34 ff. (ციტატა უმნიშვნელოდ არის შეცვლილი).

პროპორციულია (...). კანონმდებელი დისკრეციული უფლებამოსილებით არის აღჭურვილი ასევე თანაზომიერების შემონახვის ნაწილში (BVerfG, Beschluss vom 19. November 2021 - 1 BvR 971/21 - BVerfGE 159, 355, juris Rn. 167).

საქმიანობის აკრძალვით გამონვეული მოსარჩელის პროფესიული თავისუფლების, ასევე, დაფუძნებული და მოქმედი ბიზნესის შეზღუდვისა და საქმიანობის უფლებაში ჩარევას მნიშვნელოვანი წონა აქვს. მოპასუხე, ფედერაციული მინის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ფუნქციონირების ექვსკვირიანმა აკრძალვამ ასევე კონსტიტუციის 14 I მუხლით გათვალისწინებული (რედაქციული შენიშვნა: საკუთრების გარანტია) დაცვის ფარგლებშიც შეიჭრა, რადგან ასეთი ღონისძიებები პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიაზე, როგორც ეკონომიკურ ორგანიზმზე. ეს ხელს უშლის მის შეუფერხებელ ფუნქციონირებას და მფლობელს ართმევს საშუალებას საწარმოში ინვესტირებული მატერიალური და პერსონალური რესურსები დანიშნულების შესაბამისად გამოიყენოს. ამან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბიზნესის არსებობას ან გამოინვიოს საქმის სრული დაკარგვა. მაშასადამე, საუბარია არა მარტო გერმანიის კონსტიტუციის 12 I მუხლით დაცულ უფლებაზე (სარედაქციო შენიშვნა: პროფესიის თავისუფლება) (...).

მოსარჩელეს სადალაქო ბიზნესი, 2020 წლის 23 მარტიდან მაისის დასაწყისამდე, დახურული უნდა დაეტოვებინა, ჯამში, ექვსი კვირის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნებით, მას რაიმე წვლილი არ მიუძღოდა ინფექციის გავრცელებაში. თუმცა, ამის საპირისპიროდ, კორონა ვირუსის ექსპონენციალური გავრცელების საფრთხე და ჯანდაცვის სისტემის გადატვირთვის საშიშროება მოითხოვდა შორსმჭვრეტელო მოქმედებას, რათა შენელებულიყო ინფექციის გავრცელების პროცესი, ადამიანთა დიდი რაოდენობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცავად და გერმანიის ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირებაუნარიანობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად (...).

კომპანიის დახურვის შედეგად ადრესატთა უფლების შეზღუდვის სიმძიმე ასევე მნიშვნელოვნად შემსუბუქდა სხვადასხვა და მრავალი სახელმწიფო დახმარების ღონისძიებების გატარებით იმ კომპანიებისთვის, რომლებიც საქმიანობის აკრძალვით დაზარალდნენ (რედაქციული შენიშვნა: შემდგომში იქნება ჩამოთვლილი დეტალურად რა სახელმწიფო დახმარებები იქნა გაცემული გერმანიაში)... ღონისძიების თანაზომიერების შემონახვისას, ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქმიანობის შეწყვეტის ბრძანების ხანგრძლივობა, რომელიც 6 კვირას არ აჭარბებდა, საწარმოს რისკის გათვალისწინებით, გონივრულ ფარგლებს არ სცდებოდა და საწარმოს მიერ ფიზიკურად ასატანი იყო. ასევე გასათვალისწინებელია, რომ განკარგულების გამოცემის თავიდანვე შემუშავებული ჰქონდა „უკან დახევის სტრატეგია“ და საჯარო სივრცის ეტაპობრივი გახსნის კონცეფცია, რომელიც მის მიერ განხორციელდა კიდევ (...).

3. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ასევე უარყოფს პრეტენზიებს, რომლებიც სამართლებრივად „ექსპროპრიაციის ტოლფასი ეფექტის“ მქონე ქმედების არსებობას დაემყარებოდა.

ამ ინსტიტუტის სამართლებრივი წინამძღვრები ვერ ჩაითვლება მოცემულად, როდესაც საქმე ეხება ინფექციისგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებებით მიყენებული ზიანის კომპენსაციას. „ექსპროპრიაციის ტოლფასი ეფექტის“ ინსტიტუტი არ ყოფილა შემუშავებული მასობრივად გავრცელებულ „გლობალურ ფენომენთან“ გასამკლავებლად.⁶⁴

ასევე არ არის რეკომენდებული, საკუთრების კონსტიტუციური უფლების დაცვის მიზნით, მოსარჩელის ამ ტიპის კომპენსაციის უფლებით აღჭურვა. აქ დასახელებული ინფექციისგან თავდაცვის ღონისძიებები (კომპანიის დახურვა) ადგენენ საკუთრების უფლების კონსტიტუციური შეზღუდვის ფარგლებს (გერმანიის კონსტიტუციის 14 I 2 მუხლი; მსგავსად საქართველოს კონსტიტუციის 19 2 მუხლისა). მესა-

⁶⁴ BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486, juris Rn. 46; იხ. ასევე BGH, Urteil vom 10. Dezember 1987 - III ZR 220/86 - BGHZ 102, 350, juris

Rn. 20 ff.; საჯარო მოხელის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ფართო მასშტაბებში ჰაერის დაბინძურებით გამონვეული ტყის დაზიანების გამო.

კუთრის უფლებამოსილების შეზღუდვა, რომელიც სამართლიანად აწონასწორებს მესაკუთრის ინტერესებსა და საჯარო კეთილდღეობის მოთხოვნებს, გამომხატავს საკუთრების უფლების სოციალურად დაქვემდებარებულ ბუნებას (გერმანიის კონსტიტუციის 14 | 2 მუხლი), რაც კომპენსაციის გარეშე უნდა იყოს მიღებული. კანონმდებელმა შეიძლება შეიმუშაოს კომპენსაციის რეგულაციები, რათა მესაკუთრეს გაუმართლებელი სამართლებრივი ტვირთი არ დააწვეს მხრებზე. თუმცა, ეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული კანონმდებლობის საფუძველზე უნდა მოხდეს და შესაბამისად, არა სამოსამართლეო სამართლის მეშვეობით.⁶⁵

საკანონმდებლო ორგანო, ასევე, კონსტიტუციური კანონის გარეშეც, ვალდებული იყო ეკონომიკური საქმიანობის აკრძალვით გამოწვეული საკუთრების უფლების შეზღუდვისთვის, შესაბამისი მატერიალური კომპენსაცია გაეთვალისწინებინა. კორონავირუსის პანდემიას სერიოზული შედეგები მოჰყვა თითქმის ყველა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში. ამ ფაქტის შესაბამისად სადალაქოს ექვსკვირიანი დახურვა არ იყო გაუსაძლისი, იმ სამეწარმეო საქმიანობის რისკის გათვალისწინებით, რომელიც ზოგადად ვრცელდება ბიზნესის მფლობელზე. ისეთ კრიზისში, როგორც არის კორონა პანდემია, საზოგადოებას უფლება ჰქონდა უფრო მეტი მოითხოვოს ინდივიდებისგან, ვიდრე ნორმალურ პირობებში. ეს ასევე ცვლის თანაზომიერების სტანდარტს, რომლითაც უნდა გადანყიდეს, არსებობს თუ არა სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის კომპენსაციის ვალდებულება.

უფლების განსაკუთრებული ინტენსივობით შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც კანონით განსაზღვრული კომპენსაციის მოთხოვნის უფლების მიღებაა შესაძლებელი, მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდს უფრო მეტად შეეზღუდება უფლებები, ვიდრე სხვა ადამიანებს,

რომლებიც ზუსტად ასევე ექცეოდნენ აღნიშნული ღონისძიებების მოქმედების სფეროში. აღნიშნული შემთხვევა მოცემულ ფაბულაში არ ფიქსირდება.⁶⁶

პანდემიის დროს სამეწარმეო საქმიანობის აკრძალვით მიყენებული ზიანის კომპენსაციის შემთხვევაში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ზოგად ფარგლებს გადაკვეთდა, რაც სახელმწიფოს გადატვირთვას გამოიწვევდა. თუმცა, კონსტიტუცია არ ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს შეასრულონ შეუძლებელი ამოცანები. შესაბამისად, სახელმწიფო პანდემიის დროს მოსახლეობის დასაცავად თავისი კარდინალური ვალდებულების შესრულებით შემოიფარგლება.⁶⁷

ამდენად, პანდემიით განსაკუთრებულად დაზარალებული ეკონომიკური სექტორების დახმარება გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან (კონსტიტუციის 20 | მუხლი) და არა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ან ზიანის კომპენსაციის ვალდებულებიდან. საუბარია იმაზე, რომ საზოგადოებამ უნდა გაიზიაროს საერთო ტვირთი, რომელიც ბედისწერის კარნახით წარმოიშობა და მხოლოდ შემთხვევით პიროვნებათა გარკვეულ ჯგუფს ეხება. ასეთი შედეგების მისაღწევად სახელმწიფოს მნიშვნელოვანი დისკრეციული თავისუფლება გააჩნია.⁶⁸

III. სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებები:

1. OLG Oldenburg, Urteil vom 14. Dezember 2022 - 5 U 70/19 - NJW-RR 2023, 453

სახელმძღვანელო წინადადება:

1. დადგენილი პრინციპის ფარგლებში ყველა სიახლე არ წარმოადგენს „საცდელი მკურნალობის მეთოდს“ (Neulandmethode), რომლის შესახებაც პაციენტის ინფორმირება სავალდებულოა.

⁶⁵ BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486, juris Rn. 48; იხ. ასევე BGH, Urteil vom 17. März 2022 - III ZR 79/21 - BGHZ 233, 107, juris Rn. 59 ff.

⁶⁶ BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486, juris Rn. 51.

⁶⁷ BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486, juris Rn. 52.

⁶⁸ BGH, Urteil vom 11. Mai 2023 - III ZR 41/22 - ZIP 2023, 1486, juris Rn. 53.

2. არის ეს საცდელი მკურნალობის მეთოდი თუ უბრალოდ დამკვიდრებული პრინციპის ვარიაცია (რომელიც ცალკე განმარტებას არ საჭიროებს) დამოკიდებულია იმაზე, ექიმის მიერ მკურნალობის არჩეული მეთოდი, პაციენტის უსაფრთხოების ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, განსხვავდება თუ არა სხვა დამკვიდრებული მეთოდებისგან იმდენად, რომ შეიძლება მოიცავდეს დამატებით, უცნობ რისკებს.

3. მალათაშუა დისკოს პროთეზები ვისკოელასტიური ბირთვით წარმოადგენს დამკვიდრებულ პრინციპს, ასეთი პროთეზების გამოყენება ტიტანის ნაცვლად პოლიკარბონატის (Cadisc) საფარის ფირფიტებით, წარმოადგენს მხოლოდ დადგენილი პრინციპის ვარიაციას და ამიტომ არ საჭიროებს პაციენტის ცალკე ინფორმირებას.⁶⁹

2. OLG Bamberg, Beschluss vom 21. Februar 2023 - 4 U 222/22 - NJW 2023, 1229

სახელმძღვანელო წინადადება:

1. თუ მოხუცთა თავშესაფარში ხანდაზმული მოქალაქე გაურკვეველი მიზეზით დაეცემა დაწესებულების გარეთ გასეირნებისას, როდესაც მას თან ახლავს დაწესებულების თანამშრომელი, სრულად კონტროლირებადი მკურნალობის რისკი გსკ-ის 630h I პარაგრაფის მიხედვით არ ჩაითვლება განხორციელებულად. გასეირნება, მომვლელის თანხლების შემთხვევაშიც კი, არ წარმოქმნის რაიმე კონკრეტულ რისკს, რომელიც სპეციფიკურად დამახასიათებელია მოხუცთა სახლისთვის და რომლის გამორიცხვაც შესაძლებელია სათანადო ყურადღების შემთხვევაში.

2. გასეირნების დროს თანხლებას, რომელიც ცხადია (გსკ-ის 291-ე პარაგრაფი) შეიძლება ნებისმიერმა ჯანმრთელმა და (აქ სტაჟიორმა) საშუალო პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ზრდასრულმა პირმა საკუთარ თავზე იტვირთოს; არ არის აუცილებელი სპეციალური კვალიფიკაცია, რომლის არარსებობა, გსკ-ის 630h

IV პარაგრაფის მიხედვით, მტკიცების ტვირთს შეამსუბუქებს.

შენიშვნა რედაქციისგან: გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §630h შემდეგნაირად არის ფორმულირებული: (630h პარაგრაფის რეგულაცია შეესაბამება ამ ნორმის ძალაში შესვლამდე სასამართლო პრაქტიკის მიერ დამკვიდრებულ პრინციპებს):

§630h - მტკიცების ტვირთი მკურნალობისა და პაციენტისთვის ინფორმაციის მინოდების დროს დაშვებული შეცდომის გამო პასუხისმგებლობის შემთხვევაში:

(1) მკურნალი ექიმის შეცდომა ივარაუდება, თუ ზოგადი მკურნალობის რისკის რეალიზება მოხდა, რომელიც სრულად იყო კონტროლირებადი მკურნალი ექიმის მიერ, რამაც გამოიწვია პაციენტის სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება.

(2) მკურნალმა ექიმმა უნდა დაამტკიცოს, რომ მან გსკ-ის 630d - პარაგრაფის შესაბამისად თანხმობა მიიღო და გსკ-ის 630e პარაგრაფის მიხედვით პაციენტი სათანადოდ ინფორმირებული იყო. თუ მინოდებული ინფორმაცია გსკ-ის 630e პარაგრაფის მოთხოვნებს არ შეესაბამება, მკურნალ ექიმს შეუძლია თავის მართლება, თუ პაციენტისთვის ინფორმაციის სრულყოფილად მინოდების შემთხვევაშიც იგი თანხმობას განაცხადებდა მკურნალობაზე.

(3) თუ მკურნალმა ექიმმა რეკომენდებული ღონისძიება და დამდგარი შედეგი გსკ-ის 630f I და II პარაგრაფის მიხედვით პაციენტის ანკეტაში არ შეიყვანა ან პაციენტის ანკეტა არ იყო გახსნილი გსკ-ის 630f III პარაგრაფის მიხედვით ივარაუდება, რომ ეს ღონისძიება არ გატარდა.

(4) თუ მკურნალი ექიმი მკურნალობის ჩასატარებლად არ იყო კვალიფიციური, ივარაუდება, რომ კვალიფიკაციის ნაკლებობა იყო სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების მიზეზი.

(5) თუ არსებობს მკურნალობის დროს დაშვებული უხეში შეცდომა, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა, სხეულის ან

⁶⁹ სარედაქციო შენიშვნა: ე.წ. საცდელი მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია სამედიცინო ჟურნალში

www.lawjournal.ge, ნომერი 6/2023, გვერდები 30 და შემდეგ, 44 და შემდეგ II. 4. ბ) - ჰაგენლოხი, პაციენტის ინფორმირება გერმანიაში.

ჯანმრთელობის დაზიანება, მომხდარი დაზიანების მსგავსად, ივარაუდება, რომ დაზიანება დაშვებული შეცდომის მიზეზით მოხდა. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, თუ მკურნალი ექიმის უმოქმედობით დროულად არ იქნა სამედიცინო დასკვნა შედგენილი ან სათანადოდ დაცული, თუ საკმარისი ალბათობით დასკვნის დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა ისეთი შედეგის ჩვენება, რაც სხვა ღონისძიებების გატარებას შესაძლებელს გახდიდა, თუ ამ ღონისძიებების გაუტარებლობა უხეშ დარღვევად ჩაითვლებოდა.

ფაბულის ძირითადი შინაარსი:

დაზარალებული მხარის მემკვიდრე, მოსარჩელე ითხოვს ბარძაყის ყელის მოტეხილობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დაზარალებულმა მოხუცთა სახლში სეირნობის დროს დაცემისას მიიღო. დაზარალებულს და კიდევ ერთ მოხუცს სეირნობის დროს მოხუცთა სახლის პრაქტიკანტი ახლდა. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ იმ დღეს გასეირნება დაუშვებელი იყო მოყინულობისა და დაზარალებულის ფიზიკური მდგომარეობის გამო (რასაც მოპასუხე უარყოფს). მოსარჩელე ასევე მიიჩნევს, რომ გარდა ამისა, სტაჟიორი არ იყო საკმარისად კვალიფიცირებული და დაზარალებული მკლავით არ ეჭირა ისე, როგორც რეკომენდებულია.

სასამართლოს მოტივებიდან:

გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ ზუსტად ვერ დაადგინა, თუ როგორ მოხდა დაზარალებულის დაცემა, კერძოდ იყო თუ არა ეს განპირობებული მოყინული ზედაპირით. ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი ვალდებულების ბრალეული დარღვევისთვის. გერმანიის კანონმდებლობისგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის მი-

ხედვით, ზოგადად, ექიმმა უნდა იმართლოს თავი [რადგან მისი ბრალეულობა ივარაუდება]. თუმცა, ამ ნორმის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა დასაშვები, თუ, ქართული სასამართლო (რაც ალბათ საეჭვოა), სამედიცინო დანესებულების გარეთ გასეირნება მკურნალობის სახედ ჩათვლიდა.

1. მამასადამე, მოცემულ დავაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე იყო, ვის უნდა ემტკიცებინა ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალის არსებობა და ზიანის კაუზალობა. ცალკეული პროცედურული პრინციპების თანახმად, გერმანიაში, მტკიცების ეს ტვირთი მოსარჩელეს დაეკისრებოდა, როგორც პირს, რომელმაც დააყენა შესაბამისი მოთხოვნა. თუმცა ამ წესიდან ორი შესაძლო გამონაკლისია განსახილველი. თუ დაზარალებული მხარის დაცემისას მოხდა ეგრეთ წოდებული სრულად კონტროლირებადი რისკის რეალიზება, ბრალეულობა პრეზიუმირდება.⁷⁰ დღეს ეს უკვე გსკ-ის 630h I პარაგრაფშია დარეგულირებული, თუმცა აღნიშნული სასამართლებრივი მოსაზრება გაბატონებული იყო ასევე პრაქტიკაშიც ამ ნორმის ძალაში შესვლამდე. გსკ-ის 630h IV პარაგრაფის მიხედვით მოვალეობის დარღვევის კაუზალობა შესაძლოა პრეზიუმირებული იყოს (მოხუცებულთა სახლის ფარგლებს გარეთ გასეირნების შემთხვევაში ამ ნორმის გამოყენების საეჭვოობის მიუხედავად) ე.წ. საქმიანობის საკუთარ თავზე აღებისას ბრალეულობიდან⁷¹ გამომდინარე (რაც მოსარჩელის სამტკიცებელია), ანუ, თუ სტაჟიორს არ გააჩნდა პროფესიული კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ორ მოხუცს სასეირნოდ გაჰყოლოდა.

2. ამასთან დაკავშირებით უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ დაადგინა:

ა) მოხუცთა სახლში მომვლელის თანმხლებთან ერთად სეირნობის დროს დაცემა არ წარმოადგენს სრულად კონტროლირებად რისკს. სრულად კონტროლირებადი რისკი, სტანდარტული

⁷⁰ უფრო დეტალურად: ჰაგენლოხი, მტკიცების ტვირთი მკურნალობის დროს დაშვებული შეცდომის გამო გერმანიაში, შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2023, 1, 15-ე და მომდევნო გვერდები (თავი III).

⁷¹ Übernahmeverschulden, რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანიც „კისრებისას ბრალია“, გულისხმობს

შემთხვევას, როდესაც საქმიანობას ხელს კიდებს პირი შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების გარეშე და თავიდანვე ცალსახაა, რომ ის ამ ამოცანას თავს ვერ გაართმევს.

<p>მუხლი 133. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ქორწინების განმავლობაში</p> <p>სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე.</p> <p><u>საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3607 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.</u></p> <p><u>საქართველოს 2019 წლის 18 სექტემბრის კანონი №4956 – ვებგვერდი, 27.09.2019წ.</u></p> <p><u>საქართველოს 2019 წლის 20 დეკემბრის კანონი №5667 – ვებგვერდი, 31.12.2019წ.</u></p>	<p>Art. 133 Hemmung des Verjährungslaufes während der Ehe</p> <p>Der Verjährungslauf von Ansprüchen zwischen Ehegatten ist gehemmt, solange die Ehe besteht. Das gleiche gilt für Ansprüche zwischen Eltern und Kindern bis zur Erlangung der Volljährigkeit der Kinder und für Ansprüche zwischen dem Vormund (Fürsorge) und dem Mündel während der Dauer der Vormundschaft.</p> <p>[Fn.: Das georgische Gesetz v. 31. Oktober 2018, №3607 – Webseite, 21.11.2018.</p> <p>Das georgische Gesetz v. 18. September 2019, №4956 – Webseite, 27.09.2019.</p> <p>Das georgische Gesetz v. 20. September 2019, №5667 – Webseite, 31.12.2019.]</p>	<p>BGB § 207 Hemmung der Verjährung aus familiären und ähnlichen Gründen</p> <p>(1) ¹Die Verjährung von Ansprüchen zwischen Ehegatten ist gehemmt, solange die Ehe besteht. ²Das Gleiche gilt für Ansprüche zwischen</p> <p>1. Lebenspartnern, solange die Lebenspartnerschaft besteht,</p> <p>2. dem Kind und</p> <p>a) seinen Eltern oder</p> <p>b) dem Ehegatten oder Lebenspartner eines Elternteils bis zur Vollendung des 21. Lebensjahres des Kindes,</p> <p>3. dem Vormund und dem Mündel während der Dauer des Vormundschaftsverhältnisses,</p> <p>4. dem Betreuten und dem Betreuer während der Dauer des Betreuungsverhältnisses und</p> <p>5. dem Pfingling und dem Pfleger während der Dauer der Pflegschaft.</p> <p>³ Die Verjährung von Ansprüchen des Kindes gegen den Beistand ist während der Dauer der Beistandschaft gehemmt. ...</p>
<p>მუხლი 134. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება</p>	<p>Art. 134 Hemmung des Verjährungslaufes bei Beteiligung der beschränkt</p>	

შეზღუდულქმედუნარიანის და მხარდაჭერის მიმღების მონაწილეობისას

თუ მოთხოვნა მომდინარეობს შეზღუდულქმედუნარიანისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ან მხარდაჭერის მიმღებისაგან, რომელსაც მხარდაჭერა სათანადო წესით არ გაენია, ანდა მოთხოვნა მიმართულია აღნიშნული პირისადმი, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულად ითვლება, სანამ ეს პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება ან მას კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდაჭერი არ დაენიშნება.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი. 31.03.2015წ.

Handlungsfähigen Geschäftsfähigen und der Betreuungsempfänger

Steht ein Anspruch der beschränkt **handlungsfähigen geschäftsfähigen** Person zu, die keinen gesetzlichen Vertreter hat, oder dem Betreuungsempfänger, der nicht **entsprechend** betreut **wurde-wird,** oder ist der Anspruch gegen solche Personen gerichtet, so gilt der Verjährungslauf als gehemmt, bis die Person unbeschränkt **handlungsfähig geschäftsfähig** wird oder ihr ein gesetzlicher Vertreter oder Betreuer **gestellt bestellt** wird.

[Fn.: Das georgische Gesetz v. 20. März 2015, №3339 – Webseite, 31.03.2015.]

Erl.: Wie in Art. 12 Abs. 1 ist შეზღუდულქმედუნარიანი [urspr.: beschränkt Handlungsfähige] mit "beschränkt Geschäftsfähige" zu übersetzen.

BGB § 210 Ablaufhemmung bei nicht voll Geschäftsfähigen
(1) *Ist eine geschäftsunfähige oder in der Geschäftsfähigkeit beschränkte Person ohne gesetzlichen Vertreter, so tritt eine für oder gegen sie laufende Verjährung nicht vor dem Ablauf von sechs Monaten nach dem Zeitpunkt ein, in dem die Person unbeschränkt geschäftsfähig oder der Mangel der Vertretung behoben wird.* ²*Ist die Verjährungsfrist kürzer als sechs Monate, so tritt der für die Verjährung bestimmte Zeitraum an die Stelle der sechs Monate.*
(2) *Absatz 1 findet keine Anwendung, soweit eine in der Geschäftsfähigkeit beschränkte Person prozessfähig ist.*

მუხლი 135. დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია

დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

Art. 135 Zeitraum der Hemmung des Verjährungslaufes

Der Zeitraum, während dem die Verjährung gehemmt ist, wird in die Verjährungsfrist nicht eingerechnet.

BGB § 209 Wirkung der Hemmung
Der Zeitraum, während dessen die Verjährung gehemmt ist, wird in die Verjährungsfrist nicht eingerechnet.

მუხლი 136. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი

1. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა

Art. 136 Zeitpunkt der Hemmung des Verjährungslaufes

(1) Der Verjährungslauf wird für den Fall gehemmt, dass die im Artikel 132 vorgesehenen Umstände in den letzten sechs Monaten der Verjährungsfrist oder, wenn diese Frist kürzer als sechs Monate ist, während

BGB: Keine entsprechende Regelung.

<p>არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში; ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.</p> <p>2. იმ გარემოებების შეწყვეტის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე; ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადამდე.</p>	<p>der Dauer der Verjährungsfrist entstanden sind oder fortdauern.</p> <p>(2) Vom Tage der Beseitigung der Umstände an, die der Grund für die Hemmung des Verjährungslaufes zugrunde gelegt wurden waren, dauert die Verjährung bis zu sechs Monate und, wenn die Verjährungsfrist kürzer als sechs Monate ist, bis zum Ende der Verjährungsfrist fort.</p>	<p>Vgl. BGB § 204 Hemmung der Verjährung durch Rechtsverfolgung</p> <p>(2) ¹Die Hemmung nach Absatz 1 endet sechs Monate nach der rechtskräftigen Entscheidung oder anderweitigen Beendigung des eingeleiteten Verfahrens. ²Die Hemmung nach Absatz 1 Nummer 1a endet auch sechs Monate nach der Rücknahme der Anmeldung zum Klageregister.</p>
<p>მუხლი 137. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა</p> <p>ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.</p>	<p>Art. 137 Unterbrechung des Verjährungslaufes</p> <p>Der Verjährungslauf wird unterbrochen, wenn der Verpflichtete dem Berechtigten gegenüber den Anspruch durch Abschlagszahlung, Zinszahlung, Sicherheitsleistung oder in anderer Weise anerkennt.</p>	<p>Vgl. BGB § 212 Neubeginn der Verjährung</p> <p>(1) Die Verjährung beginnt erneut, wenn</p> <ol style="list-style-type: none"> 1. der Schuldner dem Gläubiger gegenüber den Anspruch durch Abschlagszahlung, Zinszahlung, Sicherheitsleistung oder in anderer Weise anerkennt oder 2. eine gerichtliche oder behördliche Vollstreckungshandlung vorgenommen oder beantragt wird.
<p>მუხლი 138. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით</p> <p>ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან</p>	<p>Art. 138 Unterbrechung des Verjährungslaufes durch Klageerhebung</p> <p>Der Verjährungslauf wird unterbrochen, wenn der Berechtigte Klage auf Befriedigung oder auf Feststellung des Anspruchs erhebt oder durch andere Mittel den Anspruch zu befriedigen ver <u>Befriedigung</u> sucht, etwa durch Anmeldung des Anspruchs bei einer Behörde, Anrufung eines Gerichtes für die Feststellung eines Anspruchs oder die Vornahme einer</p>	<p>Vgl. BGB § 204 Hemmung der Verjährung durch Rechtsverfolgung</p> <p>(1) Die Verjährung wird gehemmt durch</p> <ol style="list-style-type: none"> 1. die Erhebung der Klage auf Leistung oder auf Feststellung des Anspruchs, auf Erteilung der Vollstreckungsklausel oder auf Erlass des Vollstreckungsurteils, 2. die Zustellung des Antrags im vereinfachten Verfahren über den Unterhalt Minderjähriger, 3. die Zustellung des Mahnbescheids im Mahnverfahren oder des Europäischen Zahlungsbefehls im

სასამართლოში
განცხადებით მიმართვა
მოთხოვნის არსებობის
შესახებ, ანდა
აღმასრულებელი
მოქმედების
განხორციელება.
შესაბამისად
გამოიყენება 139-ე და
140-ე მუხლები.

Vollstreckungshandlung. Die
Artikel 139 und 140 finden
entsprechende Anwendung.

*Europäischen Mahnverfahren
nach der Verordnung (EG) Nr.
1896/2006 des Europäischen
Parlaments und des Rates vom
12. Dezember 2006 zur
Einführung eines Europäischen
Mahnverfahrens (ABl. EU Nr. L
399 S. 1),*

*4. die Veranlassung der
Bekanntgabe eines Antrags, mit
dem der Anspruch geltend
gemacht wird, bei einer*
*a) staatlichen oder staatlich
anerkannten
Streitbeilegungsstelle oder
b) anderen Streitbeilegungsstelle,
wenn das Verfahren im
Einvernehmen mit dem
Antragsgegner betrieben wird;
die Verjährung wird schon durch
den Eingang des Antrags bei der
Streitbeilegungsstelle gehemmt,
wenn der Antrag demnächst
bekannt gegeben wird,*

*5. die Geltendmachung der
Aufrechnung des Anspruchs im
Prozess,*

*6. die Zustellung der
Streitverkündung,*

*6a. die Zustellung der Anmeldung
zu einem Musterverfahren für
darin bezeichnete Ansprüche,
soweit diesen der gleiche
Lebenssachverhalt zugrunde liegt
wie den Feststellungszielen des
Musterverfahrens und wenn
innerhalb von drei Monaten nach
dem rechtskräftigen Ende des
Musterverfahrens die Klage auf
Leistung oder Feststellung der in
der Anmeldung bezeichneten
Ansprüche erhoben wird,*

*7. die Zustellung des Antrags auf
Durchführung eines selbständigen
Beweisverfahrens,*

*8. den Beginn eines vereinbarten
Begutachtungsverfahrens,*

*9. die Zustellung des Antrags auf
Erlass eines Arrests, einer
einstweiligen Verfügung oder
einer einstweiligen Anordnung,
oder, wenn der Antrag nicht
zugestellt wird, dessen
Einreichung, wenn der
Arrestbefehl, die einstweilige
Verfügung oder die einstweilige
Anordnung innerhalb eines
Monats seit Verkündung oder
Zustellung an den Gläubiger dem
Schuldner zugestellt wird,*

*10. die Anmeldung des Anspruchs
im Insolvenzverfahren oder im
Schiffahrtsrechtlichen
Verteilungsverfahren,*

*10a. die Anordnung einer
Vollstreckungssperre nach dem
Unternehmensstabilisierungs-
und -restrukturierungsgesetz,
durch die der Gläubiger an der
Einleitung der
Zwangsvollstreckung wegen des
Anspruchs gehindert ist,*

11. den Beginn des

schiedsrichterlichen Verfahrens, 12. die Einreichung des Antrags bei einer Behörde, wenn die Zulässigkeit der Klage von der Vorentscheidung dieser Behörde abhängt und innerhalb von drei Monaten nach Erledigung des Gesuchs die Klage erhoben wird; dies gilt entsprechend für bei einem Gericht oder bei einer in Nummer 4 bezeichneten Streitbeilegungsstelle zu stellende Anträge, deren Zulässigkeit von der Vorentscheidung einer Behörde abhängt, 13. die Einreichung des Antrags bei dem höheren Gericht, wenn dieses das zuständige Gericht zu bestimmen hat und innerhalb von drei Monaten nach Erledigung des Gesuchs die Klage erhoben oder der Antrag, für den die Gerichtsstandsbestimmung zu erfolgen hat, gestellt wird, und 14. die Veranlassung der Bekanntgabe des erstmaligen Antrags auf Gewährung von Prozesskostenhilfe oder Verfahrenskostenhilfe; wird die Bekanntgabe demnächst nach der Einreichung des Antrags veranlasst, so tritt die Hemmung der Verjährung bereits mit der Einreichung ein.

**მუხლი 139.
ხანდაზმულობის
ვადის დენის
შენწყვეტის
ხანგრძლივობა**

1. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.
2. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების

Art. 139 Dauer der Unterbrechung des Verjährungslaufes

(1) Die Unterbrechung des Verjährungslaufs auf Grund der Klageerhebung dauert fort, bis die durch Gericht getroffene Entscheidung in Kraft tritt oder der Prozess anderweitig erledigt wird.
(2) Wird der Prozess infolge einer Vereinbarung oder dadurch, dass er nicht weiter betrieben werden kann, unterbrochen, so wird der Verjährungslauf mit der bis zur letzten Prozesshandlung der Parteien oder des Gerichts unterbrochen. Betreibt eine der Parteien den Prozess weiter, so wird der nach der Beendigung der

Vgl. BGB § 204 Hemmung der Verjährung durch Rechtsverfolgung
(2) ¹Die Hemmung nach Absatz 1 endet sechs Monate nach der rechtskräftigen Entscheidung oder anderweitigen Beendigung des eingeleiteten Verfahrens

²Gerät das Verfahren dadurch in Stillstand, dass die Parteien es nicht betreiben, so tritt an die Stelle der Beendigung des Verfahrens die letzte Verfahrenshandlung der Parteien, des Gerichts oder der sonst mit dem Verfahren befassten Stelle.
³Die Hemmung beginnt erneut, wenn eine der Parteien das Verfahren weiter betreibt.

<p>დამთავრებასთან ერთად. თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.</p>	<p>Unterbrechung begonnene neue Verjährungslauf in gleicher Weise wie durch Klageerhebung unterbrochen.</p>	
<p>მუხლი 140. უარი სარჩელზე 1. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. 2. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან</p>	<p>Art. 140 Klagerücknahme (1) Die Klageerhebung hat keine Unterbrechung des Verjährungslaufes zur Folge, soweit der Kläger die Klage zurücknimmt oder die Klage rechtskräftig durch gerichtliche Entscheidung ohne Verhandlung abgewiesen wird. (2) Erhebt der Berechtigte binnen sechs Monaten eine neue Klage, so gilt die Verjährung ab dem Zeitpunkt der ersten Klageerhebung als unterbrochen.</p>	<p>BGB § 204 Hemmung der Verjährung durch Rechtsverfolgung (2) ¹Die Hemmung nach Absatz 1 Nummer 1a endet auch sechs Monate nach der Rücknahme der Anmeldung zum Klageregister. ...</p> <p>BGB: Keine entsprechende Regelung.</p>
<p>მუხლი 141. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.</p>	<p>Art. 141 Neubeginn der Verjährungsfrist Wird der Verjährungslauf unterbrochen, so kommt die bis zur Unterbrechung verstrichene Zeit nicht in Betracht und die Frist beginnt von neuem.</p>	<p>BGB § 209 Wirkung der Hemmung Der Zeitraum, während dessen die Verjährung gehemmt ist, wird in die Verjährungsfrist nicht eingerechnet.</p>
<p>მუხლი 142. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის</p>	<p>Art. 142 Verjährungsfrist eines durch gerichtliche Entscheidung festgestellten Anspruchs</p>	

<p>ვადა 1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. 2. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.</p>	<p>(1) Für einen durch gerichtliche Entscheidung rechtskräftig festgestellten Anspruch beträgt die Verjährungsfrist zehn Jahre, auch wenn dieser Anspruch einer kürzeren Verjährung unterliegt.</p> <p>(2) Soweit sich die Feststellung auf regelmäßig wiederkehrende, erst künftig fällig werdende Leistungen bezieht, so findet auf sie die Verjährungsfrist gemäß Artikel 129 Absatz 2 Anwendung.</p>	<p><i>Vgl. BGB § 197 Dreißigjährige Verjährungsfrist</i> (1) In 30 Jahren verjähren, soweit nicht ein anderes bestimmt ist, ... 3. rechtskräftig festgestellte Ansprüche, ...</p> <p>(2) Soweit Ansprüche nach Absatz 1 Nr. 3 bis 5 künftig fällig werdende regelmäßig wiederkehrende Leistungen zum Inhalt haben, tritt an die Stelle der Verjährungsfrist von 30 Jahren die regelmäßige Verjährungsfrist.</p>
<p>მუხლი 143. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ თუ ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც.</p>	<p>Art. 143 Verjährungsfrist für dingliche Ansprüche</p> <p>Gelangt eine Sache, für die ein dinglicher Anspruch besteht, durch Rechtsnachfolge in den Besitz eines Dritten, so gilt die während des Besitzes des Rechtsvorgängers verstrichene Verjährungsfrist dem Rechtsnachfolger gegenüber als verstrichen.</p>	<p><i>BGB § 198 Verjährung bei Rechtsnachfolge</i> Gelangt eine Sache, hinsichtlich derer ein dinglicher Anspruch besteht, durch Rechtsnachfolge in den Besitz eines Dritten, so kommt die während des Besitzes des Rechtsvorgängers verstrichene Verjährungszeit dem Rechtsnachfolger zugute.</p>
<p>მუხლი 144. ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას 1. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.</p>	<p>Art. 144 Recht des Verpflichteten infolge des Verjährungsablaufes</p> <p>(1) Nach dem Ablauf der Verjährung ist der Verpflichtete berechtigt, die Leistung zu verweigern.</p>	<p><i>BGB § 214 Wirkung der Verjährung</i> (1) Nach Eintritt der Verjährung ist der Schuldner berechtigt, die Leistung zu verweigern.</p>

<p>2. თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.</p> <p>3. იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.</p>	<p>(2) Leistet der Verpflichtete nach Ablauf der Verjährungsfrist, so ist er nicht befugt, die das Geleistete zurückzufordern, auch wenn er zum Zeitpunkt der Leistung vom Verjährungsablauf keine Kenntnis hatte.</p> <p>(3) Das gleiche gilt für das Anerkenntnis und die Sicherungsmittel des Verpflichteten.</p>	<p>(2) ¹Das zur Befriedigung eines verjährten Anspruchs Geleistete kann nicht zurückgefordert werden, auch wenn in Unkenntnis der Verjährung geleistet worden ist.</p> <p>²Das Gleiche gilt von einem vertragsmäßigen Anerkenntnis sowie einer Sicherheitsleistung des Schuldners.</p> <p>BGB § 216 Wirkung der Verjährung bei gesicherten Ansprüchen</p> <p>(2) ¹Ist zur Sicherung eines Anspruchs ein Recht verschafft worden, so kann die Rückübertragung nicht auf Grund der Verjährung des Anspruchs gefordert werden. ²Ist das Eigentum vorbehalten, so kann der Rücktritt vom Vertrag auch erfolgen, wenn der gesicherte Anspruch verjährt ist.</p>
<p>მუხლი 145. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა</p> <p>მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.</p>	<p>Art. 145 Verjährungsfrist der Nebenforderung</p> <p>Mit dem Verjährungsablauf der Hauptforderung verjähren auch die Ansprüche auf die Nebenforderungen, selbst wenn die Verjährungsfrist dieser Forderungen noch nicht abgelaufen ist.</p>	<p>BGB § 217 Verjährung von Nebenleistungen</p> <p>Mit dem Hauptanspruch verjährt der Anspruch auf die von ihm abhängenden Nebenleistungen, auch wenn die für diesen Anspruch geltende besondere Verjährung noch nicht eingetreten ist.</p>
<p>მუხლი 146. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობა მხარეთა შეთანხმებით</p> <p>ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა</p>	<p>Art. 146 Unzulässigkeit der Änderung der Verjährungsfrist durch Parteivereinbarung</p> <p>Die Änderung der Verjährungsfristen und ihrer Berechnungsregel durch Vereinbarung der Parteien</p>	<p>BGB § 202 Unzulässigkeit von Vereinbarungen über die Verjährung</p> <p>(1) Die Verjährung kann bei Haftung wegen Vorsatzes nicht</p>

შეთანხმებით
დაუშვებელია.

ist unzulässig.

*im Voraus durch Rechtsgeschäft
erleichtert werden.
(2) Die Verjährung kann durch
Rechtsgeschäft nicht über eine
Verjährungsfrist von 30 Jahren ab
dem gesetzlichen
Verjährungsbeginn hinaus
erschwert werden.*

ლევან ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014

ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

ლევან ხარანაულის ავტორობით გამოცემული მონოგრაფია ეხება დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობას და წარმოადგენს შედარებით-სამართლებრივ კვლევას, რომელშიც დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით შედარებულია ქართული და გერმანული სისხლის სამართალი. ნაშრომი შედგება 5 კარისგან. პირველ კარში განხილულია დაუმთავრებელი დანაშაულის ინსტიტუტის განვითარების ისტორიული ექსკურსი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. მეორე კარში ავტორი განიხილავს როგორც დამთავრებული დელიქტის ცნებასა და სახეებს, ისე დანაშაულის განვითარების სტადიებსა და ეტაპებს. მესამე კარში განხილულია დანაშაულის მომზადების არსი და მისი დასჯადობის თავისებურებანი ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით. მეოთხე კარში მსჯელობის საგანს წარმოადგენს დანაშაულის მცდელობა და მისი დასჯადობის თავისებურებანი. მეხუთე კარში ყურადღება ეთმობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებებს.

ავტორი არაერთ საკითხზე იძლევა საყურადღებო დასკვნას, მაგრამ ნაშრომში გვხვდება საკამათო საკითხებიც, რომელზე ყურადღების

გამახვილებასაც ემსახურება წინამდებარე წერილი.

1. ლ. ხარანაული დაუმთავრებელი დანაშაულების კვლევას იწყებს დამთავრებული დანაშაულის შესწავლით, ვინაიდან ჯერ დამთავრებული დანაშაული უნდა იყოს გამოკვლეული, რათა დავასკვნათ თუ როდის არის დანაშაული დასრულებული.

დამთავრებული დანაშაულის მოდელის განხილვისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქურდობის შემადგენლობაზე და მას მიაკუთვნებს შედეგიან შემადგენლობებს, რომლის დასრულებისთვის აუცილებელ ნიშნად განიხილავს ისეთი შედეგის დადგომას, როგორცაა ქონებრივი ზიანი¹. თუმცა, ქურდობის საკანონმდებლო შემადგენლობაში კანონმდებელი ასეთ ელემენტს არ უთითებს. ავტორს სხვისი ნივთის დაუფლება მიაჩნია ისეთ შედეგად, რომელიც ქონებრივ ზიანთან არის დაკავშირებული. განსახილველ საკითხზე სისხლის სამართლის ლიტერატურაში აზრთა სხვაობა არსებობს. ერთ-ერთი შეხედულებით, რომელიც ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშია გამოთქმული, ქურდობა შედეგიანი დანაშაულია, რომელ შედეგშიც სხვისი ნივთის დაუფლება მოიაზრება.

¹ ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით, თბ., 2014, გვ. 25.

თუმცა, მეორე მართებული მოსაზრებით, ქურდობა არის არა შედეგიანი, არამედ შედეგზე ორიენტირებული დანაშაული, სადაც შედეგი სხვისი ნივთის მისაკუთრების სახით გამოიხსნა და ქურდობის დასრულებისთვის არ არის აუცილებელი ბოროტმოქმედმა აღნიშნულ მიზანს მიაღწიოს. სხვისი ნივთის დაუფლება ჯერ კიდევ არ გულისხმობს სხვისი ნივთის მისაკუთრებას. მაგალითად, თუ ავტობუსში ქურდი სხვას ჯიბიდან ფულს ამოაცლის ქურდობა დამთავრებულია, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელმა ადგილზე დააკავა ქურდი², რის გამოც მან ვერ შეძლო სხვისი ნივთის მისაკუთრება და განკარგვა. ქურდობა შედეგიანი დანაშაული რომ ყოფილიყო, მოსამართლეს მოუწევდა მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და შედეგს შორის. რეალურად ქურდობის დროს მოსამართლე ადგენს მხოლოდ განხორციელებულ ქმედებას, იმას, რომ ბოროტმოქმედი სხვის ნივთს ფარულად დაეუფლა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

2. მონოგრაფიაში მოცემულია საფრთხის დელიქტების კლასიფიკაცია და აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტები განხილულია საფრთხის დელიქტების დამოუკიდებელ ჯგუფად³, რაც ასევე საკამათოა, ვინაიდან აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებში საფრთხე გენერალიზებული სახით არსებობს, რის გამოც მოსამართლე ადგენს თუ რამდენად შეეძლო განხორციელებულ ქმედებას მავნე შედეგის გამონწვევა, თუმცა ეს შესაძლებლობა არ არის კონკრეტული საფრთხის მსგავსი შესაძლებლობა, ქმედების შემადგენლობის განსახორციელებლად არ არის საჭირო სამართლებრივი სიკეთის მოქცევა რეალური საშიშროების ზონაში. შესაბამისად, მართებულია მისი განხილვა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ქვესახეობად⁴.

3. ნაშრომში ყაჩაღობა განხილულია კონკრეტული საფრთხის დელიქტად⁵, რის საფუძველზეც ავტორი მიდის მცდარ დასკვნამდე, რომ თითქოს ყაჩაღობის დროს უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის, ვინაიდან სსკ-ის მე-8 მუხლის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი დგინდება როგორც სამართლებრივი სიკეთის ხელმყოფ, ისე კონკრეტული საფრთხის დელიქტებში. სინამდვილეში ყაჩაღობა საქართველოს სსკ-ის მიხედვით წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, ფორმალურ დანაშაულს, სადაც მიზეზობრივი კავშირი არ დგინდება, ვინაიდან დანაშაული დამთავრებულია თავდასხმის მომენტში. მართალია, კანონმდებელი ყაჩაღობის შემადგენლობაში უთითებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობაზე ან ასეთი ძალადობის მუქარაზე, მაგრამ აქ საქმე ეხება არა დანაშაულებრივი ქმედებით შექმნილ საფრთხეს, როგორც შედეგს, არამედ დანაშაულის ხერხს, რომელიც დაკავშირებულია სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობასთან ან მის მუქარასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყაჩაღობა მიეკუთვნება ისეთ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტს, რომელიც არის კონკრეტული საშიშროების. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი არ გულისხმობს ყოველთვის იმას, რომ კონკრეტული საშიშროება მსხვერპლთან მიმართებით არ არის შექმნილი. ზოგჯერ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დროს კონკრეტული საშიშროება არსებობს, მაგრამ ამის მიუხედავად იგი მაინც არ განეკუთვნება კონკრეტული საფრთხის დელიქტებს (მაგალითად, დაუხმარებლობა და განსაცდელში მიტოვება)⁶. ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა ისიც, რომ კონკრეტული საშიშროების არსებობის მიუხედავად მოსამართლეს არ მოეთხოვება მიზეზობრივი კავშირის დადგენა. ქმედების ყაჩაღობის მუხლით დასაკვალიფიცირებლად მოსამართლე

² გამყრელიძე ო., წიგნი: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული, თბ., 2004, გვ. 10-11.

³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 26.

⁴ ცქიტიშვილი თ., აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი და მისი კლასიფიკაცია, წიგნი: მზია ლეკვეიშვილი 85, თბ., 2014, გვ. 297 და მომდევნო; Reinbacher T.,

Anwendbarkeit des deutschen Strafrechts im Internet, Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift, 2016, 3. Auflage, S. 19, 22.

⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 26.

⁶ Zieschang F., Die Gefährdungsdelikte, Berlin, 1998, S. 345.

იმას კი არ ადგენს, დამნაშავის ქმედებამ შეუქმნა თუ არა კონკრეტული საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, არამედ ადგენს, გამოიყენა თუ არა ბოროტმოქმედმა ისეთი ძალადობა, რომელიც საშიშია სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ან ხომ არ ჰქონდა ადგილი ასეთი ძალადობის მუქარას.

4. ვინაიდან ლ. ხარანაული ყაჩაღობას კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს მიაკუთვნებს, ხოლო სსკ-ის მე-8 მუხლი კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მიზეზობრივი კავშირის დადგენას მოითხოვს, მიდის დასკვნამდე, რომ „კანონმდებლობის ასეთი ფორმულირება მიუღებელია“⁷. მიზეზობრიობაზე აღნიშნული საკანონმდებლო დებულება არის თუ არა მართებულად ფორმულირებული, მართლაც შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ არა იმის გამო, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მოითხოვს მიზეზობრივი კავშირის დადგენას, არამედ იმის გამო, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებს გამოყოფს შედეგიანი დელიქტებისგან მართლსაწინააღმდეგო შედეგის და კონკრეტული საფრთხის გამიჯვნის შედეგად. კონკრეტული საფრთხე რომ შედეგია მატერიალური გაგებით, ხოლო კონკრეტული საფრთხის დელიქტი შედეგიანი დელიქტი, რის გამოც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მიზეზობრივი კავშირის დადგენა აუცილებელია, აღიარებულია როგორც ქართულ, ისე გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაშიც⁸.

5. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში მიზეზობრიობის დადგენასთან დაკავშირებით საკანონმდებლო დებულებას ავტორი განიხილავს ყაჩაღობის მაგალითზე და მიდის დასკვნამდე, რომ „აუცილებელი არ არის კონკრეტული საფრთხე ატარებდეს რეალურ ხასიათს, არამედ ზოგჯერ საკმარისია, რომ იგი მხოლოდ ადამიანის წარმოდგენაში არსებობდეს“. ამის მაგალითად ის ასახელებს ყაჩაღობის შემთხვევას, რო-

ცა ავტორის აზრით, აუცილებელი არ არის დამნაშავემ ისეთი იარაღი გამოიყენოს, რომელიც დაზარალებულს რეალურ საფრთხეს უქმნის, არამედ საკმარისად მიაჩნია თავდასხმის განხორციელება სათამაშო იარაღის გამოყენებით⁹.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული საფრთხის დელიქტებში საფრთხე რეალურად უნდა არსებობდეს, საკმარისი არ არის დაზარალებულის წარმოსახვაში არსებული საფრთხის არსებობა. საფრთხე არ არის ადამიანის წარმოსახვის ნაყოფი. საფრთხის ისეთი გაგება, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, საფრთხის სუბიექტური თეორიიდან გამომდინარეობს, რომელიც დიდი ხანია დაწინებულ იქნა სისხლის სამართლის მეცნიერებაში. თუ საფრთხის სუბიექტურ გაგებას დავეყრდნობით, სრულიად უვნებელი ქმედების კვალიფიკაცია მოგვიწევს საფრთხის შემქმნელ ქმედებად, ხოლო საფრთხის რეალურად არსებობისას, ქმედების შეფასება უვნებელ ქმედებად, იმის გამო, რომ ის ვერ აღიქვა იმან, ვისკენაც იყო იგი მიმართული. ასეთი გაგებით შეუძლებელი გახდება საფრთხის შემქმნელი დელიქტის განხორციელება იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოკლებულნი არიან შესაძლებლობას აღიქვან რეალურ სამყაროში მომხდარი მოვლენა.

6. ქმედების კვალიფიკაცია ყაჩაღობის მუხლით საკამათოა მაშინ, როცა მოქმედი პირი იყენებს არა ნამდვილ, არამედ სათამაშო იარაღს, ვინაიდან ძარცვის მუხლი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს თავდასხმას, რომელიც არ არის საშიში სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის (178-ე მუხ.). აღნიშნული საკითხი ერთ-ერთ საკამათო საკითხს წარმოადგენს სისხლის სამართლის ლიტერატურაში¹⁰.

7. სარეცენზიო ნაშრომში ავტორი იძლევა დამთავრებული დანაშაულის კლასიფიკაციას გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით და

⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 27.

⁸ Roxin C., Allgemeiner Teil, Band I, Grundlagen. Der Aufbau der Verbrechenslehre, 4. Auflage, 2006, §11 Rn. 147; Heinrich B., Strafrecht, AT, 3. Aufl., Stuttgart, 2012, S. 62, Rn. 161; Satzger H., Die Anwendung des deutschen

Strafrechts auf grenzüberschreitende Gefährdungsdelikte, NSTZ 1998, S. 114.

⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 27, 45-46.

¹⁰ აღნიშნულზე უფრო ვრცლად იხ. ცქიტიშვილი თ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბ., 2023, გვ. 32-37.

ერთმანეთისგან მიჯნავს შედეგიან და საფრთხის შემქმნელ დელიქტებს¹¹. სინამდვილეში გერმანულ სისხლის სამართალში ერთმანეთისგან არის გამიჯნული ხელყოფის (სამართლებრივი სიკეთის ხელყოფი-„Verletzungsdelikte“) და საფრთხის დელიქტები¹², ვინაიდან კონკრეტული საფრთხის დელიქტები შედეგიანი დელიქტებია და მისგან ვერ გაიმიჯნება. შედეგიანი დელიქტებისგან შეიძლება მხოლოდ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები გამოიყოს, რომელიც ცალსახად შედეგგარეშე დანაშაულებს მიეკუთვნება.

8. ლ. ხარანაული გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით დელიქტების კლასიფიკაციაში ერთ-ერთ სახედ გამოყოფს „შეკვეცილ შედეგიან დელიქტებს“, რომელსაც მიაკუთვნებს ქურდობის შემადგენლობას. აღნიშნული დელიქტის დახასიათებისას ავტორი მიუთითებს, რომ „დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებისთვის საკმარისია, დანაშაულებრივი ქმედება, შედეგი და შედეგის დადგომის მიზეზობრიობა დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობით იყოს მოცული. აქ არაფერი არ იცვლება, როდესაც შედეგი ფაქტობრივად სახეზეა“¹³. ავტორი ერთი მხრივ, უთითებს, რომ მოქმედ პირს საკმარისია შედეგი და მიზეზობრიობა გამიზნული ჰქონდეს, ხოლო მეორე მხრივ, ქურდობის შემადგენლობის განხორციელებისას შედეგს ფაქტობრივად განხორციელებულად მიიჩნევს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემული მსჯელობა წინააღმდეგობრივია. ქურდობა იმდენად არ არის შედეგიანი დანაშაული, რამდენადაც მისი შემადგენლობის ობიექტური მხარე არ მოიცავს შედეგს და მიზეზობრივ კავშირს. გარდა ამისა, „შეკვეცილი შედეგიანი დელიქტები“ ასევე წარმოადგენს ურთიერთგამომრიცხავ და ეკლექტურ ცნებას, ვინაიდან შეკვეცილი დელიქტები, როგორც წესი შედეგგარეშე, ფორმალურ შემადგენლობებს გულისხმობენ. ხოლო შედეგიანი დელიქტები მისი ანტიპოდი.

9. ლ. ხარანაული აღნიშნავს, რომ ქართული სისხლის სამართალი „შეკვეცილ შედეგიან

დელიქტებს“ არ იცნობს¹⁴. რეალურად ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და დოგმატიკა იცნობს ქურდობისა და მსგავსი დასჯადი ქმედების შემადგენლობებს, მაგრამ სხვა საქმეა მათ რა ტერმინოლოგიითა და სახელწოდებით მოვიხსენიებთ. ქურდობას ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში მიზნით დაფუძნებულ დანაშაულს უწოდებენ, მაგრამ ობიექტური შემადგენლობის თავისებურების გამო სახატად ასევე შეიძლება ვუწოდოთ შედეგზე ორიენტირებული დანაშაულიც ანუ დანაშაული, რომელიც შედეგის განხორციელებისკენ არის მიმართული, მაგრამ რომლის ობიექტური შემადგენლობაც არ მოითხოვს გამიზნული შედეგის დადგომას.

10. მონოგრაფიაში ერთი მხრივ, ერთმანეთისგან არის გამიჯნული დანაშაულის ეტაპები და სტადიები, ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულის სტადიები და დაუმთავრებელი დანაშაული. დანაშაულის სტადიებისა და დაუმთავრებელი დანაშაულის გამიჯვნისას ავტორი აღნიშნავს, რომ სტადიები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დაუმთავრებელი დანაშაული. ამას იმით ასაბუთებს, რომ ავტორის შეხედულებით, დანაშაულის სტადიებზე საუბარი შესაძლებელია როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს. კერძოდ, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის დროს ადგილი შეიძლება ჰქონდეს ისეთ ქმედებებს, როგორცაა ალკოჰოლის მიღება, მეგობართან ერთად მანქანაში ჩაჯდომა, წითელ შუქნიშანზე გავლა, რასაც შედეგად ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება¹⁵. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩნდება კითხვა: რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დანაშაულის სტადიებზე საუბარს გაუფრთხილებლობით დანაშაულებში? დასახელებულ ქმედებებს რა მნიშვნელობა ექნებოდა შედეგისგან მონყვევით? გაუფრთხილებლობით დანაშაულებში, როგორც წესი, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელ არსებით გარემოებას მართლსაწინააღმდეგო შედეგი წარმოადგენს. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში სჯის კანონმდებელი

¹¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 30-31.

¹² Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Aufl., 2012, S. 62, Rn. 161.

¹³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 31.

¹⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 34.

¹⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 37-38.

გაუფრთხილებლობით ქმედებას შედეგის გარეშე და ისიც დამთავრებული დანაშაულის სახით (მაგალითად, სსკ-ის 241-ე მუხ.). აქედან გამომდინარე, იქ, სადაც შედეგი აფუძნებს პასუხისმგებლობას, შედეგამდე განხორციელებული ქმედება შედეგის გარეშე კარგავს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. დანაშაულის მომზადება და მცდელობაც ხომ დანაშაულის სტადიებია, რომელსაც გაუფრთხილებლობის დროს შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს. შესაბამისად, დაუმთავრებელი დანაშაულის და დანაშაულის სტადიების გამიჯვნა ხელოვნურ ხასიათს იძენს და მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას.

11. განსახილველ ნიგნში სიტყვა „ხელყოფა“ განმარტებულია ფართოდ და გაზიარებულია სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ის მოსაზრება, რომელიც „ხელყოფის“ ქვეშ მოიაზრებს სამართლებრივი სიკეთის არა მხოლოდ დაზიანებას, არამედ მისთვის (ხელყოფის) საფრთხის შექმნასაც¹⁶. თუმცა „ხელყოფის“ ასეთი გაგება შეუძლებელს ხდის ხელყოფის და საფრთხის დელიქტების ერთმანეთისგან გამიჯვნას. „ხელყოფა“ და საფრთხის შექმნა რომ არ არის ერთი და იგივე, ეს კარგად ჩანს სისხლის სამართლის ლიტერატურაში მოცემული დელიქტების კლასიფიკაციიდანაც (*Verletzungs- und Gefährdungsdelikte*). აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ საქართველოს სსკ-ში მოიპოვება ერთი შემადგენლობა, რომელშიც „ხელყოფა“ ფართოდ არის გაგებული (325-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

12. ლ. ხარანაული როდესაც განიხილავს იმ ქმედებებს, რომელთაც ადგილი აქვთ დანაშაულის მომზადების დროს, იარაღის მომარჯვებად განმარტავს საჭმელში სანამლავის შერევას ანუ საკვების მოწამვლას, რითაც აღნიშნულ ქმედებას დანაშაულის მომზადებად აკვალიფიცირებს¹⁷. თუმცა უნდა ითქვას, რომ საკვების მოწამვლა მკვლელობის მიზნით, როგორც წესი, დანაშაულის (მკვლელობის) მცდელობად კვალიფიცირდება და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში

შეიძლება ვისაუბროთ დანაშაულის მომზადებაზე. ეს შეეხება ისეთ შემთხვევას, როცა არ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მსხვერპლმა მოწამლული საკვები დროის ახლო მონაკვეთში მიიღოს. მაგალითად, როცა პოტენციური მსხვერპლი შვებულებაში იმყოფება და მოწამლული საკვები შეიძლება მიიღოს შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ. განსახილველ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება შედეგთან სიახლოვის ფაქტორი. საკითხის განხილვისას სასურველი იყო მეტი კონკრეტულობა, ვინაიდან მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი მოწამვლას ყოველთვის მომზადებად განიხილავს.

13. დანაშაულის მოსამზადებელი ქმედების განხილვისას ავტორი მსჯელობს ჩასაფრების შემთხვევაზე და მიუთითებს, რომ ჩასაფრება ზოგჯერ მომზადებად, ხოლო სხვა შემთხვევაში მცდელობად უნდა დაკვალიფიცირდეს პოტენციური მსხვერპლის სიახლოვის ფაქტორის გათვალისწინებით¹⁸. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩასაფრება, ზოგადად, დანაშაულის მომზადებას წარმოადგენს და მას მცდელობად ვერ გადააქცევს თუნდაც მსხვერპლის სიახლოვე შემთხვევის ადგილთან. ჩასაფრების მცდელობად კვალიფიკაციაზე საუბარი მსხვერპლის სიახლოვის გათვალისწინებით მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ იმასაც მივიღებდით მხედველობაში, რა მდგომარეობაშია იარაღი, რომელსაც ბოროტმოქმედი ფლობს ან საერთოდ არის თუ არა შეიარაღებული. თუ ბოროტმოქმედი შეიარაღებული არ არის ან იარაღი, რომელსაც ფლობს, საბრძოლო მდგომარეობაში არ არის მოყვანილი, ჩასაფრება დანაშაულის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს, მსხვერპლის ჩასაფრების ადგილთან სიახლოვის მიუხედავად. ბოროტმოქმედის შეიარაღების გათვალისწინების გარეშე, ჩასაფრების ადგილთან მსხვერპლის სიახლოვის გათვალისწინებით ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულის მცდელობად შეიძლება გამომდინარეობდეს არა ქართული, არამედ გერმანული სისხლის სამართლიდან, რომელიც ქართულისგან

¹⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 42.

¹⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 43.

¹⁸ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 43.

განსხვავებით, დანაშაულის მომზადების გენერალურ დასჯადობას არ აღიარებს და აქედან გამომდინარე, განაგრძობს დანაშაულის მცდელობის ფარგლებს.

14. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით, დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, ლ. ხარანაული თვლის, რომ დანაშაულის მომზადება შეიძლება განხორციელდეს არაპირდაპირი განზრახვითაც. აღნიშნულთან დაკავშირებით, ავტორს მოყავს მაგალითი, როცა დაცვის თანამშრომელი ბიზნესმენის კარს ღია ტოვებს და უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ბიზნესმენის სახლში ბოროტმოქმედი შეიჭრას. ბოროტმოქმედი მართლაც ეცდება ბიზნესმენის სახლში შეჭრას, მაგრამ მისი ქმედება პოლიციელთა მიერ იქნება აღკვეთილი. ავტორის თქმით, ეს არის მკვლელობის მომზადებაში დახმარება არაპირდაპირი განზრახვით¹⁹. უნდა ითქვას, რომ დანაშაულის მომზადების საზღვრების ასეთი გაფართოება მიუღებელია და წარმოადგენს დასჯას ვარაუდისთვის. თუ ჩვენ დანაშაულის მომზადების ფარგლებს ასე განვაგრძობთ აბსურდულ მდგომარეობამდე მივალთ. მკვლელობის მომზადების ინტელექტუალურ დახმარებად შეიძლებოდა მიგვეჩნია კრიმინალისტიკის ლექტორის საუბარი სტუდენტებთან, რომელიც უშვებს, რომ მისი საუბარი სალექციო საკითხებთან დაკავშირებით ბოროტად იქნას გამოყენებული სტუდენტის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად.

საგულისხმოა, რომ ავტორი თავად მიდის დასკვნამდე არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მომზადების კრიმინალურპოლიტიკურ მიზანშეუნოლობასთან დაკავშირებით²⁰. თუ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიზანი არ არის არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მომზადების დასჯადობა, საინტერესოა რა მიზანს ემსახურება იმის მტკიცება, რომ დანაშაულის მომზადება არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება?

15. მონოგრაფიის ავტორის თქმით, მომზადების განზრახვა არ სცდება სოციალურად ტოლერირებული საქმიანობის ფარგლებს და ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მართლწესრიგისთვის საფრთხის შემქმნელ სუბიექტურ მომენტს, რომელსაც ადგილი აქვს დანაშაულის მცდელობის დროს²¹. უფრო მართებული იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ დანაშაულის მომზადების განზრახვა არის ის, რაც ერთმანეთისგან მიჯვნავს სოციალურად ადექვატურ ქმედებას, სოციალურად არატოლერირებული ქმედებისგან. ხოლო ობიექტური თვალსაზრისით, სუბიექტური მომენტისგან მოწყვეტით, მათ შორის სხვაობის პოვნა რთულია. თუმცა კანონმდებელი დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხს საბოლოოდ წყვეტს განხორციელებული ქმედების საშიშროების გათვალისწინებითაც (მე-18 მუხ.).

16. ლ. ხარანაული განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ისეთ დანაშაულებს, რომელთა მომზადებაც შეუძლებელია და ასეთად განიხილავს 218-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (გადასახადისაგან თავის არიდება). დასახელებული დელიქტის მომზადების შეუძლებლობის დასაბუთებისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს მის ობიექტურ შემადგენლობაზე და აღნიშნავს, რომ მისი როგორც უმოქმედობითი დანაშაულის მომზადება იმიტომ არის შეუძლებელი, რომ გადასახადის გადაუხდელობა უკვე დანაშაულის დასრულების ეტაპს უკავშირდება²². თუმცა ავტორი არ ითვალისწინებს იმას, რომ განსახილველი დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც წმინდა უმოქმედობით, ისე მოქმედებითი უმოქმედობით²³. ეს უკანასკნელი შემთხვევა გულისხმობს მაგალითად, მონაცემების გაყალბებას გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით. დანაშაულის მომზადებას სწორედ ამ უკანასკნელ ქმედებასთან დაკავშირებით შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

17. არ არის გასაზიარებელი ავტორის მოსაზრება, როცა იგი კონკრეტული საფრთხის დელიქტებს შედეგარეშე, ფორმალურ დელიქტებად განიხილავს²⁴. კონკრეტული საფრთხის

¹⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 48.

²⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 69.

²¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 49.

²² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 63.

²³ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 240.

²⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 64.

დელიქტები რომ შედეგიანი დელიქტებია, ამაზე მიუთითებს მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა კონკრეტული საფრთხის დელიქტებში (მე-8 მუხ.).

18. ასევე გაკვირვებას იწვევს მონოგრაფიაში განვითარებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბანდიტიზმი შესაძლოა კონკრეტული საფრთხის დელიქტს წარმოადგენდეს²⁵. ბანდიტიზმი (224-ე მუხ.) იმდენად არ არის კონკრეტული საფრთხის დელიქტი, რამდენადაც კანონმდებელი ქმედების შემადგენლობაში აღწერს დასჯად ქმედებას და არ უთითებს ქმედებით შექმნილ საფრთხეზე თუ საშიშ მდგომარეობაზე. კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კანონმდებელი ყოველთვის უთითებს კონკრეტულ საფრთხეზე, როგორც შედეგზე. 224-ე მუხლის დისპოზიცია კი შემდეგი სახით არის ფორმულირებული: „მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით“. ქმედების კვალიფიკაციის დროს მოსამართლემ მხოლოდ ის უნდა დაადგინოს, რომ პირმა შექმნა მყარი შეიარაღებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობა ასეთ ჯგუფს პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით. მოსამართლეს არ მოეთხოვება იმის შეფასება და დასაბუთება, განხორციელებულმა ქმედებამ შეუქმნა თუ არა ვინმეს რეალური საფრთხე. კანონმდებელი თვითონ აფასებს ქმედების საშიშროებას და აცხადებს დასჯადად იმიტომ, რომ ზოგადად ასეთი ქმედება არის საშიში.

19. ლ. ხარანაული დანაშაულის მომზადების გენერალური დასჯადობის წინააღმდეგ გამოდის, რასაც მისი არაპრაქტიკულობით ხსნის და მიუთითებს დანაშაულის მომზადებასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის არარსებობაზე. ავტორი ემხრობა დანაშაულის მომზადების შესახებ საკანონმდებლო რეგულირების გადატანას სსკ-ის კერძო ნაწილში²⁶.

არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომ დანაშაულის მომზადებაზე ნულოვანია სასამარ-

თლო პრაქტიკა. სანინააღმდეგოზე მეტყველებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.

გარდა ამისა, მომზადებაზე საკანონმდებლო რეგულირების სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გადატანის აუცილებლობა არ არსებობს. პრაქტიკას ქმედების კვალიფიკაციაში ხელს არანაირად არ უშლის ის, რომ საკანონმდებლო რეგულირება კოდექსის ზოგად ნაწილშია მოცემული. გასათვალისწინებელია ქართული სსკ-ის თავისებურებაც იმ გაგებით, რომ კოდექსის კერძო ნაწილი მხოლოდ დამთავრებული დანაშაულის მოდელს ითვალისწინებს. ზოგჯერ მომზადების ეტაპზე ცხადდება დანაშაული დასრულებულ ქმედებად, მაგრამ კანონმდებელი ასეთ გადაწყვეტილებას იშვიათად იღებს, ქმედების საშიშროების გათვალისწინებით.

20. საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახვი ქმედება, რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. ლ. ხარანაულის მოსაზრებით, აღნიშნული დეფინიცია ხარვეზიანია და საჭიროა დანაშაულის მცდელობის ისეთი დეფინიციის ჩამოყალიბება, რომელშიც საუბარი იქნება დანაშაულის ვერ განხორციელებაზე²⁷. თუმცა, ვერც ეს დეფინიცია ჩაითვლება უხარვეზოდ, ვინაიდან მცდელობის ცნების ქვეშ მოექცევა მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულებს სურს დანაშაულის ბოლომდე განხორციელება, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება ვერ მიჰყავს ბოლომდე, ხოლო შემთხვევა, როცა დანაშაულებს ხელს იღებს დანაშაულის ბოლომდე განხორციელებისგან, დარჩება მცდელობის განსაზღვრების მიღმა. როგორც ავტორიც მიუთითებს, წინამორბედი სსკ-ი გვთავაზობდა მცდელობის ისეთ განმარტებას, რომელიც არ მოიცავდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევას, რაც კანონმდებლობის ხარვეზად მიიჩნეოდა, ვინაიდან ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მცდელობას არ გამო-

²⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 64.

²⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 69-70.

²⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 91.

რიცხავს. თუ ავტორის მოსაზრება იქნა გაზიარებული, კანონმდებელს მოუწევს მცდელობის იმ ცნების აღდგენა, რომელიც თავის დროზე იქნა დაწუნებული. სასურველია, მცდელობის ცნება მოიცავდეს ორივე შემთხვევას.

21. მონოგრაფიის ავტორი აღნიშნავს: „ვინც მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობასთან ახლოს მდგომ საფრთხეს ქმნის, მისი წარმოდგენა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების შესახებ სახეზე არ არის, რადგან იგი ან საერთოდ არ ითვალისწინებს ასეთ საფრთხეს (დაუდევრობა), ან კიდევ დარწმუნებულია იმაში, რომ შედეგი არ დადგება (თვითიმედოვნება). სწორედ ამიტომ, გერმანული სამართალი გაუფრთხილებლობით მცდელობას არ აღიარებს“²⁸.

მოცემული მსჯელობა ვერ ხსნის იმას, თუ რატომ არ არის დასაშვები, მოქმედი, ერთი მხრივ, ქმნიდეს ქმედების შემადგენლობასთან ახლოს მყოფ საფრთხეს და, მეორე მხრივ, მოქმედებდეს არა გაუფრთხილებლობით, არამედ განზრახვით. მოქმედი პირის განზრახვა ყოველთვის არ შეესაბამება რეალურად არსებულ საფრთხეს და ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესაძლებლობას. მართალია, რეალური მდგომარეობა და არსებული საფრთხე ზოგჯერ არის მოქმედი პირის სუბიექტური მომენტის თანაფარდი, მაგრამ ეს არ ითქმის ყველა შემთხვევაზე. თუ ჩვენ განზრახვისა და გაუფრთხილებლობის დასადგენად მხოლოდ ქმედებით შექმნილი საფრთხის ხარისხს დავეყრდნობით, მოვახდენთ სუბიექტური მომენტის გაუმართლებელ ობიექტივაციას და აღნიშნული მომენტების დასადგენად აზრს დაკარგავდა მოქმედი პირის სუბიექტური წარმოსახვა, რაც ყოვლად გაუმართლებელია. სუბიექტური მომენტის დასადგენად მოქმედის სუბიექტური აღქმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალურად შექმნილი მდგომარეობა.

მოცემული მსჯელობის მართებულობას ადასტურებს ავტორის მიერ ნაშრომის იმავე გვერდზე მოყვანილი დებულება, რომელშიც

იგი დანაშაულის მცდელობას გამორიცხავს სწორედ ქმედების შემადგენლობასთან ახლოს მყოფი საფრთხის არარსებობის გამო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქმედების შემადგენლობასთან ახლოს მყოფი საფრთხე მცდელობის განზრახვის არა გამომრიცხავ, არამედ მისთვის საკმარის ობიექტურ წინაპირობად შეიძლება იქნას მიჩნეული.

22. საკამათოა მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულის მცდელობის დროს განზრახვა ისეთივე უნდა იყოს, როგორც დამთავრებული დანაშაულის დროს არის²⁹ და რომ განზრახვა უნდა მოიცავდეს შემადგენლობის ყველა რგოლს, მაგალითად, მიზეზობრივ კავშირს ქმედებასა და შედეგს შორის³⁰.

დანაშაულის მცდელობის დროს, როგორც წესი, შედეგი არ არის სახეზე, შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რამდენად შეიძლება ვისაუბროთ განზრახვით მიზეზობრიობის ყველა დეტალის მოცვაზე თუ შედეგი არ განხორციელებულა? დანაშაულის მცდელობას მიზეზობრიობის ატიპიურად განვითარების შედეგად შეიძლება მოჰყვეს მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც გამორიცხავს პასუხისმგებლობას შედეგთან მიმართებით. დანაშაულის მცდელობის დროს მოქმედი პირის განზრახვაში ასახულ მიზეზობრიობასა და რეალურად განვითარებულ მიზეზობრიობას შორის რომ შეიძლება არსებობდეს არსებითი სხვაობა, კარგად იკვეთება ატიპიური მიზეზობრიობის შემთხვევიდან. დანაშაულის მცდელობის განზრახვისთვის უფრო მნიშვნელოვანია განზრახვაში შედეგის ასახვა, შედეგისადმი დამოკიდებულება, თუ საუბარია შედეგიანი დანაშაულის მცდელობაზე. ხოლო დამთავრებული დანაშაულის განზრახვისთვის ასევე მნიშვნელოვანია მოიცავდა თუ არა განზრახვა მიზეზობრიობის ძირითად მომენტებს. მიზეზობრიობის განვითარებაში შეცდომა, მართალია, არ გამორიცხავს განზრახვას, მაგრამ განზრახვას წარმოგვიდგენს სხვა შინაარსით, რომელშიც არ

²⁸ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 93.

²⁹ ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა თ. წერეთელიც. იხ. წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 136.

³⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 134.

არის ასახული მიზეზობრიობის ისეთი განვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეალურ სამყაროში. ამას ადასტურებს მონოგრაფიაში მოყვანილი მსჯელობაც³¹.

დამთავრებული დანაშაული დანაშაულის სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს. შესაბამისად, განზრახვაც სრულად მოიცავს მიზეზობრიობის განვითარებას. ხოლო დაუმთავრებელი დანაშაული დანაშაულის არასრული ფორმაა, რაც ზოგჯერ განზრახვაზეც ჰპოვებს ასახვას.

23. ლ. ხარანაული განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიზნის მნიშვნელობას დამთავრებული და დაუმთავრებელი დანაშაულის გამიჯვნისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით მას მოყავს მაგალითი ჯანმრთელობის დაზიანებისა და მკვლელობის მცდელობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საკითხი მოქმედი პირის მიზნის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს. მაგალითად, მკვლელობის მცდელობით დაკვალიფიცირდება ქმედება თუ პირი მოქმედებდა მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნით³². მოცემულ მსჯელობაში ავტორს არაფერი დაეწინაურება, რომ არა ის ლოგიკური წინააღმდეგობა, რომელიც მომდევნო აბზაცში გვხვდება. კერძოდ, ავტორის მტკიცებით დანაშაულის მცდელობისთვის მიზანი მხოლოდ მაშინ არის რელევანტური სუბიექტური ნიშანი, როცა საქმე ეხება იმ ქმედების შემადგენლობას, რომლის აუცილებელ ნიშანსაც მიზანი წარმოადგენს³³. თითქოს მოცემული წინადადებაც არ უნდა შეიცავდეს ლოგიკურ წინააღმდეგობას, მაგრამ გაუგებრობა მაშინ იწყება, როცა ამ ორ წინადადებას ერთმანეთს დავუპირისპირებთ. თუ მცდელობის აუცილებელი სუბიექტური ნიშანი მიზანია მხოლოდ მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში, რატომ ანიჭებს ავტორი მიზანს ასეთ მნიშვნელობას მკვლელობის მცდელობისთვის? მკვლელობა ხომ არ მიეკუთვნება მიზნით დაფუძნებულ დელიქტებს? გამოდის, რომ მკვლელობის მცდელობა გამიზნულ ქმედებას გულისხმობს, მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობა არ მოითხოვს გამიზნულ ქმედებას.

ნაშრომის მომდევნო გვერდებზე ავტორი ისევ საკუთარ თავს უპირისპირდება და აღნიშნავს, რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობის შესაძლებლობა დოგმატურად უპრობლემოდ საბუთდება³⁴. ლ. ხარანაულის შეხედულებით, საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლში მცდელობის ცნებაში მოცემული სიტყვები „უშუალოდ მიმართული“ განსაზღვრავს მცდელობის არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ შემადგენლობას³⁵.

თუ ევენტუალური განზრახვით მცდელობა შესაძლებელია, ავტორი მკვლელობის მცდელობისთვის გამიზნულ ქმედებას რატომ მოითხოვს? ევენტუალური განზრახვა სიცოცხლის ხელყოფასთან დაკავშირებით გამორიცხავს გამიზნულ ქმედებას, ისევე როგორც გამიზნული ქმედება განსახილველ დელიქტთან დაკავშირებით გამორიცხავს არაპირდაპირ განზრახვას.

24. მონოგრაფიაში ავტორი მსჯელობს შეცდომაზე და მის მნიშვნელობაზე ქმედების დანაშაულის მცდელობად კვალიფიკაციისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით განიხილავს პიროვნებაში შეცდომის იმ შემთხვევას, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს შეცდომას გარანტორულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, როცა უმოქმედოდ მყოფ პირს ჰგონია, რომ არ ეხმარება მას, ვის მიმართაც გარანტორული მოვალეობა აკისრია, მაგრამ სინამდვილეში, განსაცდელში მყოფი პირის მიმართ მხოლოდ სოლიდარული მოვალეობა არსებობს. ლ. ხარანაულის მიერ გამოთქმული მოსაზრებით, ასეთ დროს ქმედების კვალიფიკაციის საკითხი უნდა გადაწყდეს პიროვნებაში შეცდომის ანალოგიურად, თუმცა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობად³⁶. ავტორი დასახელებულ შემთხვევას განიხილავს უვარგისი მცდელობის ქვესახედ, უვარგისი სუბიექტის მიერ მცდელობის შემთხვევად³⁷.

აღნიშნულ საკითხზე ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული.

³¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 140.

³² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 135.

³³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 135.

³⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 150.

³⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 180.

³⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 141. ანალოგიურ კვალიფიკაციას გვთავაზობს როქსინი. იხ. Roxin C., Strafrecht, Allgemeiner Teil, Band II, 2003, S. 448, §29 Rn. 353.

³⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 273.

ერთ-ერთი შეხედულება სწორედ იმ მოსაზრებას ემხრობა, რომ განსახილველი შემთხვევა პიროვნებაში შეცდომას ეხება და ქმედება მკვლელობად უნდა დაკვალიფიცირდეს³⁸.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი შეხედულებით, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ქმედება განზრახ განხორციელებულად რჩება, მაგრამ სახეზეა აკრძალვაში შეცდომა. შესაბამისად, საკითხი უნდა გადაწყდეს აკრძალვაში შეცდომის ანალოგიით³⁹, მაგრამ საქართველოს სსკ-ის 36-ე მუხლის მიხედვით, აკრძალვაში შეცდომის დროს განზრახვა გამოირიცხება და ქმედება გაუფრთხილებლობით დანაშაულად კვალიფიცირდება თუ აღნიშნული ქმედება გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც დასჯადია.

განსახილველ შემთხვევაში საქმე ეხება უმოქმედობას და არა აქტიურ მოქმედებას. უმოქმედობით მკვლელობა, ისევე როგორც მკვლელობის მცდელობა, მოითხოვს დამნაშავესა და მსხვერპლს შორის გარანტორული მოვალეობის არსებობას. თუ გარანტორული მდგომარეობა რეალურად არ არსებობს, არაგარანტორულ ურთიერთობას დამნაშავეს ნარმოსახვა ვერ აქცევს გარანტორულად. შესაბამისად, მეტად საკამათოა განსახილველ შემთხვევაში დამდგარი შედეგის შერაცხვა მოქმედი პირისთვის ან თუნდაც ქმედების კვალიფიკაცია მკვლელობის მცდელობად. აქედან გამომდინარე, შეიძლება მხარდაჭერას იმსახურებდეს ქმედების კვალიფიკაცია 129-ე მუხლით, მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის რეალურად არსებული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით⁴⁰. ხოლო დამნაშავეს განზრახვა შეიძლება გავითვალისწინოთ სასჯელის დანიშვნის დროს დამამძიმებელ გარემოებად.

თუ ქმედება მკვლელობის მცდელობად დაკვალიფიცირდა, რასაც ლ. ხარანაული უჭერს

მხარს, გადაჭარბებული მნიშვნელობა მიენიჭება უმოქმედოდ მყოფი პირის განზრახვას, რაც საკითხის სუბიექტური თეორიის მიხედვით გადაწყვეტის მომასწავებელი იქნება. შემთხვევითი არ არის, რომ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრებით, უმოქმედობის დელიქტებში უვარგისი მცდელობის დაშვება იქნებოდა განწყობის სისხლის სამართლის მომასწავებელი⁴¹. თუმცა, უმოქმედობის დელიქტებში უვარგისი მცდელობის საკითხი ყოველთვის ერთნაირად არ შეიძლება გადაწყდეს. თუ განსახილველ შემთხვევაში დავას ინვესტს ქმედების კვალიფიკაცია და არა ის, რომ საქმე ეხება დასჯად ქმედებას, უმოქმედობის დელიქტის მცდელობის ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების დასჯადობის საკითხიც საკამათოა⁴².

განსახილველ საკითხზე საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ თუ ზემოაღნიშნულ უმოქმედობას დავაკვალიფიცირებთ 129-ე მუხლით, ეს გულისხმობს უმოქმედობის დელიქტის უვარგისი მცდელობის ანალოგიით ქმედების კვალიფიკაციაზე უარის თქმას და ქმედების კვალიფიკაციის დროს ობიექტურად არსებული გარემოებებისთვის მეტი მნიშვნელობის მინიჭებას.

25. ლ. ხარანაული იზიარებს რა არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის იდეას და აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-19 მუხლში სიტყვები „უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად“ ნარმოადგენს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის ობიექტურ კრიტერიუმს და არა არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის უარყოფელ სუბიექტურ ნიშანს⁴³. ხოლო არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შესაძლებლობის დასაბუთება დოგმატურად უპრობლემოდ მიაჩნია ნორმატიული სურვილის ცნებაზე დაყრდნობით, რომელიც ავტორის თვალსაზრისით, სახეზეა არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ ასევე

³⁸ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 337.

³⁹ Heinrich B., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, 3. Auflage, 2012, S. 411, Rn. 913.

⁴⁰ ქმედების ასეთი კვალიფიკაციის შესაძლებლობას განიხილავს ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, მაგრამ ასეთ

კვალიფიკაციას მხარს არ უჭერს. იხ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., დასახ. ნაშრ., გვ. 337.

⁴¹ აღნიშნულის შესახებ იხ. Roxin C., *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Band II, 2003, S. 457, §29 Rn. 376.

⁴² იხ. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 273, 788-ე სქოლიო.

⁴³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 148.

არაპირდაპირი განზრახვის დროსაც⁴⁴. აღნიშნულთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რამდენად შესაძლებელია არაპირდაპირ განზრახვაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამოწვევის სურვილის დასაბუთება, როცა კანონმდებელი სურვილზე მხოლოდ პირდაპირ განზრახვაში უთითებს? მაშინ როცა საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლში მოცემულია განზრახვის საკანონმდებლო სახეების დეფინიცია, განზრახვის კომპონენტებზე საუბრისას ჩვენთვის ამოსავალ წერტილს სწორედ საკანონმდებლო განსაზღვრება უნდა წარმოადგენდეს. ალოგიკური იქნებოდა გვემტკიცებინა, რომ კანონმდებელი განზრახვას ფსიქოლოგიურად განმარტავს და უარს ამბობს მის ნორმატიულ გაგებაზე. კანონმდებლისთვის უმთავრესი უნდა იყოს საკითხის ნორმატიული და არა ფსიქოლოგიური გაგება.

26. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მკვლელობისას ბოროტმოქმედი მაქსიმუმ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს⁴⁵. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომელიც არ გამორიცხავს პირდაპირი განზრახვით მოქმედებას 113-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას⁴⁶.

27. ლ. ხარანაული გულმოდგინედ ცდილობს დაასაბუთოს არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობა და აღნიშნული მიზნით მოყავს ისეთი მაგალითი, რომელიც არა თუ ვერ ასაბუთებს საკამათო საკითხს, არამედ აჩენს დამატებით კითხვას და კიდევ უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს. საქმე შეეხება პიროვნების ტანჯვის მიზნით მონამვლის შემთხვევას, სადაც მოქმედი პირი სასიკვდილო შედეგისადმი გულგრილია და არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებს. საწინააღმდეგო დოზა საკმარისია სასიკვდილო შედეგის გამოსანვევად, მაგრამ შედეგის დადგომამდე მოხდება ავიაკატასტროფა, რის გამოც, როგორც ავტორი აღნიშნავს, შეუძლებელი ხდება იმის დადგენა, პირი

რი მონამვლით გარდაიცვალა თუ ავიაკატასტროფის შედეგად. ავტორის თქმით, ასეთ დროს ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპიდან გამომდინარე, ქმედების მკვლელობის მცდელობად შეფასება არა თუ მხოლოდ შესაძლებელია, არამედ სავალდებულოცაა. ავტორის თქმით, ვინც შეეცდება ამ პოზიციის გაბათილებას, მან უარი უნდა თქვას სისხლის სამართალში კონსტიტუციური პრინციპის გამოყენებაზე⁴⁷.

ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრინციპია. აღნიშნულ პრინციპზე უარის თქმა გულისხმობს პირის დასჯას ვარაუდის საფუძველზე. როდესაც ვერ დგინდება შედეგი კონკრეტულად რამ გამოიწვია, ცხადია პირს ვერ დავსჯით ვარაუდისთვის, მაგრამ გაუგებარია, რატომ იქნება კონსტიტუციურ პრინციპზე უარის თქმა ასეთ დროს მოქმედი ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობისთვის რომ დავსაჯოთ, თუ აღნიშნული შედეგის მიმართ პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა? საკითხის როგორი გადაწყვეტა უფრო სასარგებლოა ბრალდებულისთვის: ის რომ ევენტუალური განზრახვით მცდელობისთვის დავსაჯოთ, თუ ის, რომ პასუხისმგებლობა დავაკისროთ ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობისთვის, რაც უტყუარად დგინდება განსახილველი მაგალითის მიხედვით?

28. არ არის გასაზიარებელი მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ალტერნატიული განზრახვის დროს დამნაშავეს მხოლოდ ერთი სიკეთის ხელყოფა სურს, ხოლო სხვა შედეგის დადგომას გულგრილად ეკიდება⁴⁸. ალტერნატიული განზრახვა არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ორი ალტერნატიული შედეგიდან თითოეული შედეგი დამნაშავეისთვის თანაბრად სასრუველი იყოს. ალტერნატიული განზრახვა მას იმიტომ არ ჰქვია, რომ დამნაშავეს ორი დანაშაულებრივი შედეგიდან მხოლოდ ერთი შედეგის დადგომა

⁴⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 150.

⁴⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 155.

⁴⁶ გამყრელიძე ო., წიგნში: სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2002, გვ. 84; ცქიტიშვილი

თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 222-224.

⁴⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 157.

⁴⁸ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 177.

სურს, არამედ იმიტომ, რომ კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, ორი ან მეტი შემადგენლობიდან მხოლოდ ერთის განხორციელების შესაძლებლობას უშვებს. აქედან მოქმედი პირისთვის სასურველი შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემადგენლობის ან ორივე შემადგენლობის განხორციელება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ალტერნატიული განზრახვის შიგნით დიფერენცირება პირდაპირ და არაპირდაპირ ალტერნატიულ განზრახვად. მაგალითად, როცა პირი მოქმედებს მდევარის ჩამოცილების მიზნით, მისთვის ერთნაირად სასურველი შეიძლება იყოს როგორც ცხენის მოკვლა, ისე მასზე ამხედრებული მდევარის სიცოცხლის მოსპობა.

29. გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფში, სადაც მცდელობის ცნებაა განსაზღვრული, კანონმდებელი იყენებს ნაწილს „zu“, მაგრამ ლ. ხარანაულის თვალსაზრისით აღნიშნული ნაწილაკი, რომელიც ზოგადად ფინალური წინადადების ასაგებად გამოიყენება, არ მიუთითებს პირდაპირ განზრახვაზე, ვინაიდან ადამიანის ქმედება არ არსებობს მიზნის და მოტივის გარეშე⁴⁹. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, ქმედებას განსაზღვრული მოტივი და მიზანი უდევს საფუძვლად გაუფრთხილებლობის დროსაც, მაგრამ ეს არ არის სისხლისსამართლებრივად რელევანტური მიზანი და მოტივი. როდესაც საუბარია სისხლისსამართლებრივად რელევანტური მიზნის განსახორციელებლად ჩადენილ ქმედებაზე, როგორც წესი, იგულისხმება პირდაპირი განზრახვით განხორციელებული ქმედება⁵⁰. გამონაკლის შემთხვევაში შეეფარდება ერთმანეთს გამიზნული ქმედება და დანაშაულის განხორციელება არაპირდაპირი განზრახვით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გერმანულ სისხლის სამართალში გამიზვნა, როგორც განზრახვის სპეციფიკური სახე, ცალკე გამოიყოფა.

30. ლ. ხარანაული იზიარებს სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულ იმ მოსაზრებას, რომ დანაშაულის ერთ-ერთი ნიშანია მისი დასჯადობა, ვინაიდან ყველა ქმედების შემადგენლობას თან ახლავს სანქცია⁵¹. თუმცა საგულისხმოა მეორე შეხედულება, რომელიც აღნიშნულის მიუხედავად, დასჯადობას არ განიხილავს დანაშაულის ნიშნად. მეორე შეხედულება ეფუძნება იმ არგუმენტს, რომ დანაშაული შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ გარკვეული გარემოებების საფუძველზე დამნაშავე მაინც არ დაისაჯოს. ამ მხრივ, საყურადღებოა კ. როქსინის მოსაზრება, რომელიც სასჯელის შეფარებისთვის, დანაშაულის გარდა, აუცილებლად მიიჩნევს დასჯის პრევენციული აუცილებლობის არსებობას. თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალი იცნობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესაძლებლობას დანაშაულის ჩადენის მიუხედავად⁵².

31. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, „დამნაშავე, რომელიც მსხვერპლს უახლოვდება, მკვლელობის მცდელობას ჩადის მაშინ, როდესაც მას რამდენიმე ნაბიჯი აქვს გადასადგმელი, რომ შემდგომ დაუმიზნოს მსხვერპლს“⁵³. როგორც მოცემული წინადადებიდან ირკვევა, იარაღით მკვლელობის მცდელობის განხორციელება შესაძლებელი ყოფილა იარაღის დამიზნების გარეშე, მისი მომარჯვებითაც, რაც საკამათოდ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან მცდელობის ასეთი გაგებით ადგილი აქვს მცდელობის ფარგლების გაუმართლებელ განვრცობას⁵⁴. როგორც ირკვევა, ავტორი მომზადების და მცდელობის გამიჯვნისთვის ითვალისწინებს ობიექტთან მიახლოების ფაქტორს. ობიექტთან სიახლოვე მცდელობისთვის დამახასიათებელი მომენტი, მაგრამ მხოლოდ აღნიშნული მომენტი არ არის საკმარისი მომზადების და

⁴⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 177.

⁵⁰ გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამონაკლის შემთხვევაში უშვებენ გამიზნული ქმედების შესაძლებლობას არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულში. ასეთად განიხილავენ ქურდობის შემადგენლობას.

⁵¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 187.

⁵² აღნიშნულის შესახებ იხ. ცქიტიშვილი თ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

საფუძველი, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #7.

⁵³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 208.

⁵⁴ იარაღის მომარჯვებას მომზადებად მიიჩნევენ ო. გამყრელიძე და ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი. იხ. გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, III ტომი, თბ., 2013, გვ. 237; მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., ნიგნში: ნაჭყებია გ., თოდუა ნ., (რედ.), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, მეოთხე გამოცემა, თბ., 2019, გვ. 372.

მცდელობის გამიჯვნისთვის. მსხვერპლთან ახლოს მყოფი პირი დანაშაულის მცდელობის სტადიაზე რომ გადავიდეს, საჭიროა იარაღის დამიზნება. დამიზნებამდელი სტადია ჯერ კიდევ მომზადების სტადიას განეკუთვნება. იარაღის დამიზნება მკვლელობის დაუმთავრებელ მცდელობას წარმოადგენს. დაუმთავრებელ მცდელობას დამთავრებული მცდელობისგან ერთი ნაბიჯი აშორებს, ეს არის იარაღიდან ტყვიის გასროლა. რაც შეეხება იარაღის მომარჯვებას დამიზნების გარეშე, იარაღიდან ტყვიის გასროლიდან უფრო შორეული ეტაპს წარმოადგენს, მასზე ვერ ვიტყვით, რომ ტყვიის გასროლას ერთი ნაბიჯი აშორებსო, ვინაიდან ტყვიის გასროლას წინ უძღვის იარაღის დამიზნება. იარაღის მომარჯვების დროს დამნაშავეს ჯერ კიდევ არ აქვს ის ფსიქოლოგიური ბარიერი გადალახული, რომელიც მცდელობისთვისაა დამახასიათებელი. გასათვალისწინებელია ის, რომ მომზადების სტადიას ქართული სისხლის სამართალი დაუსჯელს არ ტოვებს, რის გამოც არ არსებობს მცდელობის საზღვრების განვრცობის აუცილებლობა. თუ იარაღის მომარჯვებას, დამიზნების გარეშე, მკვლელობის მცდელობად ჩავთვლით მსხვერპლთან სიახლოვის გამო, მკვლელობის მცდელობად უნდა დაგვეკვალიფიცირებინა ბოროტმოქმედის შეჭრა მსხვერპლის ბინაში მკვლელობის მიზნით. მართებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული ქმედება ჯერ კიდევ მკვლელობის მომზადებას წარმოადგენს და არა მცდელობას, განსხვავებით ქურდობისგან, როდესაც ბინაში შეჭრა ბინის გასაქურდად, ქურდობის მცდელობას აფუძნებს⁵⁵. მიზეზი თუ რატომ წარმოადგენს ერთი და იგივე ქმედება ერთ შემთხვევაში მომზადებას და მეორე შემთხვევაში მცდელობას, მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული ქმედებით ქმედების შემადგენლობის განხორციელება მეორე შემთხვევაში დაწყებულია, განსხვავებით პირველისგან. მაშასადამე,

იმის გასარკვევად, საქმე გვაქვს დანაშაულის მომზადებასთან თუ მცდელობასთან, გასათვალისწინებელია დანაშაულის ბუნება და ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა.

32. ლ. ხარანაული ბინის გაქურდვის მიზნით ძაღლის ეზოდან გაყვანას ქურდობის მცდელობად აფასებს, რის მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ ქმედების (სხვისი ნივთის დაუფლების) ხელისშემშლელი ფაქტორი ისპობა⁵⁶. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. ძაღლის ეზოდან გაყვანა ან ძაღლის მონამვლით მკვლელობა და ამ გზით ხელშემშლელი გარემოების თავიდან მოცილება ჯერ კიდევ დანაშაულის მომზადების სტადიაა, ვინაიდან აღნიშნული ქმედებით ბოროტმოქმედი პირობებს ქმნის დანაშაულის ჩასადენად, ხოლო ქურდობის შემადგენლობის განხორციელება არც დაწყებულია და ვერც იმას ვიტყვით, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელება ეს ესაა იწყება. ძაღლის თავიდან მოშორება ბინის გასაქურდად ისეთივე მნიშვნელობის ქმედებაა ქურდობასთან მიმართებით, როგორც მორგებული გასაღების დამზადება, სიგნალიზაციის გამორთვა ან მწყობრიდან გამოყვანა და სხვა.

33. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, დამამძიმებელი გარემოების განხორციელება მხოლოდ მაშინ მიაღწევს მცდელობის სტადიას, როდესაც იმავდროულად ადგილი აქვს ძირითადი შემადგენლობის განხორციელებას⁵⁷. თუმცა ავტორი არ უთითებს რომელ მაკვალიფიცირებელ გარემოებაზეა საუბარი. ვინაიდან მცდელობა მხოლოდ განზრახვი ქმედებითაა შესაძლებელი, თუ საუბარია კვალიფიცირებული შემადგენლობის მცდელობაზე (და არა „შედეგით კვალიფიცირებულ მცდელობაზე“⁵⁸), ბუნებრივია აქ იგულისხმება ის მაკვალიფიცირებული გარემოება, რომლის მიმართაც დამნაშავე განზრახ შეიძლება მოქმედებდეს. რო-

⁵⁵ ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა თ. წერეთელი. იხ. წერეთელი თ., წიგნი: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 117. საკითხის ასეთი გადაწყვეტისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება იხ. მჭედლიშვილი-ჰედრისი ქ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 41.

⁵⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 213.

⁵⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 213.

⁵⁸ შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა განზრახვა-გაუფრთხილებლობის კომბინაციის პირობებშიც არის შესაძლებელი.

გორც ცნობილია, არსებობს ისეთი კვალიფიცი-რებული შემადგენლობებიც, რომელშიც რო-გორც ძირითადი, ისე კვალიფიცირებული შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის მი-მართ განზრახი დამოკიდებულება იგულისხმე-ბა. ასეთია ორი ან მეტი პირის მკვლელობა. ასე-თი შემადგენლობის მცდელობა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, როცა ქმედების ძირითადი შე-მადგენლობა არ არის განხორციელებული. ეს არის ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელო-ბა. 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშა-ულის მცდელობის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქმედების ძირითადი შემადგენლობის სრულად განხორციელებასაც, მაგრამ ძირითა-დი შემადგენლობის სრულად განხორციელება არ წარმოადგენს კვალიფიცირებული შემადგე-ნლობის მცდელობის აუცილებელ პირობას.

34. მონოგრაფიაში ერთმანეთისგან არის გამიჯნული ორი შემთხვევა: ერთი, როცა ბინის გასაქურდად შემთხვევის ადგილზე ხდება ამნის მიტანა და მეორე, როცა ამნის შემთხვევის ად-გილზე მიტანიდან და დამალვიდან სამი დღის შემდეგ ბოროტმოქმედი ამნეს იღებს სამალავი-დან და აპირებს მისი დახმარებით გისოსის და-ზიანებას. ავტორის შეფასებით, თუ პირველ შე-მთხვევაში სახეზეა ქურდობის მომზადება, მეო-რე შემთხვევაში ქმედება ქურდობის მცდელო-ბად უნდა დაკვალიფიცირდეს⁵⁹. საკამათოა ქმე-დების კვალიფიკაცია ქურდობის მცდელობად გისოსის დაზიანების მიზნით გადამალული ამ-ნის მომარჯვების გამო. როგორც ჩანს, ავტორი აღნიშნულ ქმედებას უთანაბრებს მკვლელობის მიზნით იარაღის დამიზნებას. ქურდობის მცდე-ლობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს ქმედება მაშინ, თუ მოქმედი პირი შეუდგება გისოსის და-ზიანებას. ის, რომ ბოროტმოქმედი გისოსის და-ზიანებას აპირებდა, არ გულისხმობს იმას, რომ ადგილი ჰქონდა ქურდობის მცდელობას. ისევე როგორც იარაღის მომარჯვება არ წარმოად-გენს მკვლელობის მცდელობას, ამნის მომარჯ-ვება ქურდობის მიზნით, ასევე ვერ ჩაითვლება ქურდობის მცდელობად.

35. მონოგრაფიაში განხილულია მცდელო-ბა უმოქმედობის დელიქტებში და აღნიშნულია, რომ მცდელობას ადგილი შეიძლება ჰქონდეს წმინდა უმოქმედობის დელიქტებშიც. სანიმუ-შოდ დასახელებულია სსკ-ის 390-ე მუხლით გა-თვალისწინებული შემადგენლობა⁶⁰. აღნიშნუ-ლი შემადგენლობა შემდეგნაირად არის ჩამოყა-ლიბებული: „სამხედრო მოსამსახურის მიერ სა-მხედრო სამსახურისთვის თავის არიდება ავად-მყოფობის სიმულაციით, სხეულის თვითდაზიან-ებით, ყალბი დოკუმენტის გამოყენებით ან სხ-ვაგვარად მოტყუებით“. როგორც ნორმის დის-პოზიციიდან ირკვევა, აღნიშნული დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მოქმედებითი უმოქმე-დობით. კერძოდ, საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანებით. ჯანმრთელობის დაზიანების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოქმედე-ბას. განსახილველი დანაშაული განსხვავდება იმ დანაშაულებსგან, რომელთა ჩადენაც მხო-ლოდ უმოქმედობით ხდება. ამიტომ, საკამათო შეიძლება იყოს განსახილველი ქმედების შემად-გენლობის სანიმუშოდ დასახელება წმინდა უმო-ქმედობით დანაშაულებთან დაკავშირებით.

36. წმინდა უმოქმედობით დანაშაულებთან დაკავშირებით მონოგრაფიაში ასევე განხილუ-ლია 383-ე მუხლით გათვალისწინებული დანა-შაული, რომელიც გულისხმობს უფროსის ბრძა-ნების შეუსრულებლობას. ავტორის მოსაზრე-ბით, ხელქვეითის მიერ უფროსის ბრძანების შე-უსრულებლობა უნდა დაკვალიფიცირდეს გან-სახილველი დანაშაულის მცდელობად. რო-გორც ჩანს, ავტორს მხედველობაში აქვს უმოქ-მედობა შედეგის დადგომამდე⁶¹.

განსახილველ შემადგენლობაში კანონმდე-ბელი შემადგენლობის ნიშნად მიუთითებს სამ-ხედრო სამსახურის ინტერესის არსებით დაზიან-ებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შემადგენლობის განხორციელებას კანონმდებელი უკავშირებს შედეგის დადგომას, ხოლო მხოლოდ უმოქმედო-ბა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად და-სჯად მცდელობას თუ ქმედებას, რომელიც მხო-ლოდ დისციპლინურ პასუხისმგებლობას იწ-ვევს, შეიძლება საკამათო იყოს. გარდა ამისა,

⁵⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 216.

⁶⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 226.

⁶¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 226.

როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დანაშაულის ჩადენას მოქმედებითი უმოქმედობით, მიუხედავად იმისა, რომ დისპოზიციაში კანონმდებელი არ უთითებს ისეთ ქმედებას, რომელიც აქტიურ მოქმედებასაც მოიცავს.

37. მონოგრაფიაში ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს მცდელობა შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში. ასეთად განიხილავს ორი ან მეტი პირის მიქველად აყვანას⁶², რაც არ არის გასაზიარებელი. მიქველად ხელში ჩაგდება ფორმალური დანაშაულია და იგი ასეთად რჩება მიუხედავად იმისა, რამდენი პირის მიქველად ხელში ჩაგდებასაც უნდა ეხებოდეს საქმე. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს კვალიფიცირებული და შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა.

38. ლ. ხარანაულის თვალსაზრისით, სსკ-ის 229-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა შედეგისადმი გაუფრთხილებლობით დამოკიდებულებას გულისხმობს, რაც არ არის გასაზიარებელი⁶³. 229-ე მუხლის მე-4 ნაწილი რომ შედეგთან მიმართებით არა გაუფრთხილებლობას, არამედ განზრახვას ითვალისწინებს⁶⁴ გამომდინარეობს დასახელებული მუხლის 1-ლი ნაწილიდანაც, სადაც სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანების ან სხვა მძიმე შედეგის გამონვევის მიზნით განხორციელებულ ქმედებაზეა საუბარი. 229-ე მუხლის მე-4 ნაწილი მოიცავს განზრახ მკვლელობისა და ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების სპეციალურ შემადგენლობებს, როცა დანაშაულის ჩადენა ხდება აფეთქებით, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. შესაბამისად, ასეთ დროს ქმედება არა 109-ე ან 117-ე მუხლით, არამედ 229-ე მუხლის მე-4 ნაწილით კვალიფიცირდება. მე-4 ნაწილი რომ განზრახ ქმედებას გულისხმობს ჩანს ნორმით გათვალისწინებული სანქციიდანაც, რომელიც განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთას ათიდან თხუთმეტ წლამდე.

39. ლ. ხარანაული საგანგებო ყურადღებას უთმობს უმოქმედობით დანაშაულის მცდელობისა და მომზადების გამიჯვნის საკითხს და იზიარებს მოსაზრებას, რომ შერეული უმოქმედობის დელიქტებში მცდელობას მაშინ აქვს ადგილი, როცა უმოქმედობით შექმნილია ისეთი საფრთხის მდგომარეობა, რომელზეც ბოროტმოქმედი ვერ ბატონობს. აღნიშნულ მოსაზრებას ავტორი წარმოგვიდგენს გაბატონებულ შეხედულებად⁶⁵.

ზოგადად, დანაშაულის მცდელობა გულისხმობს სამართლებრივი სიკეთისთვის რეალური საფრთხის შექმნას, როცა მოვლენებზე მოქმედი პირი შეიძლება ვერ ბატონობდეს, მაგრამ ჩნდება კითხვა, ყოველთვის არსებობს თუ არა ასეთი მდგომარეობა მცდელობის დროს? მცდელობა ყოველთვის არ გულისხმობს ერთნაირად საშიშ და არაკონტროლირებად მდგომარეობას. მცდელობის დროს მოვლენებზე ბატონობის სადავე ბოროტმოქმედის ხელში რომ არ იყოს, დანაშაულზე ნაბაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელი იქნებოდა. მაგალითად, როდესაც ბოროტმოქმედი იარაღს დაუმიზნებს პოტენციურ მსხვერპლს, ადგილი აქვს მკვლელობის დაუმთავრებელ მცდელობას და მოქმედი პირი ჯერ კიდევ ბატონობს მოვლენების მსვლელობაზე. მას შეუძლია შექმნილი საფრთხე გაანეიტრალოს დამიზნებული იარაღის გასროლისგან თავის შეკავებით და იარაღის ლულის ჩამოშვებით. მოქმედი პირი მოვლენებზე არ ბატონობს ტყვიის გასროლის შემდეგ. როცა პირი მსხვერპლს დამიზნებით ესვრის, გასროლილი ტყვია მოხვდება თუ არა მსხვერპლს, არ არის დამოკიდებული ბოროტმოქმედზე. მას მოვლენების განვითარებაში ცვლილების შეტანა შეუძლია ტყვიის გასროლამდე. იგივენაირი მდგომარეობაა უმოქმედობითი მცდელობის დროსაც. აღნიშნული ეხება შიმშილით, საკვების მიუცემლობით, ადამიანის მკვლელობის მცდელობასაც.

საკამათოა ასევე ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს უმოქმედობით მკვლელობისთვის მნიშვნელოვანია შემთხვევის

⁶² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 229.

⁶³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 230.

⁶⁴ ანალოგიური მოსაზრება იხ. ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის

კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი მეორე, თბ., 2023, გვ. 326.

⁶⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 236.

ადგილიდან ბოროტმოქმედის დისტანცირება. მთავარი მომენტი არა მსხვერპლის ადგილსამყოფელის დატოვება დამნაშავეს მიერ, არამედ სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა. შეიძლება შედეგიანი დანაშაული (მკვლელობა) უმოქმედობით ისე განხორციელოს ბოროტმოქმედმა, რომ მსხვერპლის ადგილსამყოფელი საერთოდ არ დატოვოს, მაგალითად, თვალყური მიადევნოს იმას, თუ როგორ კვდება განსაცდელში მყოფი დაუხმარებლობის შედეგად, რასაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს დანაშაულის მცდელობის დროსაც, ვინაიდან აღნიშნული სტადია ნინ უძღვის შედეგის დადგომას.

40. მონოგრაფიაში განზრახი შედეგით დამძიმებული შემადგენლობის მცდელობა იმგვარად არის განხილული, რომ არ არის შესაბამისი მაგალითი დასახელებული საქართველოს სსკ-ის მიხედვით. ავტორი გერმანული კანონმდებლობის მიმოხილვით შემოიფარგლება⁶⁶. სასურველი იყო საკითხის განხილვა ქართული სსკ-ის მიხედვითაც, ვინაიდან განსახილველი ნაშრომი შედარებით-სამართლებრივ კვლევას წარმოადგენს.

41. ლ. ხარანაულის სადისერტაციო ნაშრომში მსჯელობის საგანს წარმოადგენს სიმთვრალეში განხორციელებული ქმედების კვალიფიკაცია, რომელთან დაკავშირებით ავტორი იზიარებს გერმანულ სისხლის სამართლის ლიტერატურასა და კანონმდებლობაში გაზიარებულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 323-ე პარაგრაფით⁶⁷, რომელიც საფრთხის შემქმნელი დელიქტის შემადგენლობად განიხილება. აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან სიმთვრალეში ჩადენილი განზრახი დანაშაულისთვის ხდება პასუხისმგებლობის გაუმართლებელი შემსუბუქება, ვინაიდან ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, როგორცაა მკვლელობა, ჯანმრთელობის დაზიანება, დასახელებული ნორმით

კვალიფიკაციის პირობებში გარდაიქმნება საფრთხის შემქმნელ დელიქტად, რამდენადაც არაფხიზელ მდგომარეობაში შეგნებულად თავის ჩაყენება მიიჩნევა საფრთხის შემქმნელ დელიქტად. მართებულია ის შეხედულება, რომელიც შეგნებულად არაფხიზელ მდგომარეობაში თავის ჩაყენების და მკვლელობის განხორციელებისას ქმედებას აკვალიფიცირებს მკვლელობის მუხლით, ხოლო წინარე ქმედებას - სიფხიზლეში მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაგეგმვას იყენებს სიმთვრალეში განხორციელებული ქმედების ბრალეულობის დასასაბუთებლად⁶⁸. აღნიშნულიდან გამომდინარე, სიმთვრალეში განხორციელებული განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისთვის სსკ-ში გერმანული სსკ-ის 323-ე პარაგრაფის ანალოგიური შემადგენლობის საქართველოს სსკ-ში შემოტანის აუცილებლობა არ არსებობს. აღნიშნული შემადგენლობის შემოტანის საკითხზე მსჯელობა შეიძლება მართებული იყოს იმ შემთხვევებისთვის, როცა არ არსებობს ორმაგი განზრახვა.

42. უვარგისი მცდელობის განხილვისას ლ. ხარანაულს მოჰყავს ისეთი მაგალითი, რომელიც სადავოა. მაგალითად, როცა ყაჩაღობის მიზნით ბოროტმოქმედი სხვის ბინაში შეიჭრება, ითხოვს ფულსა და ძვირფასეულობას, მაგრამ პირები, რომლებიც ბინაში დახვდა, სიმთვრალის გამო უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რის გამოც მუქარა ვერ აღიქვეს. ხოლო მოქმედი პირი პოლიციამ შემთხვევის ადგილზე დააკავა. აღნიშნულ შემთხვევას ავტორი მიიჩნევს უვარგის მცდელობად, რის გამოც ქმედებას ყაჩაღობის მცდელობით აკვალიფიცირებს⁶⁹. ავტორის პოზიცია სადავოა იმიტომ, რომ ყაჩაღობის განხორციელებისთვის არსებითია არა განხორციელებული მუქარის აღქმა პოტენციური მსხვერპლის მიერ, არამედ განხორციელებული თავდასხმა (ბინაში შეჭრა), წაყენებული მუქარა და მისი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ობიექტურად საშიში ძალადობა

⁶⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 238-243.

⁶⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 254.

⁶⁸ ცქიტიშვილი თ., სიმთვრალეში განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვალიფიკაციისათვის (ისტორიული და შედარებით-

სამართლებრივი ასპექტები), კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ნიგნი III, თბ., 2015, გვ. 627-649.

⁶⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 260.

ან ასეთი ძალადობის მუქარა. შესაბამისად, ქმედება აღნიშნულ შემთხვევაში დამთავრებულ ყაჩაღობად უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში უვარგის მცდელობასთან გვექნებოდა საქმე თუ ბოროტმოქმედს ბინაში არა მთვრალი, არამედ გარდაცვლილი დახვდებოდა, ვინაიდან სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნა შეიძლება მხოლოდ ცოცხალი ადამიანის მიმართ. ადამიანის სიმთვრალე კი მისი სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის ობიექტურად საფრთხის შექმნის შესაძლებლობას არ გამორიცხავს.

43. უვარგისი საშუალებით დანაშაულის მცდელობაზე მსჯელობისას ლ. ხარანაულს მოჰყავს ისეთი შემთხვევა, როცა პირი ცრუ ინფორმაციას აწვდის მის მოწინააღმდეგეებს შვილის გარდაცვალების შესახებ გულის შეტევით მოკვლის მიზნით და მიზანს აღწევს ერთ-ერთი მოწინააღმდეგის მკვლელობასთან დაკავშირებით. ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, მაგრამ შედეგი პირს ობიექტურად არ უნდა შეერაცხოს⁷⁰. მაგალითის მოყვანისას მეტი კონკრეტულობა იყო საჭირო. ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავტორთა ერთი ნაწილი დასახელებულ შემთხვევაში უშვებს ქმედების განზრახ მკვლელობად კვალიფიკაციის შესაძლებლობას, თუმცა იმ დათქმით, რომ მსხვერპლი არის გულის ავადმყოფობით დაავადებული, რის შესახებაც მოქმედმა იცის⁷¹ და აქედან გამომდინარე, არსებობს მოვლენების მაღალი ალბათობით განვითარების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა. განსახილველ მაგალითში მკვლელობის საშუალებად მიჩნეულია მსხვერპლზე ფსიქიკური ზემოქმედება. მაშასადამე, ადამიანის მკვლელობა შესაძლებელია არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ასევე ფსიქიკური ზემოქმედების გზითაც.

44. ლ. ხარანაული აღნიშნავს, რომ უვარგისი სუბიექტის მიერ დანაშაულის მცდელობა,

როგორც წესი, დაუსჯელი რჩება და გამონაკლისია შერეული უმოქმედობის დელიქტები, როცა პირი ცდება გარანტის მოვალეობის არსებობაში⁷². თუმცა მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ ასეთ დასჯად შეცდომას გარანტორულ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეიძლება ადგილი ჰქონდეს წმინდა უმოქმედობის დელიქტებშიც, როგორცაა განსაცდელში მიტოვება და დაუხმარებლობა. მაგალითად, „ა“ შეცდომით ფიქრობს, რომ განსაცდელში მყოფი პირი მისი შვილია და მას არ ეხმარება, მაგრამ აღმოჩნდება, რომ იგი მისი მეზობელი ყოფილა. „ა“-ს არ ჰქონია განსაცდელში მყოფის სიცოცხლის მოსპობის სურვილი, არამედ გულგრილად ეგუებოდა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას. მოცემულ შემთხვევაში უმოქმედობით მკვლელობის მცდელობის საკითხი არ უნდა იქნას დასმული როგორც არაპირდაპირი განზრახვით უმოქმედობის, ისე იმის გამო, რომ გარანტორული მდგომარეობა რეალურად არ არსებობდა. აღნიშნული უმოქმედობა არც განსაცდელში მიტოვებად დაკვალიფიცირდება. თუმცა ეს სრულად არ გამორიცხავს პასუხისმგებლობას და „ა“ უნდა დაისაჯოს დაუხმარებლობისთვის. დაუხმარებლობა, ისევე როგორც განსაცდელში მიტოვება, წმინდა უმოქმედობის დელიქტია.

45. დისერტანტი თანამონაწილეობის დასჯადობის საკითხზე მსჯელობისას უთითებს, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი თანამონაწილეობის ლიმიტირებული აქცესორობის პრინციპს იცნობს⁷³, მაგრამ არ ითვალისწინებს იმას, რომ საქართველოს სსკ-ის 23-ე და 24-ე მუხლები, გერმანული სსკ-გან განსხვავებით, მიუთითებენ თანამონაწილის მონაწილეობაზე არა ამსრულებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში (უმართლობაში), არამედ დანაშაულში მონაწილეობაზე, ხოლო დანაშაული არ არსებობს ბრალეული ქმედების გარეშე.

46. ლ. ხარანაული სადისერტაციო ნაშრომში ყაჩაღობის თანამსრულებლობაზე მსჯელო-

⁷⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 271.

⁷¹ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ნაწილი პირველი, თბ., 2023, გვ. 33.

⁷² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 288.

⁷³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 292.

ბისას ავითარებს იმ მოსაზრებას, რომელიც ბინის კარებთან გარეთ სადარაჯოდ მდგომ პირს უპირობოდ თანაამსრულებლად მიიჩნევს⁷⁴ ისე, რომ არ ითვალისწინებს, დარაჯად დგომის გარდა კიდევ რა ფუნქციას ასრულებდა. საკითხის ასეთი გადაწყვეტა არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, კარებთან მდგომი პირი მხოლოდ დარაჯის ფუნქციას ასრულებდა თუ სხვა სახის ფუნქციასაც ითავსებდა. მხოლოდ დარაჯად დგომა ყაჩაღობაში თანაამსრულებლობისთვის საკმარის წინაპირობად ვერ ჩაითვლება⁷⁵.

47. მონოგრაფიაში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მიიჩნევა შესაძლებლად ერთი მხრივ, დანაშაულის მატერიალურად და ფორმალურად დასრულებამდე⁷⁶ და მეორე მხრივ, მას ავტორი დასაშვებად თვლის მაშინაც, როცა დანაშაული ფორმალურად დასრულებულია, მაგრამ მატერიალურად არ არის დამთავრებული⁷⁷.

მოსაზრება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის ფორმალურად დამთავრების შემდგომაც მის მატერიალურად დასრულებამდე, გამოთქმული იყო მანამდეც რუსულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში, მაგრამ ეს შეხედულება მართებულად გააკრიტიკა თ. ნერეთელი იმ არგუმენტით, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება კანონმდებლის ნებას, რომელიც დანაშაულის დამთავრებას უკავშირებს სწორედ ქმედების შემადგენლობის სრულად განხორციელებას⁷⁸. თუ ჩვენ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დანაშაულის ფორმალურად დასრულების შემდგომაც მატერიალურად (ფაქტობრივად) დამთავრებამდე, კანონმდებლის ნების წინააღმდეგ მივალთ დასკვნამდე, რომ ქმედების შემადგენლობის განხორციელების მიუხე-

დავად დანაშაული ჯერ კიდევ დაუმთავრებელია და ამგვარად, უშედეგო დანაშაულსაც ვცნობდით შედეგიან დანაშაულად⁷⁹.

48. ლ. ხარანაული დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას დასაშვებად თვლის როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით. უფრო სწორად, არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში⁸⁰. თუმცა აღნიშნული საკითხი უკავშირდება იმას თუ რამდენად დასაშვებად ვცნობთ არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მომზადებას და მცდელობას. თუ დანაშაულის მომზადება და მცდელობა გამოვრიცხეთ არაპირდაპირი განზრახვით, ლოგიკურად მივალთ დასკვნამდე, რომ არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია, ვინაიდან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას სწორედ მომზადების ან მცდელობის სტადიაზე შეიძლება ჰქონდეს ადგილი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა იმ ავტორებს შორისაც იწვევს კამათს, რომლებიც არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის იდეას იზიარებენ. ამ მხრივ აღნიშნულ ავტორთა მოსაზრება ორად იყოფა. ავტორთა ერთი ნაწილი თუ უშვებს არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებულ დანაშაულებში დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობას, მეორე ნაწილი მას გამორიცხავს. აღნიშნული შეხედულების წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ არაპირდაპირი განზრახვის დროს ადგილი არ აქვს ისეთ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელიც ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის არის დამახასიათებელი⁸¹.

49. ლ. ხარანაული დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით მსჯელობს ისეთ შემთხვევაზე, როცა წამქეზებელი

⁷⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 293.

⁷⁵ ვრცლად იხ. ცქიტიშვილი თ., საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული, თბ., 2023, გვ. 89-105.

⁷⁶ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 314.

⁷⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 315-316.

⁷⁸ ნერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, I ტომი, თბ., 2007, გვ. 553.

⁷⁹ ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 288-290.

⁸⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 331.

⁸¹ აღნიშნულზე უფრო ვრცლად იხ. ცქიტიშვილი თ., დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხისათვის, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2023, #5.

ამსრულებელს დაიყოლიებს მკვლელობაზე, ხოლო შემდეგ დანაშაულის დასრულებამდე გადააფიქრებინებს მკვლელობის ჩადენას და დაარწმუნებს ამსრულებელს იმაში, რომ საკმარისი იქნება, თუ იგი დაზარალებულს მხოლოდ ჯანმრთელობას დაუზიანებს. აღნიშნულ შემთხვევას ავტორი მიჯნავს შედეგის ობიექტურად შერაცხვის გამოორიციხავი ისეთი გარემოებისგან, როგორც რისკის შემცირებაა, მაგრამ შედეგის შერაცხვის მიუხედავად თანამონაწილეს, ნამქეზებელს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ბრალის გამორიციხვის საფუძველზე. გარემოებას, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში ავტორის შეხედულებით ბრალს გამორიციხავს, უწოდებს ბრალის გამომრიცხავ ზეკანონურ გარემოებას ნებაყოფლობით ხელის ალების პირობით⁸². ავტორის შეხედულება კრიტიკას ვერ უძლებს. განხილულ შემთხვევაში ამსრულებელიც და ნამქეზებელიც უნდა დაისაჯონ რეალურად განხორციელებული დანაშაულისთვის, ჯანმრთელობის დაზიანებისთვის. არ არსებობს არგუმენტი, რომელიც გაამართლებდა ნამქეზებლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, ვინაიდან სწორედ მისი დაყოლიების შედეგად გადაწყვიტა ამსრულებელმა თავიდან უფრო მძიმე უმართლობის - მკვლელობის, ხოლო შემდგომ შედარებით უფრო მსუბუქი უმართლობის - მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანების განხორციელება.

50. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, სამართლებრივად დამხმარე დანაშაულის დაწყებამდე იტყვის უარს შეპირებული ქმედების შესრულებაზე, თუ დანაშაულის დაწყების შემდეგ, განსხვავებულ შედეგებს არ იძლევა, რადგან ორივე შემთხვევაში იგი მიზეზობრივად აღარ არის დაკავშირებული იმ შედეგთან, რომელსაც ამსრულებელი მისგან დამოუკიდებლად სჩადის⁸³. აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტორი გამოდის ინიციატივით, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება სხვაგვარად ჩამოყალიბდეს, სადაც ყურადღება იქნება გამახვილებული დამხმარის მიერ შეპირებული

ქმედების შესრულებასთან დაკავშირებით უარის თქმაზე არა დანაშაულის დაწყებამდე, არამედ დასრულებამდე⁸⁴, რაც იმას გულისხმობს, რომ შემოთავაზებული საკანონმდებლო ცვლილების პირობებში შესაძლებელი იქნება დამხმარის მიერ დანაშაულზე ხელის ალება შეპირებულ ქმედებაზე უარის თქმით დანაშაულის დაწყების შემდგომაც მის დასრულებამდე. აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი, ვინაიდან ავტორი არ ითვალისწინებს დამხმარის ქმედების ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ამსრულებლის საბოლოო გადაწყვეტილებაზე და მის თანამიზეზობრიობას განხორციელებულ ქმედებაში და წარმოადგენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ალების საზღვრების გაუმართლებელ განვრცობას. ავტორი არ ითვალისწინებს იმას, რომ დამხმარის ქმედების დასჯადობის ობიექტური საფუძველი არის ერთიანი უმართლობა და დამხმარის ქმედების მიზეზობრიობა ამსრულებლის ქმედებასთან. დამხმარის ქმედება არ უტოლდება ნამქეზებლის ქმედებას, მაგრამ ნუ დაგვაზინყდება, რომ დამხმარის წინასწარი შეპირება ამსრულებელს გადაწყვეტილებას განუმტკიცებს, რაც ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედების განვითარების პროცესში. შეიძლება დამხმარის მიერ ამსრულებლისთვის წინასწარ მიცემული პირობა დახმარებასთან დაკავშირებით გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს. ხოლო წინასწარ მიცემული დაპირების შესრულებაზე დამხმარის უარი დანაშაულის დაწყების შემდეგ, დანაშაულის დასრულებამდე, ნაკლებ ეფექტური ამსრულებელზე ზემოქმედებისთვის და დაწყებული დანაშაულებრივი ქმედების შეწყვეტისთვის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ავტორს თავისი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოყავს ქურდობასთან დაკავშირებით ისეთი მაგალითი, რომელშიც დანაშაული არა თუ დაწყებული, არამედ იურიდიულად დასრულებულიც არის (სხვისი ბინიდან ნივთების გამოტანა)⁸⁵. თუ ქურდობის შემადგენლობა იურიდიულად განხორციელებული

⁸² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 341-342.

⁸³ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 343.

⁸⁴ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 344.

⁸⁵ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 344.

ბულია და ქურდობის ამსრულებელი თავის ნაც-ნობ „ა“-ს, რომელიც მოგვიანებით ნახა ქუჩაში, გადასცემს ნაქურდალს, „ა“-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც ქურდობაში სუქცესიური თანამსრულებლობა, არამედ 186-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფლობისთვის, სარგებლობისთვის, შეძენისთვის ან გასაღებისთვის. ხოლო თუ ადგილი ჰქონდა ნაქურდალის დაფარვას ფარული დაუფლების შემდეგ, წინასწარი შეპირების გარეშე, ქმედება დანაშაულის დაფარვის (375-ე) მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს⁸⁶. იმისთვის, რომ ქმედება ქურდობაში დახმარებად დაკვალიფიცირდეს, საჭიროა მან ქურდობის ამსრულებელს დახმარება გაუწიოს სხვისი ქონების დაუფლებაში ანუ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებაში. თუ დასახელებული მაგალითის მიხედვით „ა“-ს ქმედებას ქურდობის სუქცესიური თანამსრულებლობად ან თანამონაწილეობად ვცნობთ, აზრს დაკარგავს 186-ე და 375-ე მუხლებით გათვალისწინებული შემადგენლობების არსებობა.

51. ლ. ხარანაული დანაშაულში სუქცესიური თანამონაწილეობას უშვებს დანაშაულის იურიდიულად განხორციელების შემდეგ, მაგრამ არ ითვალისწინებს დანაშაულის ბუნებას⁸⁷. დანაშაულის იურიდიულად განხორციელების შემდეგ დანაშაულში თანამონაწილეობა და თანამსრულებლობა შესაძლებელია, მაგრამ დანაშაულის ბუნების და საკანონმდებლო შემადგენლობის გათვალისწინებით. თუ ყაჩაღობაში თანამსრულებლობა და თანამონაწილეობა შესაძლებელია ყაჩაღობის შემადგენლობის იურიდიულად განხორციელებამდე, დენად დანაშაულში ამის შესაძლებლობა დანაშაულის იურიდიულად განხორციელების შემდეგაც არის შესაძლებელი. ამის მაგალითად შეიძლება დასახელებულ თავისუფლების უკანონო აღკვეთა⁸⁸.

დანაშაულის იურიდიულად განხორციელების მიუხედავად სუქცესიური თანამონაწილეობის და თანამსრულებლობის შესაძლებლობის საკითხის განხილვისას საჭირო იყო მეტი კონკრეტული დასჯადი ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო აღწერილობის გათვალისწინებით და დანაშაულთა დიფერენცირება ჯგუფებად, დანაშაულებად, რომელთა იურიდიულად დამთავრების შემდეგ თანამონაწილეობა და თანამსრულებლობა შესაძლებელია და დანაშაულებად, რომლებშიც ასეთი შესაძლებლობა გამოირიცხება.

52. მონოგრაფიაში თანამონაწილეობით ჩადენილ დანაშაულში ნებაყოფლობით ხელის ალებაზე მოყვანილია ცეცხლის ნაკიდების მაგალითი, რომელშიც თავდაპირველი ქმედება მიმართულია დანაშაულის განხორციელებისკენ, მაგრამ შემდგომ მოგვიანებით ხორციელდება ქმედება, რომელიც სახლის ბოლომდე დაწვას გამოირიცხავს⁸⁹. ავტორი არ ითვალისწინებს, რომ სხვისი ქონების დაზიანება ან განადგურება შედეგიანი დანაშაულია (187-ე მუხ.) და ნებაყოფლობით ხელის ალება მოითხოვს ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის თავიდან აცილებას. თუ ცეცხლის ნაკიდებამ, სახლის გარკვეული ნაწილის დაწვამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი (150 ლარზე მეტი ღირებულების ზიანი), ქმედების ძირითადი შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი, ქმედების შემადგენლობა სრულად იქნება განხორციელებული, შეუძლებელია ვისაუბროთ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე. ის რომ სახლის დაწვა ბოროტმოქმედს განზრახული ჰქონდა და შემდგომ თავიდან იქნა აცილებული სახლის ბოლომდე დაწვა, არ წარმოადგენს საკმარის პირობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის. ქმედების შემადგენლობის განხორციელება არ მოითხოვს სახლის სრულად დაწვას. ის რომ დამნაშავემ სახლის სრულად

⁸⁶ წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები, II ტომი, თბ., 2007, გვ. 198.

⁸⁷ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 344.

⁸⁸ აღნიშნულთან დაკავშირებით ვრცლად იხ. ცქიტიშვილი თ., რეცენზია ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისის ნიგნზე: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი,

დანაშაულის გამოვლენის ცალკეული ფორმები, შედარებითი სამართლის გერმანულ-ქართული ჟურნალი, 2019, #1; ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., 2015, გვ. 299-303.

⁸⁹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 348.

ლად დაწვა თავიდან აიცილა, მხოლოდ სასჯელის დანიშვნის დროს შეიძლება სათვალავში იქნას მიღებული. თუ ავტორს დაუფუჯერებთ, როცა პირი თავიდან განიზრახავს ორი ადამიანის მოკვლას და ერთის მოკვლის შემდეგ გადაიფიქრებს მეორის მოკვლას, დამნაშავე პასუხისმგებლობისგან უნდა გავათავისუფლოთ იმის გამო, რომ ხელი აიღო ორი ადამიანის მოკვლაზე და ორის ნაცვლად მოკლა მხოლოდ ერთი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფარგლების ასეთი გაფართოება, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, ქმნის საშიშ ტენდენციას და იგი ვერ ჩაითვლება ადამიანის უფლების დაცვისკენ გადადგმულ ნაბიჯად. გარდა ამისა, საკითხზე მსჯელობის დროს სასურველი იყო მეტი კონკრეტული სსკ-ის 187-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის მიხედვით.

53. ლ. ხარანაული მიუთითებს, რომ განგრძობადი დანაშაული პირველივე აქტის განხორციელებისას იურიდიულად დამთავრებულია⁹⁰, რაც საკამათოდ უნდა მივიჩნიოთ. განგრძობადი დანაშაული იმით ხასიათდება რომ იურიდიულად განხორციელება, როგორც წესი, ერთზე მეტი აქტის განხორციელებას უკავშირდება. აქედან მომდინარეობს დანაშაულის განხორციელების ამ ტიპის სახელწოდებაც. დანაშაულის განხორციელება განგრძობად პროცესს წარმოადგენს, რომელიც ერთი აქტით არ ხორციელდება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ განგრძობადი დანაშაულის იურიდიულად განხორციელება ყოველთვის შეიძლება არ მოითხოვდეს გამიზნული ყველა აქტის განხორციელებას.

54. განსახილველ მონოგრაფიაში მოცემული განმარტებით, განგრძობადი დანაშაულის

განხორციელება უკავშირდება უკანასკნელი აქტის განხორციელებას⁹¹. თუმცა ავტორი არ აკონკრეტებს, უკანასკნელ აქტში გულისხმობს ფაქტობრივად განხორციელებულ უკანასკნელ აქტს თუ გამიზნულ უკანასკნელ აქტს და როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როცა განზრახული ყველა დანაშაულებრივი აქტი არ არის განხორციელებული, მაგრამ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებები შეიცავენ ქმედების შემადგენლობის მინიმალურ წინაპირობებს. მაგალითად, დამნაშავეს გამიზნული ჰქონდა 5 ადამიანის მოკვლა, მაგრამ ფაქტობრივად მხოლოდ 3 ადამიანის მოკვლა შეძლო (სსკ-ის 109-ე მუხ.).

55. განგრძობად დანაშაულში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით ლ. ხარანაულს მოჰყავს ქურდობის მაგალითი, გამოთქვამს ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულების საწინააღმდეგო მოსაზრებას და მიუთითებს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საზღვრების გაფართოების შესაძლებლობაზე, იმას, რაც ქმედით მონანიებად მიიჩნევა, ავტორის თვალსაზრისით, სასურველია ენოდოს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება⁹², მაგრამ მიზანშეწონილი იყო ავტორს საკითხი არ განეხილა ცალმხრივად და ემსჯელა დანაშაულთა ბუნების გათვალისწინებითაც, გაცა კითხვაზე პასუხი, საკითხის ისეთი გადაწყვეტა, როგორსაც ავტორი გვთავაზობს, რამდენად შესაძლებელია სხვა ტიპის დანაშაულებში, სადაც დანაშაულებრივი გეგმის თუნდაც ნაწილობრივ განხორციელება დაცული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას უკავშირდება და შეიძლება სიკეთის დაზიანება შეუქცევად ხასიათსაც ატარებდეს.

⁹⁰ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 360.

⁹¹ ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 361.

⁹² ხარანაული ლ., დასახ. ნაშრ., გვ. 361.

► 1 — 9/2023

“GOOD REASON“-ის არსებობის მტკიცების ტვირთი შრომითსამართლებრივ დავებში

შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთვის მნიშვნელოვანი საფუძვლის, ე.წ. “GOOD REASON“-ის არსებობის მტკიცების ტვირთი, დამსაქმებელს ეკისრება. სადავოობისას, ამ საფუძვლის მნიშვნელობას აფასებს სასამართლო.

უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე № ას-503-2023

შრომის კოდექსის 47 I ზ) მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: მოპასუხის განმარტებით, იგი კომპანიაში იკავებდა საგადასახადო კონსულტანტის პოზიციის. კომპანიის დამფუძნებელმა მოსარჩელეს ელექტრონული შეტყობინებით (ე.წ. მესიჯით) შეატყობინა, რომ აღარ სურდა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება და შესთავაზა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. საპასუხოდ დასაქმებულმა შეუთვალა, რომ დათანხმდებოდა ხელშეკრულების ორმხრივად შეწყვეტას, თუკი მიიღებდა უკვე ნამუშევარი დროისა და დამატებით ორი თვის კომპენსაციას, რაზედაც კომპანიის დამფუძნებელმა უარი განაცხადა. შემდგომ, მოსარჩელეს ჩაბარდა სამსახურიდან განთავისუფლების ბრძანება, რომელშიც განთავისუფლების რამდენიმე საფუძველი იყო მითითებული, კერძოდ: 1) დასაქმებულს კომპანიის კლიენტთან ჰქონდა და-

მოუკიდებელი კომუნიკაცია კომპანიის გვერდის ავლით მომსახურების განწევის მიზნით; 2) კლიენტის საჩივარი მოსარჩელის მიერ მომზადებულ ანგარიშში დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით; 3) კრიპტოვალუტით განსახორციელებელ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიში არ იყო სრული და ადეკვატური.

მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზების დასაბუთება, რაზეც პასუხი არ მიუღია. მოსარჩელის განმარტებით, პირველი საფუძველი იყო ერთჯერადი გაუგებრობა, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე მოხდა, და ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მოსარჩელეს რაიმე სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა (თუნდაც, გაფრთხილება) არ დაკისრებია. მეორე პუნქტთან დაკავშირებით, მოსარჩელისათვის უცნობია კლიენტის საჩივრის შინაარსი და ასევე ის ანგარიში, რომელზეც საუბარია გათავისუფლების შესახებ ბრძანებაში. დამფუძნებელთან კომუნიკაციის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომპანიის კლიენტს რეალურად საუბარი ჰქონდა არა მოსარჩელის მიერ მომზადებულ ანგარიშზე, არამედ არასწორად გაკეთებულ ბუღალტერიაზე, ხოლო მოსარჩელე არ ახორციელებდა ბუღალტერიას, იგი იყო საგადასახადო კონსულტანტი. მესამე პუნქტთან დაკავშირებით გაურკვეველია, რატომ არ იყო მოსარჩელის მიერ კრიპტოვალუტებთან დაკავშირებით მომზადებული ანგარიში სრული და ადეკვატური, გაურკვეველია თუ ვინ შეამოწმა მისი სიზუსტე, როდესაც მოსარჩელე კომპანიაში ერთადერთი საგადასახადო კონსულტანტი იყო და შესაბამისად, აღნიშნულ საკითხებზე კომპეტენცია მხოლოდ მას ჰქონდა. მოსარჩელე მიუთითებდა,

რომ დავალება მიღებული იყო გერმანულ ენაზე, რომლის ცოდნის ვალდებულებაც დასაქმებულს არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, მან სრულყოფილი ინფორმაცია მოიძია კრიპტოვალუტების დაბეგვრასთან დაკავშირებული ქართული რეგულაციების შესახებ და მიანოდა კომპანიის დამფუძნებელს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხემ აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა წარდგენილი სააპელაციო საჩივრით. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შრომის კოდექსით გათვალისწინებული წინაპირობები განხორციელებულად არ მიიჩნია, კერძოდ, მოპასუხის მიერ მოსარჩელის სამუშაო აღწერილობის შესახებ მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო, არ დასტურდებოდა თუ ვინ იყო კომპანიაში ანგარიშების შედგენაზე პასუხისმგებელი პირი, ვინაიდან კომპანიაში ასევე არსებობდა ბუღალტრის შტატი. ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა განმარტება, რომ მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიშის სიზუსტე შეაფასა საჯარო-ინტერნეტ სივრცეში მოძიებულ ინფორმაციასთან ურთიერთშედარების საფუძველზე. ასევე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სათანადო ცოდნის მქონე სპეციალისტის მიერ მომზადებული დასკვნის გარეშე, არ შეიძლება მიჩნეულ იყოს მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიშის/პასუხის მცდარობა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დამსაქმებელმა ვერ დაადასტურა დასაქმებულის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობების უხეში დარღვევის ვერცერთი ფაქტი. აღნიშნული გადაწყვეტილება დამსაქმებელმა გაასაჩივრა საკასაციო წესით და მიუთითა, რომ მოსარჩელე კომპანიაში სამუშაოდ მიიღეს „საგადასახადო აუდიტის კონსულტანტის“ თანამდებობაზე, რაც შრომითი ხელშეკრულებით დასტურდება, სიტყვა „აუდიტი“ ნიშნავს ბუღალტრულ კონტროლს, აღნიშნული კი იმას ნიშნავს, რომ

მის სახელშეკრულებო შრომით საქმიანობაში სწორედ საგადასახადო აუდიტის მოვალეობები შედიოდა და არა საგადასახადო კონსულტირება.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: სასამართლომ მიუთითა, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონისმიერ რეგულირებას აქვს შემაკავებელი ეფექტი, რომელიც ამ ურთიერთობის მონაწილეებს იცავს თვითნებობისა და სოციალური უსამართლობისაგან. საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო, დღესდღეობით, თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს ე.წ. **“favor prestatoris”** პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესების უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, სასამართლო აფასებს და იცავს დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასწორობას სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტში. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძვლის მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება. ამდენად, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებზე, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთვის მნიშვნელოვანი საფუძვლის (**“Good Reason”**) არსებობის მტკიცების ტვირთი, დამსაქმებელს ეკისრება. კანონმდებლის ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავებში, „სუსტი მხარის“ - დასაქმებულის პროცესუალური თანადგომა პრიორიტეტულია. დამსაქმებელი სარგებლობს მტკიცებითი უპირატესობით, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას საამისოდ გათვალისწინებული მართლზომიერი საფუძველი ჰქონდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოშობენ იმგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ

მოსარჩელემ უხეშად დაარღვია მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობები. სასამართლომ შეაფასა კასატორის არგუმენტი დამსაქმებლის მიერ შემუშავებულ ანგარიშთან მიმართებით და დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიშის სიზუსტის შეფასება საჯარო - ინტერნეტ სივრცეში მოძიებულ ინფორმაციასთან ურთიერთშედარების საფუძველზე, გასაზიარებელი არაა, რადგან, პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერ შემთხვევაში, მოწმეთა კომპეტენცია, უპირველესად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წესრიგდება, ხოლო სსკ-ის 105-ე და 140-ე მუხლების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ მოწმის ჩვენების მიღებისას ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს ყველა იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით, რაც ამ მტკიცებულების იურიდიულ ბუნებას ახლავს, მათ შორისაა მოწმის, როგორც სუბიექტის დამოუკიდებლობა მხარეთა შორის სადავო ფაქტებისა და მოვლენების მიმართ. მოწმის ჩვენება ვერ იქნებოდა სარწმუნო, რადგან იგი იყო განთავისუფლების ბრძანების ერთ-ერთი ხელმოწერი პირი, ასევე, მას არ ჰქონდა სპეციალური ცოდნა შესაფასებელი ანგარიშის მიმართ. რაც შეეხება მითითებას, კრიპტოვალუტით განხორციელებული ტრანზაქციით უკმაყოფილო კლიენტზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ ეს გარემოება საფუძველად ვერ დაედება სადავო გარემოების დადასტურებულად ცნობას, რამდენადაც მოსარჩელის მიერ მომზადებული ანგარიშის/პასუხის მცდარობა შეიძლება დადასტურებულიყო მხოლოდ რელევანტური მტკიცებულებით, რომელიც იქნებოდა, მაგალითად, შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტის დასკვნა. შრომის სამართალში პრინციპი - „Ultima Ratio“, ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას კაუზალური თვალსაზრისით, დარღვევასა და გათავისუფლებას შორის ზომიერი ბალანსის დაცვას. დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას უნდა გამოიყენებოდეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს,

უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეული უნდა იყოს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტურად შეუქმნის შრომის მოტივაციას. ყოველგვარი დარღვევის ადეკვატურ ღონისძიებას სამსახურიდან გათავისუფლება არ წარმოადგენს. მიუხედავად კანონმდებლობით მინიჭებული მართვასა და საკადრო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობის უფლებამოსილებისა, ორგანიზაციის ხელმძღვანელი შეუზღუდავი არ არის და არ სარგებლობს აბსოლუტური ავტონომიით.

ნინი ბერულავა

► 2 — 9/2023

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პრინციპები

სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი, სამართლებრივი უსაფრთხოების, უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობის-უალტერნატივობის, მხარეთა ინტერესების დაბალანსებისა და ინტერესთა ოპტიმალური დაკმაყოფილების პრინციპების მხედველობაში მიღებით უნდა შეაფასოს.

უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 2 ივნისის განჩინება საქმეზე № ას-403-2023

სსკ-ის 191-ე და 192-ე მუხლები

არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლი

სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის არბიტრაჟის წესების 37-ე მუხლი

ფაქტობრივი გარემოებები: განმცხადებელმა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით და მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების პრინციპების დაცვა.

რუნველყოფის ღონისძიების სახით, დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში იმ ცვლილების განხორციელების აკრძალვა, რომელიც გულისხმობს მოსარჩელე კომპანიებში წილის მმართველად კონკრეტული მოპასუხის რეგისტრირებული მონაცემის გაუქმებას.

მოპასუხეები სასოფლო - სამეურნეო მიმართულებით სამენარმეო საქმიანობას აწარმოებდნენ. ერთ-ერთმა მოპასუხემ ოჯახის წევრებისა და ნათესავების მეშვეობით დააფუძნა 7 კომპანია, რათა აღნიშნული კომპანიების მეშვეობით ემოქმედა მეორე მოპასუხესთან შეთანხმებულ ბიზნეს პროექტში და ასეთი ოპერირების სქემით მიეღო მონაწილეობა სამენარმეო საქმიანობაში. თითოეულ ახალ კომპანიას გადაეცა პირველი მოპასუხის მიერ ერთპიროვნულად დაფუძნებული კომპანიის მიწის მასივებიდან გარკვეული მიწის ნაკვეთები. თავის მხრივ, მეორე მოპასუხემ შეთანხმებულ ბიზნეს პროექტში მონაწილეობისა და მართვის მიზნით, ერთპიროვნულად დააფუძნა სხვა კომპანია, ამ უკანასკნელ კომპანიას ხელშეკრულებების საფუძველზე მიენიჭა ხსენებულ 7 კომპანიაში 100%-იანი წილის მართვის უფლებამოსილება. ყველა ხელშეკრულების შემთხვევაში, მხარეებმა გაითვალისწინეს ერთნაირი შინაარსის პუნქტი, რომლის თანახმად, მხარეებმა ხელშეკრულების ამოქმედება დაუკავშირეს მინდობილი მართვის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის ფაქტს, ასევე, ყველა ხელშეკრულება განსაზღვრული იყო ერთნაირი ვადით. მიუხედავად შეთანხმებისა, მოპასუხეებმა უარი განაცხადეს იმ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც გაითვალისწინებული იყო ხელშეკრულებებით, რის შედეგადაც მოსარჩელეს მიადგა ზიანი, შესაბამისად, იგი იძულებული გახდა დაენყო საარბიტრაჟო წარმოება და საარბიტრაჟო სარჩელით მართვის დამფუძნებლებისაგან მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება. მოპასუხე და მისი მხრიდან დამფუძნებლებად და დირექტორებად მართვა-

ში გადაცემულ კომპანიებში ნომინირებული დანარჩენი მოპასუხეები, მისი მითითების არსებობის პირობებში, მზად იყვნენ რომ გაეკოტრებინათ, ფორმალურად, მაგრამ მაინც მათივე მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიები, რათა შეუძლებელი ყოფილიყო მინდობილი მართვის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, სამართავი კომპანიების სანესდებო კაპიტალიდან წილის მინდობილი მმართველისათვის საკუთრებაში გადაცემა. მოპასუხეებმა არაერთხელ განახორციელეს ისეთი მოქმედებები, რომლებიც ცხადყოფენ ქონების დატაცებასა და მისი სამეურნეო აქტივების დაზიანებას. ერთ-ერთი მსგავსი ქმედებით, თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე, „კეთილსინდისიერი შემძენის“ საბურველში გახვევის მიზნით, ერთი კომპანიის კუთვნილი მიწის ნაკვეთები აღრიცხა სხვა, იდენტური სახელწოდების მქონე კომპანიის სახელზე, რომელიც მოპასუხის დაფუძნებულია და მხოლოდ მისი დირექტორობით იმართება.

არბიტრაჟში დავის პარალელურად, ამ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, აღძრულია სარჩელი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია იხილავს დავას დასახელებული გარიგებების ბათილად ცნობისა და ბათილი გარიგებებით გასხვისებული ოთხივე უძრავი ნივთის დაბრუნების თაობაზე.

საინტერესოა, რომ მოპასუხემ იცოდა, შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წილის მინდობილ მმართველს სხვა გზა არ ექნებოდა, თუ არა არბიტრაჟში დავა, შესაბამისად, მას მოუწევდა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების აღიარება, რაც დროში განწელილი პროცესია. მის დასრულებამდე, მოპასუხე მინდობილი მართვის ხელშეკრულების ვადის ამონურვის გარემოებაზე აპელირებით, შეეცდებოდა წილის მინდობილი მართვის სამენარმეო რეესტრში არსებული რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებას.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა გონივრული ვარაუდი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების

გამოუყენებლობა რომ გააძნელებდა ან შეუძლებელს გახდიდა შემდგომი გადაწყვეტილების აღსრულებას, გამოიწვევდა გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნებოდა მოპასუხეთათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. შესაბამისად, გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების ხელშეწყობის მიზნით, განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, სააპელაციო პალატის მიერ დაკმაყოფილდა. მოპასუხეებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საჩივრის დაკმაყოფილება იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელემ შეცდომაში შეიყვანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა და დაუმალა საქმის რეალური გარემოებები, პალატა კი განჩინების გამოტანისას დაეყრდნო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ ცრუ გარემოებებს, ამასთან, ხელშეკრულებებში არსად იყო დაწესებული აკრძალვა რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანაზე. მოპასუხე ასევე მიუთითებს საპროცესო დანაწესებზე, რომ არ არსებობს ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც სარჩელის უზრუნველყოფა გავრცელდება რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების აკრძალვაზე. კანონის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ზომად შეიძლება გამოყენებული იყოს ის ვალდებულებები და ქონებრივი პასუხისმგებლობა რომელიც განსაზღვრულია მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, მოპასუხის საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ გარემოება, იმასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობებს, ასევე შეასრულა თუ არა მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, არ შეიძლებოდა კვლევის საგანი გამხდარიყო, რადგან სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების თაობაზე მოთხოვნის მართებულო-

ბის კვლევისას სასამართლო არ აფასებს მტკიცებულებებს და არ იკვლევს, თუ რამდენად დგინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რამდენადაც მითითებული, შესაძლოა განხორციელებულიყო არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითი განხილვისას. საარბიტრაჟო შეთანხმების თანახმად, წარმოშობილი დავა უნდა განეხილა ქ. სტოკჰოლმის სავაჭრო პალატას, ხოლო მითითებული არბიტრაჟის წესების¹ 37-ე მუხლი ითვალისწინებდა საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ დროებითი ზომების გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა ამავე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილად მიიჩნია, რომ: „მხარის მიერ სასამართლო ორგანოს მიმართ დროებითი ზომების შესახებ მოთხოვნა არ არის შეუთავსებელი საარბიტრაჟო შეთანხმებასთან ან ამ წესებთან.“ ამდენად, თავად მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არბიტრაჟის დებულების წესების თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი იყო განეხილა მხარის განცხადება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რაც თავის მხრივ გამორიცხავდა საქმის წარმოების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველებს.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიზნად ისახავს საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საარბიტრაჟო ინსტიტუტში (სტოკჰოლმის არბიტრაჟში) წარდგენილი სარჩელის უზრუნველყოფას. სასამართლომ პირველ რიგში შეამოწმა, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია, რითაც დაადგინა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩე-

¹ SCC Arbitration Rules

ლის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წესები, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველო, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც საარბიტრაჟო განხილვა მის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს. ამასთან, ორივე შემთხვევაში, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ან სამართლებრივი სისტემა აირჩიეს მხარეებმა მათ შორის წარმოშობილი დავის მოსაწესრიგებლად. სსკ-ის 191-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მოთხოვნა, სასამართლოს, განმცხადებლის მითითების საფუძველზე უნდა შეექმნას მყარი შინაგანი რწმენა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოუყენებლობა შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შემდგომ აღსრულებას. თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს, რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, აწესრიგებს და მიმართულია კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის დაცული და აღიარებული უფლების რეალიზებისაკენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ გარემოებაზე, რაც

რეალურად გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება. ამასთან, აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა, სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის წინაპირობების ურთიერთშეჯერება და ერთობლივად განხილვა - გადაწყვეტაა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე, ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებული საქმეზე განპირობებული იურიდიული შედეგის - სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. მართალია, სსკ-ის 198 II მუხლი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალს, მაგრამ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. შესაბამისად, ღონისძიების ჩამონათვალთან მიმართებით არ მოქმედებს „Numerus clausus“ პრინციპი, მაგრამ ხსენებული საპროცესო დანაწესი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სასამართლო უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობისა და მხარეთა ინტერესების დაბალანსების გზით, ვალდებულია განსაზღვროს, თუ რომელი ზომა უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ შემთხვევაში.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის თაობაზე მოსარჩელის მოტივაცია ძირითადად აგებულია და ემყარება იმ გარემოებას, რომ უშუალოდ მოპასუხის კარნახით ხელმძღვანელობისა და კონტროლის პირობებში, კომპანიები შეეცდებიან მართვაში გადაცემული კომპანიების პარალიზებას, ქონებების გადამალვას, გასხვისებასა და დაზიანებას, რაც მინდობილი მმართველისათვის გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს. სსკ-ის 191-ე მუხლში მოხსენიებული „გამოუსწორებელი და

პირდაპირი ზიანის” არსებობის ან წარმოშობის საფრთხე უნდა შეაფასოს სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე მსჯელობისას, რაც პირდაპირ კავშირშია სასამართლოს მიერ კონკრეტულ დავაზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლო ხელშეშლასთან და შეფასდეს მხოლოდ ამ თვალსაზრისით. აქ არ უნდა ვიგულისხმოთ ზოგადად ყველა პოტენციური ზიანი, რომელიც შეიძლება მოდავე მხარეებს მიადგეთ მათი ურთიერთობიდან, არამედ, მოსარჩელე უნდა ადასტურებდეს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გამოიწვევს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლას იმგვარად, რომ მოსარჩელეს მიადგება გამოუსწორებელი და პირდაპირი ზიანი ან ისეთი ზიანი, რომელიც ვერ იქნება კომპენსირებული მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.

სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის მოტივაცია უმთავრესად მდგომარეობდა მართვაში გადაცემული კომპანიების სახელზე რიცხული ქონებების გადამალვის, გასხვისებისა და დაზიანების საფუძველზე ამ კომპანიების პარალიზების, მათი ფუნქციონირების გართულების თავიდან აცილებაში და არა სადავო საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლელი რისკების განეიტრალებაში. მართალია, რომელიმე მხარის მხრიდან კომპანიებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი საქმის არსებითი განხილვის შედეგად გადასაწყვეტ საკითხთა წრეს მიეკუთვნება, რაც საქმეში წარდგენილ მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად გადანყდება, თუმცა, როდესაც ორივე მხარე ასეთი რისკების არსებობაზე მიუთითებს, სააპელაციო პალატას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი, სამართლებრივი უსაფრთხოების, უზრუნველყოფის კრიტიკული აუცილებლობის, მხარეთა ინტერესების დაბალანსებისა და ინტერესთა ოპტიმალური დაკმაყოფილების პრინციპების მხედველობაში მიღებით, უნდა შეეფასებინა.

სარჩელის უზრუნველყოფის ინტიტუტის მიზანია მოსარჩელის მატერიალური უფლების რეალური განხორციელებისათვის ხელსაყრელი

პირობების შექმნა, თუმცა მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცული უნდა იყოს მოპასუხის ინტერესებიც. უფლების დროებით შეზღუდვის დროს მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ/დასაცავ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის. ამის შეფასების გონივრული სტანდარტია, ასევე, ღონისძიების უალტერნატივობის განხილვა, მოსარჩელის მიერ მითითებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იყო თუ არა უალტერნატივო იმ სიკეთის დასაცავად, რომლის დაცვის მიზნითაც იყო უზრუნველყოფა გამოყენებული. სასამართლო ვალდებული იყო განესაზღვრა, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის ღონისძიება იყო თუ არა კავშირში განმცხადებლის მოთხოვნასთან, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, უალტერნატივოდ უზრუნველყოფდა თუ არა გადაწყვეტილების აღსრულებას მაშინ, როდესაც რვავე კომპანიის საკუთრებაში ირიცხება სხვადასხვა უძრავი ქონება და გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების შემთხვევაში, გამოიწვევდა თუ არა მოსარჩელის დარღვეული უფლებების სრულ და რეალურ აღდგენას. კრიტიკის საგანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან განჩინება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, სტოკჰოლმის საარბიტრაჟო ინსტიტუტში წარდგენილი საარბიტრაჟო სარჩელის სასარჩელო მოთხოვნების პირობებში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ სახით, რა სახითაც ამას მოსარჩელე მოითხოვს, უზრუნველყოფს თუ არა მხარეთა ინტერესების ოპტიმალურ დაკმაყოფილებას, ხომ არ გამოიწვევს მოპასუხეთა ინტერესების გაუმართლებელ, არაპროპორციულ შეზღუდვას, ასევე, წარმოადგენს თუ არა კონკრეტულად ამ საქმეზე მოსარჩელის მიზნის მიღწევის აუცილებელ საშუალებას და სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი აღსრულება რატომ იქნება შეუძლებელი მითითებული სახით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე, ანუ მითითებული სახით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, არის თუ არა უალტერნატივო იმ სიკეთის დასაცავად, რომლის დაცვის მიზნითაც

იყო გამოყენებული. შესაბამისად, საქმე საჩივრის ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ნინი ბერულავა

► 3 — 9/2023

ექიმის გაუფრთხილებლობის დადგენის კრიტერიუმები

პაციენტის დაზიანებისას ექიმის მხრიდან გაუფრთხილებლობა სახეზეა მაშინ, როდესაც მან ნაკისრი ვალდებულებები აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განახორციელა. გულისხმიერებასა და ყურადღებაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმინევენით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება

უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-1169-2022

სკ-ის 992-ე, 1007-ე მუხლები

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ო) ქვეპუნქტი

ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელემ მიმართა სტომატოლოგიური კლინიკის ექიმს - მოპასუხეს, რომელსაც მკურნალობის თანხას უხდიდა ნაღდი ანგარიშსწორებით, ეტაპობრივად. მკურნალობა ჩატარდა უხარისხოდ, რის გამოც მოსარჩელე განიცდიდა ძლიერ ტკივილს, ამის გამო იძულებული გახდა მიემართა სხვა ექიმებისთვის. აღმოჩნდა, რომ ტკივილის მიზეზი იყო ნაწილობრივ უხარისხოდ განეული სამედიცინო მომსახურება, რის გამოც, მოსარჩელის კბილები სრულად ამოსაღები იყო, რამაც მას მორალური ტრავმა მიაყენა. მოსარჩელემ მოითხოვა, რომ მოპასუხეს დაეკისროს ის მატერიალური ზიანი, რაც მიადგა არასწორი მკურნალობით და მორალური ზიანი, მიყენებული სულიერი ტრავმისთვის. მოპასუხემ წარდგინილი შესაგებლით

სარჩელი ცნო ნაწილობრივ და მოთხოვნის გამომრიცხავ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელე ვერ ადასტურებს ზიანის ფაქტს, ასევე, კაუზალური კავშირის არსებობას მოპასუხის ქმედებასა და მოსარჩელისთვის შესაძლო ზიანის მიყენებას შორის. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანხის ის ნაწილი, რა ნაწილშიც ცნო იგი მოპასუხემ, ხოლო დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა მოპასუხე მკურნალი ექიმის მხრიდან პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ისეთი სადიანოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების განხორციელება, რაც განაპირობებდა ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. უცვლელი დარჩა მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის უარყოფის შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: სკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი რომელიც სხვა პირს განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და კაუზალური კავშირი. თითოეული ამ კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. ამავე პირობების არსებობას მოითხოვს სკ-ის 1007-ე მუხლი, რომლის მიხედვით სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზ-

ლაურდება საერთო საფუძვლებით. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს ზიანის არსებობის ფაქტი, ხოლო ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დანესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია დადგინდეს საექიმო შეცდომა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 3 ო) მუხლის თანახმად, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიეთ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქმედება არ მოექცევა „ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული მცდარი სამედიცინო ქმედების ფარგლებში.

სამედიცინო შეცდომის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ პაციენტისათვის მიყენებული ზიანის დასადგენად საკმარისია დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას, ანუ, ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების აღიარებული სამედიცინო სტანდარტების დარღვევით შესრულება. ამასთან, მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია კაუზალური კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. დელიქტიდან გამომდინარე სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ახასიათებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი, შესაბამისად, მტკიცების ტვირთის განაწილება მხარეთა შორის შემდეგნაირად

ხდება: დაზარალებული ვალდებულია დაამტკიცოს მისთვის ზიანის არსებობის ფაქტი, ასევე, კაუზალური კავშირის არსებობა ზიანის მიმყენებლის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ზიანის მიმყენებელმა, თავის მხრივ, უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა.

სასამართლომ გამოარკვია, რომ გარდა მოპასუხე კლინიკისა, მსგავსი მომსახურება მოსარჩელემ მიიღო რამდენიმე სტომატოლოგიური კლინიკისგან, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა მოპასუხე მკურნალი ექიმის მხრიდან პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ისეთი სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების განხორციელების ფაქტი, რაც განაპირობებდა ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას - არ დასტურდება კაუზალური კავშირი მოპასუხის მიერ განხორციელებულ სამკურნალო ღონისძიებებსა (კბილების დაბეჭენა) და ექსპერტის დასკვნებში მითითებულ შედეგს შორის, რაც სარჩელის უარყოფის საფუძველია.

უზენაესი სასამართლოს მსჯელობის შეჯამება: საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და კაუზალური კავშირი. დასახელებული თითოეული კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. თითოეული ამ კომპონენტის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ექიმის ან სამედიცინო დანესებულების მიმართ პაციენტს შეიძლება წარმოეშვას, როგორც ხელშეკრულებიდან, ასევე დელიქტური ნორმებიდან. შეიძლება ექიმს იმ შემთხვევაშიც დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ, მას რაიმე ხელშეკრულება არ გაუფორმებია პაციენტთან, გამომდინარე იქიდან, რომ მკურნალობის დაწყებით ექიმისათვის და არასამედიცინო (დამხმარე) პერსონალისთვისაც წარმოიშობა ვალდებულება, კანონით დადგენილ ფარგლებში დაიცვან და შეინარჩუნონ პაციენტის ჯანმრთელობა. ექიმის

მიერ ჩატარებული მცდარი მკურნალობა, როგორც წესი, ხელშეკრულების დარღვევაც არის და დელიქტიც. მოთხოვნის ორივე საფუძველი თანაბარია და შესაბამისად, მოთხოვნის დაფუძნება ორივე საფუძველზე ერთდროულად არის შესაძლებელი. ამასთან, დელიქტური ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას გამოიყენება სახელშეკრულებო ზიანის მომწესრიგებელი ნორმები. სკ-ის 326-ე მუხლის წესები, სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ, გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. მითითებული ნორმის გამოყენება ხშირია სასამართლო პრაქტიკაში, რომელიც ეხება პერსონალისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად წარმოშობილი დავების სამართლებრივ კვალიფიკაციას. აღნიშნული ვალდებულება წარმოიშობა დაზარალებულის აბსოლუტური უფლების ხელყოფის შედეგად, ატარებს არასახელშეკრულებო ხასიათს და მიმართულია მიყენებული ქონებრივი ან მორალური ზიანის ანაზღაურებისკენ. პირს ზიანის ანაზღაურება ეკისრება, თუ არსებობს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები, კერძოდ, თუ სახეზეა ზიანი, მიყენებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს კაუზალური კავშირი და ბრალი ზიანის მიმყენებელს მიუძღვის. სამედიცინო სპეციფიკიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი, სამედიცინო მუშაკის ქცევის, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქცევის კვალიფიკაციისას, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა. ამასთან, მკურნალობის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაკმაყოფილდეს, თუკი პირისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია უშუალოდ მცდარი სამედიცინო მოქმედებით, ანუ გამოკვეთილია კაუზალური კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ის

გარემოება, რომ ზიანი გამოიწვია სამედიცინო პერსონალის ქმედებამ, უტყუარად უნდა დადგინდეს. უშედეგო მკურნალობა ან მკურნალობის უარყოფითი შედეგი უალტერნატივოდ არ იწვევს სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობას. ზიანი გამოწვეული უნდა იყოს მკურნალობისას დაშვებული შეცდომებით, ანუ, თუ მკურნალობა სწორადაა წარმართული, თუნდაც, მას უარყოფითი შედეგი მოჰყვეს, არ იწვევს ექიმის პასუხისმგებლობას. „მცდარი საექიმო ქმედების“ განმარტებულია როგორც ექიმის მიერ უნებლიეთ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებებს, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. საექიმო შეცდომად კი მიიჩნევა ექიმის მიერ საზოგადოდ აღიარებული სამედიცინო და ეთიკური სტანდარტების, კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, რამაც განაპირობა პაციენტის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებები, რომლებიც პაციენტისათვის ზიანის მიყენების უშუალო მიზეზი გახდა. ექიმს ეკისრება მტკიცების ტვირთი, იმასთან დაკავშირებით რომ პაციენტს მართლზომიერად და უშეცდომოდ უმკურნალებს, იგი პასუხს აგებს არასწორ მკურნალობაზე და მხოლოდ ასეთი მკურნალობის თანმდევ უარყოფით შედეგზე.

სასამართლომ განმარტა, რომ სწორედ სპეციფიკიდან გამომდინარე, სამედიცინო მუშაკის პასუხისმგებლობის საფუძველი არის არა მკურნალობის უარყოფითი შედეგი, არამედ სამედიცინო სტანდარტებიდან გადახვევა, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგობის მტკიცებისას, სწორედ აღნიშნულ სტანდარტებთან შეუსაბამობა უნდა ამტკიცოს დაზარალებულმა. მხოლოდ პაციენტის განმარტება, რომ ის გაუსაძლისი ტკივილები, რომლითაც იგი იტანჯებოდა გამოწვეული იყო მისი ექიმის მოქმედებით ან/და დანიშნული მკურნალობით, საკმარის გარემოებად არ უნდა იყოს მიჩნეული.

დელიქტური ვალდებულების დაკისრების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ბრალი, რაც განაპირობებს იმას რომ, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა უშუალოდ ზიანის მიმყენებელს უნდა დაეკისროს. დელიქტურ სა-

მართალში აღიარებულია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახვი ბრალი არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში, საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას, რაც გულისხმობს გულისხმიერებასა და ყურადღებობას, ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმინევით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულებად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ კატეგორიის დავებში პაციენტს ეკისრება ფაქტების სრულყოფილად და დამაჯერებლად წარდგენისა და გაცხადების ვალდებულება. სამედიცინო დელიქტის, როგორც ზიანის დადგომის აუცილებელი წინაპირობის არსებობის მტკიცების ტვირთის შესახებ სპეციალურ მონესრიგებას შეიცავს სკის 1007-ე მუხლი, რომლის შინაარსი პირდაპირ მიემართება მტკიცების პროცესს და განსაზღვრავს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს. ნორმის პირდაპირი მითითებით „ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის“, სამართლებრივ ურთიერთობაში ამოქმედებულია სამედიცინო მომსახურების გამწევის მოქმედების ბრალეულობის პრეზუმფცია, რომელიც იმის წინასწარ განსაზღვრას ემსახურება თუ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რომელი მხარისათვის უფრო ადვილი იქნება ობიექტურად დაამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი. პრეზუმფციის დამტკიცებით, კანონმდებელი, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეს იცავს მტკიცების გადაულახავი ტვირთის დაკისრებისაგან და ამ მიზნით, აწესებს მტკიცების სტანდარტს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ პრეზუმფციის საფუძველზე პაციენტის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და სანინაალმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულების მტკიცების ტვირთია, რადგან სამედიცინო დაწესებულების ბრალი ივარა-

უდება მანამ, სანამ იგი სანინაალმდეგოს არ დაამტკიცებს. სამედიცინო ხასიათის შეცდომის შედეგად მიყენებული ზიანის კვლევისას, დაზარალებულის მტკიცების ტვირთი კი არის ზიანის დადგომა და კაუზალური კავშირის არსებობა.

თუ პაციენტის განმარტებები არ დადასტურდება, მაშინ სამკურნალო შეცდომა პაციენტის მოთხოვნის სანინაალმდეგოდ, არ დამტკიცდება. ასევე, პაციენტმა უნდა წარმოადგინოს დაამტკიცოს, რომ დამდგარი ზიანი ეფუძნება სამედიცინო დაწესებულების ვალდებულების დარღვევას.

აღნიშნულ შემთხვევაში, სასამართლო დაეყრდნო ექსპერტის დასკვნას, რომლის მიხედვით, მოსარჩელე პერიოდულად მიმართავდა სხვა სტომატოლოგიურ კლინიკებს, სადაც სპეციალისტები სიტყვიერად განუმარტავდნენ, რომ ჰქონდა ჯანმრთელობის პერიოდული პრობლემა. სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე, დადგინდა, რომ მოპასუხის მიერ განხორციელებული სამედიცინო მომსახურება შეიცავდა არაარსებით ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორებაც ადვილი და მარტივია, რის საფუძველზეც სასამართლომ გაიზიარა ქვემდგომი ინსტანციების არგუმენტები, რომ არ დასტურდება მოპასუხე მკურნალი ექიმის მხრიდან პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო ისეთი სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების განხორციელების ფაქტი, რაც განაპირობებდა ზიანის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული წინაპირობების არსებობას — არ დასტურდება კაუზალური კავშირი მოპასუხის მიერ განხორციელებულ სამკურნალო ღონისძიებებსა (კბილების დაბუნა) და ექსპერტიზის დასკვნებში მითითებულ შედეგს შორის.

მორალური ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება წარმოეშობა, მაშინ, როდესაც მის სამართლებრივ სიკეთეს არამართლზომიერი ხელყოფის შედეგად ზიანი მიადგება. დელიქტის მომწესრიგებელი ნორმით გათვალისწინებული სიკეთე, როგორც პირველადი მოთხოვნის საფუძველი დამოუკიდებელი ქმედების შემადგენლობაა. განსახილველ დავაში, რადგან მოსარჩე-

ლემ ვერ მოახდინა მტკიცების ტვირთის რეალი-
ზება, რის გამოც, სამედიცინო დელიქტის გან-
მაპირობებელი ფაქტობრივი წანამძღვრები არ

არსებობს, მორალური ზიანის ანაზღაურების
ნაწილიც იმავე ბედს იზიარებს.

ნინი ბერულავა